

# უცხო ინვაზიური სახეობების მართვის კონცეფცია

დოკუმენტზე მუშაობდნენ: ზურაბ გურიელიძე, ნათია კოპალიანი, ოთარ აბდალაძე, ზურაბ ჯავახიშვილი, ილია აკობია, არჩილ ყველაშვილი, გიორგი ეპიტაშვილი, გიორგი იანქოშვილი, ნიკა ბუდაღაშვილი, ლევან ნინუა, თინათინ ჩხარტიშვილი, არმენ სეროპიანი, დავით დეკანოიძე, ნანა დევიძე, მაია შაქარაშვილი

რედაქტორები: ნათია კოპალიანი, ზურაბ გურიელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკოლოგიის ინსტიტუტი

კონსულტანტი : ნანი მაჭარაშვილი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

თბილისი, 2024

მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA)-ს მხარდაჭერით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით

## სარჩევი

ტერმინების განმარტება და აბრევიატურა	3
შესავალი	6
სიტუაციის ანალიზი	21
საქართველოში არსებული სიტუაციის მიმოხილვა უცხო ინვაზიურ სახეობებთან დაკავშირებით	29
უცხო ინვაზიური სახეობების მართვის კონცეფცია	86
ხედვა	87
პრინციპები	88
პრიორიტეტები	90
დამატება	99
გამოყენებული ლიტერატურის სია	100

## ტერმინების განმარტება

**გავლენა ადამიანის კეთილდღეობაზე** - იგულისხმება ადამიანის ჯანმრთელობაზე და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე გავლენა

**გარემოზე ზემოქმედება** - ეკოსისტემაში მომხდარი გაზომვადი ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია უცხო ინვაზიური სახეობის მიერ. აქ იგულისხმება როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის მიერ მართული ეკოსისტემებისთვის (EICAT, IUCN)

**დაფუძნება** - უცხო სახეობის მიერ ახალ ჰაბიტატში წარმატებით გამრავლება და სიცოცხლისუნარიანი შთამომავლების დატოვება (Genovesi & Shine, 2004)

**ვექტორი- სახეობის ინვაზიის გზა**

**ინტროდუქცია** - ადამიანის მიერ ცოცხალი ორგანიზმის გამიზნული ან შემთხვევითი შეყვანა მისი ისტორიული არეალის ფარგლებს გარეთ (IUCN)

**კარანტინი** - ისეთი ორგანიზმების ოფიცილაური იზოლაცია, რომელთაც აქვთ ინვაზიის უნარი (FAO, 2012)

**რისკების ანალიზი** - 1. უცხო სახეობის შემოყვანის შედეგების განსაზღვრა და დაარსების ალბათობის შეფასება სამეცნიერო ინფორმაციაზე დაყრდნობით. 2. ისეთი ზომების იდენტიფიკაცია, რომლებიც რისკს ან შეამცირებენ, ან მართვად გახდიან სოციო-ეკონომიკური და კულტურული მოსაზრებების გათვალისწინებით (Genovesi & Shine, 2004)

**საკარანტინო ზონები** - სპეციალური ტერიტორიები, სადაც ტარდება მკაცრი ზომები უცხო ინვაზიური სახეობების ქვეყანაში შემოსვლის საწინააღმდეგოდ. ამ ზონებში ხდება შემოწმება, სპეციალური დამუშავება და სხვა ბიოუსაფრთხოების ზომების ჩატარება იმისთვის, რომ პოტენციურად სახიფათო სახეობება არ მოხვდეს ქვეყნის ბუნებრივ ეკოსოსტემებში

**უცხო ინვაზიური სახეობა** - უცხო სახეობა, რომლის შემოყვანა ან/და გავრცელება საფრთხეში აგდებს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას (CBD; COP 6 Decision VI/23)

ადამიანის მიერ გადაყვანა შესაძლებლობას აძლევს ტაქსონს გადალახოს ბუნებრივი ბიოგეოგრაფიული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის მის ბუნებრივად გავრცელებას.

აქ მოიაზრება ტაქსონის ისეთი წარმოებულებიც, როგორიც არის გამეტები, თესლი, კვერცხები, აღმონაცენები, რომლებსაც შეუძლიათ გადარჩინონ და გამრავლდნენ.

**უცხო სახეობა** - სახეობა, ქვესახეობა, ჯიში, მიზანმიმართულად ან უნებლივდ გადაყვანილი მისი ბუნებრივი არეალის საზღვრებს გარეთ ადამიანის აქტივობის შედეგად; ან გამოყვანილი ადამიანის მიერ, ან მიღებული ადამიანის მიერ განზორციელებული უცხო სახეობის ჰიბრიდიზაციის შედეგად აბორიგენულ სახეობასთან და გაშვებული ისეთ ტერიტორიებზე, სადაც იგი ბუნებრივად არ გვხვდება.

თუ ტაქსონი ბუნებრივად ვრცელდება პოსტგლაციალური ჰაბიტატის ფარგლებში ან კლიმატის ცვლილების შედეგად, იგი არ ითვლება „უცხოდ“ (CBD, COP6 Decision VI/23 <https://www.cbd.int/decisions/cop/?m=cop-06>).

**აბიოტური ფაქტორი-** ორგანიზმზე მომქედი არაცოცხალი ბუნების ფაქტორები (მაგ. სინათლე, ტემპერატურა, ტენიანობა, ნიადაგის ქიმიური შემადგენლობა და სხვა)

**აბორიგენული-** ადგილობრივი

**ბიოტური ფაქტორი-** ორგანიზმების ერთმანეთზე ზემოქმედების ფორმები (მაგ. კვებითი)

**ერადიკაცია** - განადგურება, ამოღება

**ექსპანსიონისტი** - ორგანიზმი, რომელიც იფართოვებს ტერიტორიას

**ინტერფერენციული კონკურენცია-** როდესაც ერთი სახეობა უზღუდავს მეორე სახეობას რესურსებზე წვდომას იმდენად, რომ შესაძლებელია მისი განადგურება გამოიწვიოს

**სუქცესია**- ეკოლოგიურ თანასაზოგადოების შემადგენლობაში მინდინარე თანმიმდევრული ცვლილებები ბუნებრივი ან ანტროპოგენური ფაქტორების გავლენით, სანამ არ ჩამოყალიბდება კლიმაქსური თანასაზოგადოება

**ტაქსონი** - ბიოლოგიური კლასიფიკაციის ნებისმიერი ერთეული, ძირითადი იერარქიული საფეხურები: სამეფო, ტიპი, კლასი, რიგი, ოჯახი, გვარი და საკუთრივ სახეობა

**ცენოტური**- ახლომონათესავე ორგანიზმთა ჯგუფი თანასაზოგადოებაში

**ჰაბიტატი**- ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივი გარემო

### შემოკლებები (აბრევიატურა)

**CBD** - კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (Convention on Biological Diversity)

**CITES** - გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (Convention on International Trade in Endangered Species of Wild Fauna and Flora)

**EICAT** - უცხო სახეობებისთვის გარემოზე გავლენის კლასიფიკაცია (Environmental Impact Classification for Alien Taxa)

**EU** - ევროპის კავშირი, ევროკავშირი (European Union)

**FAO** - სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (Food and Agriculture Organization)

**GISP** - ინვაზიური სახეობების გლობალური პროგრამა (Global Invasive Species Programme)

**IUCN** - ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (International Union for Conservation of Nature)

## შესავალი

უცხო ინვაზიური სახეობები ბიომრავალფეროვნებისთვის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ ითვლებიან. ადამიანის მიერ ორგანიზმების გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ხდებოდა. ადამიანმა სახეობების ინვაზიის ხელშეწყობა იმ დროიდან დაიწყო, როცა მონადირე-შემგროვებლებმა გაავრცელეს ძალები და საკვები მცენარეები. მრავალი პრეისტორიული ინვაზიის (დინგოს შეყვანა ავსტარლიაში; პოლინეზიური ვირთაგვის გადაყვანა წყნარ ოკეანეზე) ზემოქმედების ძირითადი მტკიცებულება მხოლოდ გადაშენებული სახეობების ნამარხებია.

თანამედროვე პრეიოდში ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარებამ გამოიწვია ბუნებრივი ბიოგეოგრაფიული ბარიერების გადალახვა აქამდე უპრეცენდენტო სიჩქარით. ინვაზიით გამოწვეული შედეგები ხშირად ბუნებრივი ბიოტასა და ეკოსისტემებისთვის საკმაოდ მძიმეა, განსაკუთრებით იზოლირებული და მოწყვლადი ეკოსისტემებისთვის. კლიმატის გლობალური ცვლილება ხელს უწყობს უცხო სახეობების გავრცელებას, რადგან კლიმატური ზონები გადანაცვლებულია, რაც ზრდის პოტენციურ არეალს ზოგიერთი სახეობისთვის.

ინვაზიური სახეობების გავრცელება ნეგატიურად მოქმედებს არამარტო გარემოზე, არამედ ეკონომიკაზე, ადამიანის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე (CABI; 2021). (Mazza et al. 2013).

ბიოლოგიური ინვაზია ეტაპობრივი პროცესია, რომლის დროსაც წარმატებული ინვაზიისთვის სახეობამ უნდა გადალახოს სივრცული და ბიოლოგიური ბარიერები. ძირითადი ეტაპებია ტრანსპორტირება, დაფუძნება და გავრცელება. სახეობებმა ზოგი ეტაპი შეიძლება წარმატებულად გადალახონ, ზოგი კი ვერა. მაგალითად, თვისებები, რომლებიც ხელს უწყობენ ტრანსოკეანტურ გავრცელებას, შეიძლება გამოუსადეგარი იყოს გარკვეულ ტერიტორიაზე დაარსებისთვის.

ცნობილია, რომ ყოველი უცხო ბიოლოგიური სახეობა ხასიათდება ინვაზიურობის გარკვეული ხარისხით (ინვაზიურობის აქტიურობით), რაც ვლინდება მის უნარში ამა თუ იმ ბიოლოგიური მექანიზმის (ან მათი კომბინაციის) მეშვეობით შეიჭრას ისეთ ბუნებრივ

მცენარეულ თანასაზოგადოებაში, სადაც ის იქამდე არ ყოფილა, დაიპყროს და აითვისოს ახალი სივრცეები.

სახეობების შემოტანა განპირობებულია ადამიანის წინასწარ განზრახული (მაგალითად, მცენარეების), ან შემთხვევითი ქმედებით (Jeschke et al., 2014; Krumm & Vitkova, 2016). აქედან გამომდინარე, ინტროდუქცია შესაძლოა იყოს მიზნობრივი, წინასწარ განზრახული ან შემთხვევითი, ხოლო მიზნობრივი ინტროდუქცია შეიძლება იყოს ლეგალური ან არალეგალური (ქავთარაძე და სხვ., 2024).

XX ს-ის ბოლოსთვის უცხო ინვაზიურ სახეობათა ნეგატიური ზემოქმედება ფლორაზე, ფაუნაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე და ეკონომიკაზე იმდენად გაიზარდა და გაძლიერდა, რომ უკვე გლობალური ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათი მიიღო და როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო ინსტიტუტების ყურადღება მიიპყრო (UN Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992; Norway/UN Conference on Alien Species, Trondheim, 1996). ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის შეფასებით (CBD, 2022, 2023), უცხო (არაბორიგენულ) ორგანიზმთა ინვაზია თავისი მნიშვნელობით, ჰაბიტატების უშუალო განადგურების შემდეგ, მეორე საფრთხედაა აღიარებული გლობალურ დონეზე. ბიოლოგიური ინვაზია განიხილება როგორც ერთ-ერთი იმ 5 ძირითადი ფაქტორიდან, რომლებიც გლობალური ბიომრავალფეროვნების კარგვას განაპირობებს (Lewis, Maslin, 2015; Courchamp et al., 2017; Lakicevic, Mladenovic, 2018).

უცხო ინვაზიურ სახეობათა უკონტროლო გავრცელება არა მხოლოდ ნეგატიურ ეკოლოგიურ, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებსაც იწვევს (Born et al., 2005). მცენარეები განსაკუთრებით აბეზარი ექსპანსიონისტები არიან, რამდენადაც ისინი იწვევენ სერიოზულ ცვლილებებს კვების პირამიდის ქვედა დონეებზე და ძირფესვიანად ცვლიან მთლიან ეკოსისტემას. ზოგიერთი მცენარის ინვაზია საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას (ალერგია, პარაზიტული დაავადებები). მათ შეუძლიათ უარყოფითად იმოქმედონ რეკრეაციულ აქტივობაზე, ტურიზმზე და განათლებაზე (Pyšek, Richardson, 2010; Mazza et al., 2013; Cuthbert et al., 2020; de Groot et al., 2020). განვითარების საერთაშორისო ბანკის შეფასებით, მხოლოდ აშშ-ში ინვაზიური ორგანიზმები წარმოების მოცულობას 147 მლრდ \$-ით ამცირებენ, ინდოეთში - 100 მლრდ \$-ით, ბრაზილიაში - 50 მლრდ \$-ით, ჩინეთში - 7.9 მლრდ \$-ით, სამხრეთ აფრიკაში - 7 მლრდ \$-ით (Xu Rumei, 2005).

ინვაზიასთან დაკავშირებული ეკონომიკური დანაკარგები ძალიან შთამბეჭდავია და ზარალი 10-ჯერ და მეტად აჭარბებს გატარებული ღონისძიებების ხარჯებს. ასე, მაგალითად, 1960-2020 წწ ინვაზიასთან ბრძოლა კაცობრიობას 100 მლრდ აშშ \$-დდე დაუჯდა მაშინ, როცა ზარალმა 1.2 ტრლ აშშ \$-ს მიაღწია. ამან გამოიწვია ფაქტობრივად აღურიცხავი გიგანტური პირდაპირი და ირიბი დანაკარგები აგრარულ და სატყეო სექტორებში, თევზის მრეწველობაში, ზიანი მიიღო სხვადასხვა ინფრასტრუქტურამ, ადამიანურმა რესურსებმა, სოციალურმა სისტემამ (Cuthbert et al., 2022).

აღნიშნული აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია უცხო ინვაზიურ სახეობებზე სწრაფი რეაგირება და მათი შემოჭრის თავიდან აცილება.

ბიოლოგიური ინვაზიის მართვა პირველ რიგში გულისხმობს ინვაზიის გზების, ანუ ვექტორების იდენტიფიკაციას და იმის შესწავლას, თუ როგორ გადალახავს სახეობა თითოეულ ეტაპს, სტრატეგიების შემუშავებას სახიფათო სახეობების ინვაზიის პრევენციის, ამ სახეობის განადგურების, ან კონტროლისთვის (Clout & Williams, 2009). ერთი მხრივ უცხო სახეობების ინვაზიის ძირითადი მიზეზი ადამიანია, მეორე მხრივ კი მხოლოდ ადამიანს შეუძლია იპოვოს პრობლემის გადაჭრის გზები (McNeely 2006).

მეთოდებიდან, რომლებიც უკვე შექმნილი ვითარების გამოსწორებას ემსახურება, აღსანიშნავია 3 მიმართულება: მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური.

მექანიკური კონტროლი გარემოდან მცენარეთა ფიზიკურ ამოღებას (მოცილებას) გულისხმობს როგორც მარტივი, ისე შედარებით რთული აგროსამრეწველო მეთოდებით (გამარგვლა, მოთიბვა, პლასტიკური აპკის მეშვეობით ზრდა-განვითარების დათრგუნვა - ე.წ. მოხუთვა).

ქიმიური მეთოდები პესტიციდების და ჰერბიციდების მოხმარებაზეა ორიენტირებული, რაც ბოლო ხანებამდე მათთან ბრძოლის ყველაზე ქმედით ღონისძიებად განიხილებოდა, თუმცა ჯანმრთელობის რისკების შემცველიცაა (Gosset al., 2020).

ბიოლოგიური მეთოდები მრავალფეროვანია. ზოგი მათგანი მცენარეთა დაავადებებისა და კონსუმენტი მწერების - „ბიოლოგიური მტრების“ გამოყენებას ითვალისწინებს. მასში მეთოდების ფართო სპექტრი იგულისხმება.


აღსანიშნავია „ეკოლოგიური რესტავრაციის“ მეთოდი. ის დაზიანებული ეკოსისტემის აღდგენას უწყობს ხელს და, როგორც წესი, გვიანდელი სუქცესიური სტადიების აბორიგენული სახეობების დარგვაზე/დათესვაზე აკეთებს აქცენტს (SER, 2002).

ბიოლოგიური მეთოდების ერთ-ერთი სახეა ინვაზიური მცენარეების საკვებად გამოყენება. მცენარეთა ინვაზიური სახეობები განიხილება როგორც ცილის და სასარგებლო ფიტოქიმიური ნივთიერებების მდგრადი წყარო. ამ გზით, ინვაზიურ სახეობათა პოპულაციების რიცხოვნობის შემცირება გარკვეულწილად შესაძლებელია, თუმცა ამ მეთოდის მოწინააღმდეგებიც არიან (Bryce, 2015).

ბიოლოგიურ მეთოდთაგან და ერთ-ერთი და მთავარი გენეტიკური კონტროლია. ის გულისხმობს ინვაზიურ მცენარეთა პოპულაციების დათრგუნვას გენეტიკური მეთოდებით ისე, რომ არ დაზიანდეს გარემო. ტერმინი „გენეტიკური ბიოკონტროლი“ აღწერს ორგანიზმის გენეტიკური მასალის ცვლილების მეთოდებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდების დიდი ნაწილი არ გულისხმობს გენომის გაშიფრას და მისით მანიპულირებას (Ward et al., 2008; Hodgins et al., 2009; Harvey-Samuel et al., 2017; Teem et al., 2020).

გლობალურ დონეზე უცხო ინვაზიური სახეობების მართვა და კონტროლი მნიშვნელოვან ეკონომიკურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც წელიწადში საშუალოდ 1.4 ტრლნ აშშ \$-ს შეადგენს. ამასთან, ასეთი ხარჯები, დაწყებული 1970 წლიდან, დეკადაში 4-ჯერ იზრდება (Amstutz, 2018). უმეტეს შემთხვევაში, უცხო ინვაზიური სახეობებისგან მიღებული ეკონომიკური სარგებელი ბევრად ნაკლებია იმ ზარალთან შედარებით, რაც მათ მოაქვთ (Molnar et al., 2008; Pyšek P., Richardson, 2010).

ინვაზიური სახეობების მიერ გამოწვეული პრობლემები, მათ შორის საქართველოში, გამოვსახეთ სქემაზე (ნახ.1.)



ნახ. 1. უცხო ინვაზიური სახეობების უარყოფითი გავლენა (შემუშავებულია პირველ ვორქშოფზე,  
„უცხო ინვაზიური სახეობების კონცეფციის შემუშავებისთვის“)

ხშირად ინვაზიური სახეობების მენეჯმენტი წარმატებულად ითვლება ამ სახეობების განადგურების ან რაოდენობის შემცირების შემდეგ. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ მართვის პროგრამის საბოლოო მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ უცხო სახეობის მოშორება, არამედ ეკოსისტემის ბიომრავალფეროვნების აღდგენა.

ინვაზიური სახეობების განადგურება დადებითად მოქმედებს ბუნებრივ ბიომრავალფეროვნებაზე. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც პირიქით, ერადიკაციას უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ასე არის, მაგალითად, თუ ეკოსისტემაში ინვაზიური სახეობა გადაშენებული სახეობის ფუნქციას ასრულებს (თესლის გამავრცელებელი ინვაზიური ფრინველები ჰავაის ტყეებში, ბუნებრივი სახეობების განადგურების შემდეგ) (Case S.B & Corey E. T., 2023).

მცენარეთა უცხო ინვაზიურ სახეობებსაც ნეგატიური შედეგების გარდა, შეუძლიათ უთუო სარგებლის მოტანაც. სწორედ ეს არის ადამიანის მიერ მათი წინასწარგანზრახული გავრცელების უმთავრესი მიზეზიც. ეს სარგებელი შესაძლებელია იყოს ეკოლოგიური, გარემოს დაცვითი, კომერციული და სხვა. ქვემოთ ჩამოთვლილია ის სარგებელი, რაც მოაქვს ინვაზიური სახეობების მცენარეებს:

- ✓ ჰაბიტატი სხვა ორგანიზმებისთვის;
- ✓ საკვები ბაზა აბორიგენი სახეობებისთვის;
- ✓ ცილის და სასარგებლო ფიტოქიმიური ნივთიერებების მდგრადი წყარო ადამიანისთვის;
- ✓ ეკოსისტემის აღდგენის კატალიზატორი;
- ✓ ეკოსისტემის ჰეტეროგენურობის და მრავალფეროვნების ზრდა;
- ✓ დეგრადირებულ ეკოსისტემებში მიკროკლიმატის შეცვლა, აბორიგენი მცენარეულობის განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ ეკოსისტემური მომსახურება: ბიოკონტროლი. მაგალითად, ინვაზიური სასოფლო-სამეურნეო მავნებლის დათრგუნვა (Schlaepfer et al., 2011);
- ✓ ეკოლოგიური-საინჟინრო ფუნქცია:, სამიზნე ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა (Hansen et al., 2010; Schlaepfer et al., 2011; Searcy et al., 2016).
- ✓ კომერციული მოგება, მნიშვნელოვანი წარმატების მოტანა ბიოენერგეტიკის განვითარების საქმეში (Wolverton, McDonald, 1981; Duke, 1983; Van Meerbeek et al., 2015).

ამავე დროს, მოსაზრებას, რომ ინტროდუცირებულ სახეობათა უმეტესობა ნეიტრალური ან სასარგებლოა აბორიგენი სახეობებისთვის, მეცნიერთა მხოლოდ მცირე ნაწილი იზიარებს (Thomas, 2017). უმეტესობის აზრით, მათი გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე ნეგატიურია (Halley, 2019; Diagne et al., 2020).

ინვაზიური სახეობების მენეჯმენტის დროს აუცილებლად შესასწავლი და გასათვალისწინებელია ურთიერთობები ინვაზიურსა და ადგილობრივ სახეობებს შორს.

ინვაზიურ სახეობათა მოსპობა რთულია იქიდან გამომდინარე, რომ არ არის მარტივი ისეთი მეთოდების შემუშავება, რომლებიც მათ გავრცელებას ეფექტურად შეაჩერებდნენ ისე, რომ ზიანი არ მიადგეს აბორიგენულ მცენარეულობას, ადამიანის ჯანმრთელობას და სხვ. (Wilson,

2002; Bakker, Wilson, 2004). მეთოდების ნაწილი ემსახურება პრევენციას, ზოგიც უკვე შექმნილი ვითარების მეტ-ნაკლებ გამოსწორებას.

პრევენციული მეთოდებიდან უმთავრესია ტვირთის შემოწმება და კარანტინი. ამის თავდაპირველი მოტივაცია იყო სასოფლო-სამეურნეო მავნებლებისგან თავდაცვა და იმავდროულად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეუფერხებელი ექსპორტი. 1994 წ შეიქმნა და შეთანხმდა პირველი გლობალური სტანდარტების ნუსხა, მათ შორის, შეთანხმება სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ღონისძიებათა შესახებ (SPS-შეთანხმება). მასზე კონტროლს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია აწარმოებს. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია კი აკონტროლებს საზღვაო ტრანსპორტის ბალასტური წყლების მართვის საერთაშორისო კონვენციის შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ ბიომრავალფეროვნების კონვენცია მიმართულია უფრო ზოგად ეკოლოგიურ პრობლემებზე, იგი მაინც გარკვეულ ყურადღებას უთმობს მონაწილეთა მიერ უცხო ინვაზიურ სახეობებთან დაკავშირებული ქმედებების კონტროლს (Lodge et al., 2016).

მეთოდებიდან, რომლებიც უკვე შექმნილი ვითარების გამოსწორებას ემსახურება, აღსანიშნავია 3 მიმართულება: მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური.

მექანიკური კონტროლი გარემოდან მცენარეთა ფიზიკურ ამოღებას (მოცილებას) გულისხმობს როგორც მარტივი, ისე შედარებით რთული აგროსამრეწველო მეთოდებით (გამარგვლა, მოთიბვა, პლასტიკური აპკის მეშვეობით ზრდა-განვითარების დათრგუნვა - ე.წ. მოხუთვა).

ქიმიური მეთოდები პესტიციდების და ჰერბიციდების მოხმარებაზეა ორიენტირებული, რაც ბოლო ხანებამდე მათთან ბრძოლის ყველაზე ქმედით ღონისძიებად განიხილებოდა, თუმცა ჯანმრთელობის რისკების შემცველიცაა (Gosset al., 2020).

ბიოლოგიური მეთოდები მრავალფეროვანია. ზოგი მათგანი მცენარეთა დაავადებებისა და კონსუმენტი მწერების - „ბიოლოგიური მტრების“ გამოყენებას ითვალისწინებს. მასში მეთოდების ფართო სპექტრი იგულისხმება.

აღსანიშნავია „ეკოლოგიური რესტავრაციის“ მეთოდი. ის დაზიანებული ეკოსისტემის აღდგენას უწყობს ხელს და, როგორც წესი, გვიანდელი სუქცესიური სტადიების აბორიგენული სახეობების დარგვაზე/დათესვაზე აკეთებს აქცენტს (SER, 2002).

ბიოლოგიური მეთოდების ერთ-ერთი სახეა ინვაზიური მცენარეების საკვებად გამოყენება. მცენარეთა ინვაზიური სახეობები განიხილება როგორც ცილის და სასარგებლო ფიტოქიმიური ნივთიერებების მდგრადი წყარო. ამ გზით, ინვაზიურ სახეობათა პოპულაციების რიცხოვნობის შემცირება გარკვეულწილად შესაძლებელია, თუმცა ამ მეთოდის მოწინააღმდეგებიც არიან (Bryce, 2015).

ბიოლოგიურ მეთოდთაგან და ერთ-ერთი და მთავარი გენეტიკური კონტროლია. ის გულისხმობს ინვაზიურ მცენარეთა პოპულაციების დათრგუნვას გენეტიკური მეთოდებით ისე, რომ არ დაზიანდეს გარემო. ტერმინი „გენეტიკური ბიოკონტროლი“ აღწერს ორგანიზმის გენეტიკური მასალის ცვლილების მეთოდებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდების დიდი ნაწილი არ გულისხმობს გენომის გაშიფრას და მისით მანიპულირებას (Ward et al., 2008; Hodgins et al., 2009; Harvey-Samuel et al., 2017; Teem et al., 2020).

არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტი ინვაზიური სახეობების მიერ შექმნილი პრობლემების გადასაჭრელად. ყველაზე ძველია მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, რომელიც შემუშავდა 1952 წელს. კონვენციამ შექმნა საერთაშორისო რეჟიმი მცენარეთა მავნებლების ინტროდუქციის და გავრცელების თავიდან ასაშორებლად სანიტარულ-ჰიგიენური ზომების გატარების მეშვეობით მხარეთა ქვეყნების მიერ. ყველაზე ფართო - კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (1992), რომელზეც ხელი მოწერილი აქვს 196 ქვეყანას. კონვენციის თანახმად მხარეებმა ხელი უნდა შეუშალონ უცხო სახეობების შემოჭრას, უნდა აკონტროლონ და აღმოფხვრან ის სახეობები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეკოსისტემებს, ჰაბიტატებს ან სახეობებს (მე-8 სტატია).

ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც შეიქმნა ინვაზიური სახეობების პრობლემის გადასაჭრელად არის ინვაზიური სახეობების გლობალური პროგრამის (GISP) მიერ შემუშავებული გლობალური სტრატეგია უცხო ინვაზიური სახეობებისათვის (McNeely et al. 2001), სადაც მოცემულია 10 სტრატეგიული პასუხი ინვაზიური სახეობების მიერ შექმნილი პრობლემების გადასაჭრელად (ნახ #2)

ინვაზიური სახეობების მართვისთვის საჭირო უნარების და  
რესურსების განვითარება

კვლევისთვის შესაძლებლობების გაძლიერება

ინფორმაციის გავრცელება

ეკონომიკური პოლიტიკის და ინსტრუმენტების შემუშავება

ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო ლეგალური და  
ინსტიტუციური ჩარჩოების გაძლიერება

გარემოსთვის რისკების ანალიზის ინსტიტუციის შექმნა

მოსახლეობის ინფორმირებულობა და ჩართვა

ეროვნული სტრატეგიების და გეგმების მომზადება

ინვაზიურ სახეობებთან დაკავშირებული პრობლემების ჩართვა  
გლობალური ცვლილებების ინიციატივებში

საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა ინვაზიური  
სახეობების პრობლემებთან გამკლავებაში

**ნახ.2. 10 სტრატეგიული პასუხი ინვაზიური სახეობების მიერ შექმნილი პრობლემების  
გადასაჭრელად (ინვაზიური სახეობების გლობალური პროგრამის (GISP) მიხედვით)**

ამავე დოკუმენტში მოცემულია 40-ზე მეტი საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც არეგულირებს სახეობის ინვაზიას ან/და ასახავს უცხო ინვაზიური სახეობების მიერ შექმნილი პრობლემების გადაჭრის გზებს. ასეთია მაგალითად, გაერთიანებული ერების კონვენცია საზღვაო კანონის შესახებ, რომლის 196 მუხლის მიხედვით, მხარეები ვალდებულები არიან მიიღონ ყველანაირი ზომა უცხო ინვაზიური სახეობების საზღვაო გარემოში შემოყვანის პრევენციის, შემცირების და კონტროლისთვის; კონვენციის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველებისთვის საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ (რამსარის კონვენცია) VII.14. რეზოლუციაში საუბარია სახეობების ინვაზიის ხიფათზე ჭარბტენიან ტერიტორიებზე; კონვენციის ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ (ბონის კონვენცია) მიხედვით მხარეებმა უნდა გააკეთონ იმ ფაქტორების პრევენცია, შეამცირონ, აკონტროლონ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოწყვლად მიგრირებად სახეობებს, მათ შორის ეგზოტიკური სახეობების შემოყვანას, აკონტროლონ მიგრირებადი სახეობებისთვის ზიანის მომტანი უკვე შემოყვანილი ეგზოტიკური სახეობები (მუხლი V (5)(e)) (McNeel et al., 2001).

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციის მიერ დაწესებულია რეგულაციები საბალასტო წყლების დამუშავებისა და მენეჯმენტის შესახებ. მხარეთა ქვეყნები ვალდებულები არიან გემებზე დააყენონ საბალასტო წყლების გადამამუშავებელი სისტემები და მიჰყვნენ სპეციალურ სახელმძღვანელოებს ([IMO : https://www.imo.org/](https://www.imo.org/)).

უცხო ინვაზიური სახეობების რეგულაციები ევროკავშირის მიხედვით (Regulation (EU) 1143/2014) მოიცავს ევროპის მასშტაბით მისაღებ ზომებს ინვაზიურ სახეობებთან მიმართებაში. აქ მოცემულია ევროპული კავშირისთვის გამოყოფილი ინვაზიური სახეობების ნუსხა, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას (ევროკავშირის უცხო ინვაზიური სახეობების ნუსხა), სადაც შეტანილია 88 სახეობა (47 სახეობის ცხოველი და 41 სახეობის მცენარე). ევროკავშირის სტრატეგიის თანახმად, 2030 წლისთვის ევროკავშირი იღებს დაფუძნებული უცხო ინვაზიური სახეობების მენეჯმენტის ვალდებულებას და საერთაშორისო წითელი ნუსხის სახეობების 50%-ით შემცირებას. რომლებზეც მოქმედებენ ინვაზიური სახეობები.

ევროკავშირთან 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება ითანამშრომლოს საერთაშორისო და რეგიონულ

დონეებზე ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხებში. ვალდებულებები ეხება გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, მათ ჰაბიტატებს, განსაკუთრებული დაცვის ბუნებრივ ტერიტორიებს და გენეტიკურ მრავალფეროვნებას, ეკოსისტემების აღდგენას, ასევე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრას ან შემცირებას. ყურადღება გამახვილებულია სატყეო სექტორზეც - საქართველო ვალდებულია ითანამშრომოლოს საერთაშორისო და გლობალურ დონეებზე ხე-ტყის საფარის დაცვისა და ყველანაირი ტყის ტიპის მდგრადი მართვის ხელშეწყობის მიზნით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ასოცირების შესახებ შეთანხმება).

საკანონმდებლო თვალსაზრისით ევროკავშირში საკითხს არეგულირებს ინვაზიური უცხო სახეობების რეგულაცია (Regulation (EU) 1143/2014). მასში გაწერილია ღონისძიებები, რასაც ევროკავშირი ახორციელებს ინვაზიურ უცხო სახეობებთან დაკავშირებით. იგი მოიცავს სახეობების ჩამონათვალს და შეზღუდვებს, რომლებიც ეხება ამ სახეობების შენახვას, იმპორტს, გაყიდვას, შეჯვარებას, გამოზრდას და ბუნებაში გაშვებას. კავშირის წევრ სახელმწიფოებს ევალებათ მოახდინონ 1) გავრცელების პრევენცია, 2) ადრეული აღმოჩენა და მყისიერი განეიტრალება, 3) მართონ უკვე დამკვიდრებული პოპულაციები (European Commission, Invasive alien species).

შექმნილია რიგი სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები ინვაზიური სახეობების გავრცელების პრევენციის, ადრეული აღმოჩენის და მყისიერი განეიტრალების და დამკვიდრებული პოპულაციების მართვისთვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ევროპის უცხო სახეობების საინფორმაციო ქსელი (EASIN) - ონლაინ პლატფორმა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ევროპაში გავრცელებული უცხო სახეობების შესახებ და ეხმარება ევროკომისიას და წევრ ქვეყნებს რეგულაციის იმპლემენტაციაში. მნიშვნელოვანია ინვაზიურ უცხო სახეობების (IAS) შესახებ შეტყობინების სისტემა (Notsys) - სისტემის მეშვეობით წევრი ქვეყნები ამცნობენ კომისიას პრობლემური ინვაზიური უცხო სახეობების ახალი კერების და გატარებული ღონისძიებების შესახებ (European Commission, Invasive alien species).

გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მე-15 მიზანში აღნიშნულია, რომ ბიოლოგიური ინვაზია ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და სურსათის უსაფრთხოებას. მე-15 მიზანი ფოკუსირებულია ტყეების მდგრად მართვაზე,

ბუნებრივი ჰაბიტატების დეგრადაციის შეჩერებაზე, გაუდაბნოებასთან ბრძოლაზე და ბიომრავალფეროვნების კარგვის (UN DESA, 2023.).

უცხო ინვაზიური სახეობების გავლენის შესაფასებლად ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN)მიერ შემუშავებულია ამ სახეობების გარემოზე გავლენის კლასიფიკაცია (The Environmental Impact Classification for Alien Taxa (EICAT)). ამ კლასიფიკაციის მიხედვით ფასდება ინვაზიური სახეობების ზემოქმედების სიძლიერე მათი ბუნებრივი არეალების გარეთ.

შექმნილია ინვაზიური სახეობების მონაცემთა გლობალური ბაზა (<https://www.iucngisd.org/gisd/>), რომელიც იმართება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის სახეობების გადარცენის კომისიის ინვაზიური სახეობების სპეციალისტთა ჯგუფის მიერ (ISSG). აღნიშნული ჯგუფი ფლობს აგრეთვე ინფორმაციას ინვაზიური სახეობების გავლენის და ადგილობრივი სახეობების გადაშენების ხელშეწყობის შესახებ (IUCN (2020)).

ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც დგას ინვაზიური სახეობების პრობლემა, თუმცა თანამედროვე მონაცემები უცხო სახეობების შესახებ მწირია. არ არსებობს ქმედებების გეგმა უცხო ინვაზიური სახეობების ქვეყანაში შემოსვლის თავიდან აცილების, უკვე არსებული სახეობების გავლენის შერბილების და აღმოფხვრის შესახებ.

2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის თანახმად, არ არსებობს საქართველოში გავრცელებული ინვაზიური სახეობების ერთიანი (რომელიმე სამართლებრივი აქტით, ან თუნდაც კვლევით განსაზღვრული) ნუსხა. არ არის დადასტურებულად იდენტიფიცირებული მათი შემოსვლის და გავრცელების გზები; ასევე არ არის შეფასებული რისკები და მოსალოდნელი ზიანი. სახელმწიფო უწყებებში, სამეცნიერო და ექსპერტულ წრეებში არსებული მონაცემები მცენარეთა და ცხოველთა ინვაზიური სახეობების შესახებ არასრული და ფრაგმენტულია. კანონმდებლობა ინვაზიურ სახეობებთან მიმართებით არასრულყოფილი და არაქმედითია. ამ ეტაპზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია აკრძალვა მხოლოდ საქართველოსთვის უცხო სახეობების ცხოველების შემოყვანაზე, მათი ინტროდუქციის მიზნით (საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა 2022).

სწორედ ამიტომ გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით გადაწყდა უცხო ინვაზიური სახეობებისთვის მართვის კონცეფციის შემუშავება. კონცეფციის შემუშავებაში მონაწილეობენ სხვადასხვა ტქესონომიური ჯგუფების ექსპერტები, რომელთა მიერ მომზადდა არსებული სიტუაციის ანალიზი, გაიმართა შეხვედრები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მათ შორის ბიომრავალფეროვნების და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის

ჩატარდა სამი სამუშაო შეხვედრა: 1)უცხო ინვაზიური სახეობების კონცეფციის შემუშავებისთვის, 2) უცხო ინვაზიური სახეობები: პრობლემები, შეფასების კრიტერიუმები, 3) უცხო ინვაზიური სახეობების მართვის კონცეფციის განხილვა. ამ შეხვედრებზე მიღებული ძირითადი გადაწყვეტილებები და შენიშვნები შესულია კონცეფციის ტექსტში.

ძირითადი დოკუმენტები, რომლის საფუძველზე შემუშავდა უცხო ინვაზიური სახეობების მართვის კონცეფცია წარმოდგენილია N1 ცხრილში

**ცხრილი N 1. საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებმიც მოცემულია რეკომენდაციები უცხო ინვაზიური სახეობების რეგულაციის შესახებ**

<p>ევროპული კაფშირის რეგულაციები უცხო ინვაზიური სახეობების მიმართ European Union Regulation on Invasive Alien Species</p> <p><b>IUCN guide to the EU Regulation on Invasive Alien Species</b></p>	<p>ევროკაფშირს აქვს სპეციფიური რეგულაციები (EU Regulation 1143/2014), რომლებიც ხება უცხო ინვაზიურს სახეობებს, პრევენციის, ადრეული დეტექციის, სწრაფი განადგურების და მენეჯმენტის ჩათვლით</p>
<p>ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის Convention on the Conservation of European Wildlife and Natural Habitats (Bern Convention)</p>	<p>ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების კაბიტატების ინვაზიური სახობებისგან დაცვა რეზოლუციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით</p>

<p><b>ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია</b></p> <p><b>THE CONVENTION ON BIOLOGICAL DIVERSITY</b></p>	<p>მუხლი 8(ჩ) სპეციალურად ეძღვნება უცხო ინვაზიური სახეობების ინტროდუქციის პრევენციას, კონტროლს და საჭიროების შემთხვევაში განადგურებას, რომლებიც აზიანებენ ეკოსისტემებს, ჰაბიტატებს და სახეობებს.</p> <p>ბიომრავალფეროვნების აიჩის მიზნებში (მიზანი 9) წერია, რომ აუცილებელია ინვაზიური უცხო სახეობების იდენტიფიკაცია, პრიორიტეტიზაცია, ინვაზიის გზების განსაზღვრა, სახეობების კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში განადგურება, შემოსვლის გზების მენეჯმენტი</p>
<p><b>ევროპაში ინვაზიური უცხო სახეობების გავრცელება (Impl. Reg. (EU) 2022/1203)</b></p>	<p>მონაცემებზე დაფუძნებული უცხო ინვაზიური სახეობების შეხვედრის წერილები, მიზანია ინვაზიურ სახეობებთან დაკავშირებით პოლიტიკის შემუშავებაში დახმარება ევროპის ფარგლებში</p>
<p><b>გლობალური სტრატეგია ინვაზიური სახეობების შესახებ</b></p> <p><b>Global Strategy on Invasive Alien Species.2000</b></p>	<p>სტრატეგია შემუშავდა ინვაზიური სახეობების გლობალური პროგრამის მიერ, როგორც პასუხი უცხო ინვაზიური სახეობების მიერ გამოწვეულ სულ უფრო და უფრო მზარდ პრობლემებზე, რომლებიც ახალ გარემოში მოხვედრისას აზიანებენ ეკოსისტემებს</p>
<p><b>მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენცია</b></p> <p><b>THE INTERNATIONAL PLANT PROTECTION CONVENTION</b></p>	<p>იცავს როგორც ველურ, ისე კულტივირებულ მცენარეებს მავნებლების შემოჭრის და გავრცელების პრევენციის საშუალებით. ჩამოყალიბებული აქვს საერთაშორისო ფიტოსანიტარული სტანდარტები რომელიც არაპირდაპირად ეხმარება ინვაზიური სახეობების მენეჯმენტში</p>
<p><b>ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის</b></p> <p><b>World Organisation for Animal Health (OIE)</b></p>	<p>აქვს სახელმძღვანელოები და სტანდარტები დაავადებების გავრცელების პრევენციისთვის, რომელიც მოიცავს ინვაზიურ სახეობებს, რომლებიც არიან ცხოველების პათოგენები</p>
<p><b>ბალასტის წყლის მენეჯმენტის კონვენცია</b></p>	<p>მიღებულია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ და მიზნად ისახავს სახიფათო წყლის ორგანიზმების გავრცელების პრევენციას, რომელსაც შეიცავენ საბალასტო წყლები</p>

<b>Ballast Water Management Convention (BWM)</b>	
<b>გაერთიანებული ერების კონვენცია საზღვაო კანონზე United Nations Convention on the Law of the Sea (UNCLOS)</b>	196-ე მუხლი of UNCLOS ავალდებულებს მხარეებს აკონტროლონ ახალი სახეობების შემთხვევითი ან მიზანმიმართული შეყვანა ზღვის ეკოსისტემებში, რადგან მათ შეიძლება შეუქცევადი ცვლილებები გამოიწვიონ
<b>კონვენცია მნიშვნელობის განსაკუთრებით ფრინველებისთვის ვარგისი, ტერიტორიების სამსარის კონვენცია)</b>  <b>Ramsar Convention on Wetlands</b>	რამსარის კონვენციას აქვს ინვაზიური სახეობების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები, სადაც გაწერილია, თუ როგორ უნდა შენარჩუნდეს ჭარბტენიანი ტერიტორიების ეკოლოგიური მახასიათებლები ისე, რომ არ დაირღვეს ეკოსისტემის მთლიანობა (Resolution VIII.18)
<b>კონვენცია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ  Convention on International Trade in Endangered Species of Wild Fauna and Flora (CITES)</b>	კონვენციის მთაბვარ მიზანს წარმოადგენს საფრთხეები მყოფი სახეობებით ვაჭრობის რეგულირება, თუმცა აქაც ხაზგასმულია ინვაზიური სახეობების შემოყვანის საშიშროება საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად

უცხო ინვაზიური სახეობების მართვის კონცეფციის შემუშავებაში დაგვეხმარა აგრეთვე გადაწყვეტილებების ხე, რომელიც წარმოდგენილია დამატება #1-ში.

## სიტუაციის ანალიზი

ცნობილია, რომ მე-XIX საუკუნიდან მაინც, საქართველოში მიზანმიმართულად შემოყავდათ უცხო სახეობები (კოხოძე, 1991). ზოგი მათგანი თანდათანობით გაქრა (მაგალითად, ენოტისებური ძაღლი, *Nyctereutes procyonoides*), ზოგი კი დაფუძნდა და არეალსაც იფართოვებს (მაგალითად, ენოტი, *Procyon lotor*). მიზანმიმართული შემოყვანის გარდა იყო კიდევ შემთხვევითი მოხვედრა, მაგალითად, საკვებ პროდუქტებთან, სხვადასხვა ტიპის მასალებთან ერთად, ბალასტის წყლებით და სხვა. ცოდნა ინვაზიური სახეობების ვექტორების (მოხვედრის გზების), მათი გავლენის შესახებ საქართველოში მწირია და ფრაგმენტული. შესაბამისად, შეუძლებელია ეფექტური ქმედებების განხორციელება მათი ქვეყანაში შემოსვლის პრევენციის და უკვე დაფუძნებული უცხო ინვაზიური სახეობების გავლენის შერბილებისთვის.

2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში (2014) ხაზგასმულია, რომ არ არსებობს დეტალური კვლევა უცხო ინვაზიური სახეობების ზემოქმედების ბიომრავალფეროვნებაზე და ეკოსისტემებზე. შედეგად შეუძლებელია მათ მავნე გავლენის შესამცირებლად საპასუხო ღონისძიებების შემუშავება. გარდა ამისა, თუმცა ცხოველთა უცხო სახეობების ინტროდუქცია კანონით რეგულირება, არ არსებობს ჩამოყალიბებული სტრატეგია უკვე გავრცელებული უცხო სახეობების მიმართ.

არ რის გაწერილი დეტალურად პრევენციული (საკანონმდებლო აქტები, ვაჭრობისა და სასაზღვრო კონტროლი და ა.შ.) ზომები, რათა თავიდან აცილებულ იქნას ახალი უცხო სახეობების (ზოგ შემთხვევაში კი ქვესახეობების) გავრცელება საქართველოში.

ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში აღნიშნულია დაცულ ტერიტორიებზე ინვაზიური სახეობების გავლენის შესწავლის მნიშვნელობა და მართვის პროგრამების შემუშავება. სამწუხაროდ, სტრატეგიით განსაზღვრული ვადა ამოიწურა, უცხო ინვაზიური სახეობების კუთხით კი თითქმის არცერთი დაგეგმილი ქმედება არ შესრულებულა.

არაადგილობრივი სახეობები და მათი მდგრადი, ექსპანსიური პოპულაციები მრავალი თვალსაზრისით საფრთხის შემცველია და სხვადასხვა სახის ქმედითი ნაბიჯის გადადგმას მოითხოვს. საქართველო მნიშვნელოვანია როგორც რეგიონული, ისე მთლიანად ევროპული ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხში, ვინაიდან კავკასია ევროპის ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი გამორჩეული „ცხელი წერტილია“ (Mittermeier et al., 2000; Myers et al., 2000; Zazanashvili et al., 2020), ხოლო საქართველო მისი საკმაოდ დიდი ნაწილი. კავკასიის ეკორეგიონი ერთ-ერთია იმ ორას ეკორეგიონს შორის, რომლებიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ აღიარებულია კონსერვაციისათვის პრიორიტეტულ ტერიტორიებად (Olson, Dinerstein, 1998, 2002). ამასთან, საქართველო მიერთებულია გაეროს კონვენციას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (Convention on Biological Diversity UN Environment Programme, 2011) და ვალდებულია დაიცვას საკუთარი და მეზობელი ქვეყნების ბუნებრივი და ეკონომიკური სივრცეები უცხო ინვაზიური სახეობების ექსპანსიისგან, არ დაუშვას უცხო სახეობათა შეჭრა ბუნებრივ ეკოსისტემებში, გააკონტროლოს და გააუვნებელყოს ისინი.

მრავალი მეცნიერის აზრით, ინვაზიურ სახეობებს უნდა გამოარჩევდეთ გარკვეული ნიშან-თვისებები და უნარები, რაც უცხო გარემოში მათ წარმატებულ დამკვიდრებას უნდა უზრუნველყოფდეს. განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მათ ძიებას დაეთმო, ვინაიდან აღმოჩენილი კანონზომიერებები უცხო ინვაზიურ სახეობებთან ბრძოლის გზებსა და მათი კონტროლის მექანიზმებს შეუწყობდნენ ხელს. ამ მხრივ, საყურადღებო იყო ჰ. ბეიკერის (Baker, 1965, 1974) კვლევები. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო სარეველების მიერ თავისუფალი ეკოლოგიური ნიშების ათვისების საკითხების შესწავლისას მან ყურადღება გაამახვილა მცენარეთა ინვაზიურობასთან დაკავშირებულ მახასიათებლებზე, რის საფუძველზეც ჩამოაყალიბა ნიშან-თვისებათა დეტალური ნუსხა, რომელიც ე.წ. იდეალურ სარეველას დაახასიათებდა. ესენია: (1) ჰაბიტატის ეკოლოგიური პირობების მიმართ დაბალი მომთხოვნელობა; (2) თესლის მაღალი სიცოცხლისუნარიანობა და აქედან გამომდინარე, გაღივების გახანგრძლივებული პერიოდი; (3) აღმონაცენის სწრაფი ზრდა; (4) სწრაფი გადასვლა გენერაციულ ფაზაში; (5) თესლწარმოქმნის მაღალი პროდუქტიულობა; (6) თვითდამუშერვის უნარი; (7) ჯვარედინი დამტვერვის უნარი (იმტვერება ქარითაც და

დამამტვერიანებელი მწერებითაც); (8) ზოოქორია<sup>1</sup>; (9) თესლის გავრცელების სხვა სპეციალური მორფოლოგიური ადაპტაციების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გადატანას როგორც მოკლე, ისე შორ მანძილებზე; (10) წყლისადმი განსაკუთრებული მედეგობის გამო (ძლებს 4-6 კვირა) ძალიან გრძელ დისტანციაზე გავრცელების უნარი; (11) უაღრესად ენერგიული ვეგუტატიური გამრავლება (მრავალწლოვნობის შემთხვევაში) და აღმოცენების უნარის შენარჩუნება ფრაგმენტირებული და დაზიანებული ფესურიდანაც კი; (12) ალელოპათიის<sup>2</sup> დახმარებით მაღალი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება ქიმიური ნივთიერებებით მეზობელი აბორიგენი სახეობების გამრავლების და გავრცელების დათრგუნვაში.

კვლევები გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ბევრი არ ყოფილა. ისინი ძირითადად, საველე სპორადიული დაკვირვებებით შემოიფარგლებოდნენ (Lowry et al., 2012). თუმცა, ზოგიერთი ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი კარგად იქნა შესწავლილი და გამოირკვა, რომ ისინი საერთოა ბევრი ინვაზიური ტაქსონისთვის: მაგალითად, სხვადასხვა პირობებში თესლის აღმოცენებადობის მაღალი ხარისხი (Wainwright, Cleland, 2013), თვითდამტვერვა (Razanajatovo, et al., 2016) და ზრდის მაღალი სიჩქარე (van Kleunen et al., 2010). შემდგომ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სარეველა ინვაზიურ მცენარეთა ისეთი თვისებების შესწავლას, როგორიცაა კონკურენტუნარიანობა და სტრესტოლერანტობა (Zhang, van Kleunen, 2019). დადგინდა, რომ არაინვაზიურ სახეობებთან შედარებით, ისინი უფრო მასიურები არიან; აქვთ უფრო დიდი ფოთლის სპეციფიკური ფართი (SLA); ბიომასის მეტი წილია ინვესტირებული ფოთლებში და ღეროებში, ხოლო ნაკლები - მიწისქვეშა ორგანოებში; აქვთ გარემოს რესურსების უფრო აქტიურად გამოყენების უნარი (Daehler, 2003; van Kleunen et al., 2010; Ordonez, 2014; Funk et al., 2016; Lau, Funk, 2023).

ტაქსონომიურად მონათესავე სახეობების და რეგიონული ფლორების შედარებითმა ანალიზმა (ფუნდამენტური მიმოხ. იხ. Pysek, Richardson, 2007) აჩვენეს, რომ მცენარეთა ინვაზიურობაზე მნიშვნელოვანწილად მოქმედებენ თვით ინვაზიის სტადია, იმ არეალის ეკოლოგიური მაჩვენებლები, სადაც ინვაზია ხდება და მცენარეული თანასაზოგადოების სახეობრივი

<sup>1</sup> მცენარეების თესლის ან სპორების გავრცელება ცხოველების მიერ

<sup>2</sup> ალელოპათია- მოვლენა, როდესაც ორგანიზმი წარმოქმნის ერთ ან რამოდენიმე ქიმიურ ნივთიერებას, რომელიც მოქმედებს თანასაზოგადოების სხვა მცენარეების აღმოცენებაზე, ზრდაზე, გადარჩენასა და გამრავლებაზე.

შემადგენლობა. ამ ძალიან მოცულობითი და მრავალმხრივი მასალის ანალიზმა გარკვეულ ეტაპზე ერთგვარი სკეპტიციზმი წარმოშვა იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელია თუ არა პრინციპში, იმ უნივერსალურ ნიშან-თვისებათა გამოყოფა, რომლებიც საერთო უნდა ყოფილიყო ყველა ინვაზიური მცენარისთვის (Kolar, Lodge, 2001; Moles et al., 2012; Funk et al., 2020). თუმცა მაინც არსებობს მოსაზრება, რომ უცხო ინვაზიური სახეობები განსხვავდებიან არაინვაზიურებისგან ეკოლოგიურ კონტექსტთან დაკავშირებული გარკვეული მახასიათებლებით (van Kleunen et al., 2015). აქედან გამომდინარე ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინვაზიური სახეობების კვლევა კონკრეტულ ტერიტორიებზე, რომელზეც საჭიროა მათი კონტროლი ან სრული ელიმინაცია.

საქართველოს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში წათქვამია, რომ მცენარეთა დაცვისთვის აუცილებელია მათი მავნებლების ინვაზიური და მიგრაციული სახეობების მონიტორინგი და კონტროლი, მცენარეთა კარანტინის ღონისძიებების ჩატარება და მავნებლების (მათ შორის ინვაზიური სახეობების) ინტეგრირებული მართვა, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაცია და კონტროლი. საქართველოს კანონი ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კრძალავს საქართველოს მცენარეთა სამყაროსთვის უცხო ინვაზიური სახეობების ინტროდუქციას და გაშენებას ტყეში და დაცულ ტერიტორიებში, ხოლო მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ნუსხის სახეობების რეინტროდუქცია ხორციელდება კონსერვაციის გეგმის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის №383 დადგენილებით “ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” აკრძალულია ინვაზიური, გენეტიკურად მოდიფიცირებული სათესლე-სარგავი მასალების, მცენარეების და/ან მათი ნაწილების გამოყენება ტყის აღდგენა-გაშენების მიზნით.

საქართველოში არ არის განსაზღვრული მცენარეების ინვაზიის პრევენცია სხვადასხვა ვექტორების გათვალისწინებით, რაც პირველ რიგშია მნიშვნელოვანი. აღნიშნული პრობლემა ხაზგასმულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაშიც.

სახეობების ინვაზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვექტორია საზღვაო გემების ბალასტის წყლები. ამას არეგულირებს დებულება „საქართველოში ბალასტური წყლების მართვისპროცედურების შესახებ“ (2002). აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული ქმედებები ვერ უზრუნველყოფს შავი ზღვის ეკოსისტემაში ინვაზიური სახეობების მოხვედრის პრევენციას. ასე, მაგალითად, ღია ზღვაში ბალასტური წყლების გამოცვლისას საქართველოს ნავსადგურებში მომავალმა გემებმა უნდა შეცვალონ იზოლირებული ბალასტური წყლები საქართველოს მეორე სანიტარიულ რაიონში (50 მილიანი ზონა) შემოსვლამდე და უახლოესი ნაპირიდან სულ ცოტა 25 საზღვაო მილის (45 კმ) მოშორებითა და 100 მეტრი სიღრმის მქონე საზღვაო ტერიტორიაზე. აღნიშნული დროებით იცავს საქართველოს სანაპირო წყლებს, მაგრამ არ იცავს ინვაზიისგან შავ ზღვას, თუნდაც საქართველოს აკვატორიის სიახლოვეს.

კიდევ ერთი კანონი, სადაც ნახსენებია უცხო ინვაზიური სახეობები, არის საქართველოს კანონი აკვაკულტურის შესახებ. იქ ვხვდებით ასეთ ჩანაწერს: „აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელებისას აუცილებელია ჰიბრიდული ფორმისა და ინვაზიური სახეობის გამოყენების მონიტორინგი“.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით (№2-846; 2021წ.) მიღებული იყო აკვაკულტურის საქმიანობის განსახორციელებლად უცხო სახეობის შემოყვანის წესები და პირობები. ამ ბრძანების მიხედვით უცხო სახეობის შემოყვანა ხდება სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს თანხმობით, აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს დასკვნის საფუძველზე. ამისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია:

- ✓ წინა ინტროდუქციის ისტორიული მონაცემების და მისი გავლენის შესახებ მიმღები გარემოს ეკოლოგიაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ გადარჩენის და რეპროდუქციის ალბათობის შესახებ ბუნებრივ გარემოში მოხვედრის შემთხვევაში;
- ✓ ჰაბიტატებზე გავლენის შესახებ ბუნებაში მოხვედრის შემთხვევაში;
- ✓ ჰაბიტატის წყლის ხარისხზე პოტენციური გავლენაზე;
- ✓ ადგილობრივ სახეობებზე პოტენციურ გავლენზე;
- ✓ ადგილობრივი სახეობების საკვებ რესურსებზე პოტენციური გავლენის შესახებ, ბუნებაში მოხვედრის შემთხვევაში;
- ✓ ჰიბრიდიზაციის ალბათობის შესახებ ადგილობრივ სახეობებთან

- ✓ ამტანობის შესახებ უცხო სახეობის ბუნებრივ გარემოში მოხვედრის შემთხვევაში
- ✓ შემზღვდავი ბარიერებს შესახებ ბუნებრივი ან/და ხელოვნური, რომლებმაც ხელი უნდა შეუშალოს სახეობის გაღწევას
- ✓ მონიტორინგის აუცილებლობის შესახებ და საგანგებო გეგმების არსებობის შესახებ ბუნებრივ გარემოში უცხო სახეობის მოხვედრის შემთხვევაში
- ✓ აკვაკულტურის კონსტრუქციიდან გაღწევის თავიდან აცილების მექანიზმების შესახებ

აღნიშნული ჩამონათვალი საკმაოდ დეტალურია. თუ მოთხოვნილი ინფორმაცია სრულფასოვნად იქნება წარმოდგენილი, საბჭოს შეუძლია ობიექტურად გადაწყვიტოს, დაუშვას თუ არა ამა თუ იმ სახეობის შემოყვანა.

აღსანიშნავია, რომ აკვაკულტურის დებულების მიხედვით დაშვებულია უცხო სახეობების შემოყვანა, თუ დადასტურებულია მათი არააგრესიულობა. არააგრესიულობის კრიტერიუმების განსაზღვრა პრობლემატური საკითხია, და სულ ცოტა, საჭიროებს ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციას.


რაც შეეხება ცხოველების უცხო ინვაზიური სახეობების შემოყვანის რეგულაციებს, საქართველოს კანონით “ცხოველთა სამყაროს შესახებ (1997) განსაზღვრულია, რომ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გარეულ ცხოველთა თვითნებური გადასახლება ახალ საბინადრო გარემოში და საქართველოს ცხოველთა სამყაროსთვის უცხო სახეობების ინტროდუქცია აკრძალულია. ამ კანონის თანახმად აკრძალულია ასევე სახეობების ჰიბრიდიზაცია და ჰიბრიდების ბუნებაში შეყვანა (მუხლი #23).

როგორც ვხედავთ, ინვაზიური სახეობების შესახებ არსებული კანონმდებლობა არასრულყოფილია, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ის შეზღუდვები, რომლებიც საჭიროა ინვაზიის პრევენციისთვის, არ არის გაწერილი ინვაზიური სახეობების გავრცელების კონტროლის მექანიზმები, უცხო ინვაზიური სახეობების გავლენის შერბილების განხორციელების მექანიზმები.

გარდა ინფორმაციის ნაკლებობისა საქართველოში გავრცელებულ უცხო ინვაზიური სახეობებზე, კანონმდებლობის არასრულყოფილებისა, რომელიც პრევენციას და რეაგირებას ეხება, თავი იჩინა კიდევ ერთმა პრობლებამ: მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის უცნობია, თუ

რას წარმოადგენენ უცხო ინვაზიური სახეობები და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეთ მათ ბუნებრივ თუ ადამიანის მიერ კულტივირებულ ეკოსისტემებზე.

თუ რა პრობლემები არსებობს უცხო ინვაზიური სახეობების მართვასთან დაკავშირებით და როგორი შეიძლება იყოს ზოგადად მათი გადაჭრის გზები, ნაჩვენებია ნახ. 3.



ნახ.3 უცხო ინვაზიური სახეობების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები და გადაჭრის გზები. შემუშავდა პირველ ვორქშოფზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

სახეობების ინვაზიის პრევენციისთვის განაკუთრებით მნიშვნელოვანია კარანტინი და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რადგან უცხო სახეობის დაარსების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. ეს გაცილებით იაფია, ვიდრე უკვე გაქცეული სახეობის ხანგრძლივი მონიტორინგი.

დეტალური საკარანტინო ზომების შემუშავება საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, ამისთვის აუცილებელია შემდეგი დოკუმენტების გაცნობა (ცხრ. #2)

ცხრ. N 2. საკარანტინო ზომების შემუშავებისას გასათვალისწინებელი დოკუმენტები და საკარანტინო წესების დაცვაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციები.

საერთაშორისო კანონმდებლობა	დაცვის უზრუნველყოფა
მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენცია (IPPC)	გარემოს დაცისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კოდექსი (OIE)	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია (CBD)	გარემოს დაცისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
კოდექს ალიმენტარიუსი (Codex Alimentarius) (სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტები)	სურსათის უვნებლობის სააგენტო
გემების ბალასტის წყლის და დანალექების კონტროლისა და მართვის შესახებ" საერთაშორისო კონვენცია (International Maritime Organisation, IMO)	შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექცია
გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენცია (CITES)	გარემოს დაცისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
FAO გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია	სურსათის უვნებლობის სააგენტო

საკარანტინო  
ზომების  
შემუშავება

 **საქართველოში არსებული სიტუაციის მიმოხილვა უცხო ინვაზიურ სახეობებთან  
დაკავშირებით**

▪ **მცენარეები**

ოთარ აბდალაძე, ილია აკობია, არჩილ ყველაშვილი

მცენარეთა უცხო ინვაზიური სახეობების ახალ ტერიტორიაზე, მათი ბუნებრივი არეალის გარეთ, განსახლების ვექტორები (გზები და საშუალებები) საკმაოდ მრავალფეროვანია. გამოყოფილია ოთხი ძირითადი გზა (Matisoo-Smith, 1998; Zavaleta et al., 2001; Cassey, 2005; Essl et al., 2020):

1. კულტურაში შეტანილი, დეკორატიული და საექსპონატო დანიშნულების (ბოტანიკური ბაღები, არბორეტუმები) მქონე მცენარეთა გაველურება და განსახლება ახალ ეკოსისტემებში;
2. მცენარეთა დიასპორების გადატანა სატრანსპორტო საშუალებებით, საბალასტო წყლებით, იმპორტირებული საქონლით და მათი ტარით;
3. როგორც სანერგე მასალის და ნიადაგის შემთხვევითი მომყოლი;
4. ცხოველებით და განსაკუთრებით, ფრინველებით და სხვ.

საქართველოში მცენარეთა ინვაზია სავარაუდოდ ოთხივე გზით ხდებოდა და ხდება, თუმცა ამ საკითხის სპეციალური კვლევა არ ჩატარებულა.

ამა თუ იმ ტერიტორიაზე ინტროდუცირებულ მცენარეს საწყის ფაზაში, ინვაზიურის სტატუსის შემძენამდე, როგორც წესი, ურთულესი ბარიერი აქვს გადასალახი - მისთვის უცხო (ზოგჯერ მტრულ) პირობებში გადარჩენა საკუთარი პოპულაციის დაბალი სიმჭიდროვის პირობებში (Tilman, 2004). უცხო ინვაზიური სახეობის დამკვიდრებისთვის და პოპულაციის ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს განმეორებითობას, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებების (ავტომობილი, გემი) ერთსა და იმავე მარშრუტზე მრავალჯერადი მოძრაობისას ყოველ ჯერზე ინვაზიური სახეობის ახალ-ახალი დიასპორების/ინდივიდების შეტანა (Verling, 2005).

რა განსაზღვრავს მცენარის ინვაზიურობას? ინვაზიურობის განმსაზღვრელ უნივერსალურ ნიშან-თვისებათა გამოვლენა რთული საკითხია, ვინაიდან ისინი ყოველთვის გარემოს კონტექსტითაა ნაკარნახევი, რომლებიც, თავის მხრივ, კლიმატზე დამოკიდებულ კონკრეტულ აბიოტურ და ბიოტურ ფაქტორებს მოიცავენ (რეგიონული მასშტაბი), ისევე როგორც მცენარეული თანასაზოგადოების შემადგენლობასა და სტრუქტურაზე (ლოკალური მასშტაბი). (van Kleunen et al., 2015)

მაღალი სახეობრივი სიმდიდრის მქონე ეკოსისტემები, მეტად არიან დაცული უცხო ინვაზიური სახეობების შემოჭრისგან, ვინაიდან იქ ნაკლებია თავისუფალი ეკოლოგიური ნიში (Elton, 1958). თუმცა, კვლევის განფენილობიდან გამომდინარე, მცირემასშტაბიანი კვლევები, როგორც წესი, მრავალფეროვნებასა და ინვაზიას შორის ნეგატიურ ურთიერთკავშირს აჩვენებენ, ხოლო დიდმასშტაბიანი - პირიქით (Stohlgren, 1999; Levine, 2000; Byers, Noonburg, 2003), რაც აუცილებელად გასათვალისწინებელია მენეჯმენტის ქმედებების დაგეგმვისას.

რა უწყობს ხელს მცენარეთა სახეობების ინვაზიას, ანუ ახალ ეკოსისტემაში შეჭრის პროცესს?

შემოტანილ მცენარეთა ბევრი სახეობა, ახალ ტერიტორიებზე დაფუძნების შემდეგ თავისუფლდებიან ბუნებრივი მტრების (ფიტოფაგები, პათოგენები) ზეწოლისგან, რომლებიც ბუნებრივი არეალის ჩვეულ პირობებში აკონტროლებენ მათი პოპულაციების რიცხოვნობას (ბუნებრივი მტრებისგან გაქცევისპიპოთეზა) (Darwin, 1859; Daehler, 2001). ზოგიერთი სახეობის ინვაზია ხდება სწრაფი გენეტიკური ცვლილებების შედეგად ახალი სელექციური უპირატესობების მიღების ხარჯზე ადგილობრივ სახეობებთან შედარებით („ინვაზიურობის ევოლუციის“ ჰიპოთეზა) (Müller-Schärer, 2004). რიგ შემთხვევებში ინვაზიის პროცესის წარმატება განპირობებულია სახეობათა შორის ბიოქიმიური ურთიერთობების სპეციფიკით (ახალი იარაღის) ჰიპოთეზა (Callaway R.M., Ridenour, 2004). ინვაზიურ მცენარეებს აქვთ უნარი გამოიყენონ გარემოს ის რესურსები, რომლებიც აქამდე მიუწვდომელი იყო ადგილობრივი სახეობებისთვის (თავისუფალი ნიშის და სახეობრივი სიმდიდრის ჰიპოთეზა) (MacDougall et al., 2009; Hierro et al., 2005).

იმისთვის, რომ შემოტანილი მცენარის სახეობა ჩამოყალიბდეს ინვაზიურად, მან რამდენიმე ბარიერი უნდა დაძლიოს:

- ✓ გეოგრაფიული: სახეობა ხვდება ახალ რეგიონში (ადამიანის უშუალო, ან ირიბი ჩარევის შედეგად);
- ✓ ეკოლოგიური: ახალ ჰაბიტატში სახეობა უნდა შეეგულს ახალ ეკოლოგიურ პირობებს, გამოიყენოს გარემოს რესურსები და კონკურენცია გაუწიოს იქ დამხვდლი აბორიგენ სახეობებს;
- ✓ რეპროდუქციული: საწყისი პოპულაციის მცენარეებს უნდა შეეძლოთ თესლით და ვებეტატიური გზით ერთდროული გამრავლება;
- ✓ ცენოტური: სახეობა უნდა ჩაინერგოს აბორიგენულ მცენარეულ თანასაზოგადოებაში.

ახალი ინვაზიური სახეობების განსახლება, ჩვეულებრივ, ხდება ნელა. დროს, რომელიც გადის ახალ რეგიონში სახეობის პირველი გამოჩენიდან აქტიურ განსახლებამდე ეწოდება „lag-ფაზა“. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია მცენარის სასიცოცხლო ფორმაზე: ხე-მცენარეთათვის ეს პერიოდი საშუალოდ გრძელდება 170 წელი, ბუჩქებისთვის - 130 წელი, ხოლო ბალახოვანი მცენარეებისთვის მხოლოდ რამდენიმე ათწლეულია საკმარისი. ამიტომ „lag-ფაზის“ ხანგრძლივობის დადგენა მნიშვნელოვანია უცხო ინვაზიური სახეობების საკონტროლო ღონისძიებების დასახვისთვის (Daehler, 2009; Sami et al., 2010; Kelly et al., 2021).

უცხო ინვაზიურ სახეობებს გაცილებით მეტი გავლენა აქვთ მეზობელ აბორიგენ მცენარეებზე, ვიდრე სხვა ასევე ინვაზიურ სახეობებზე (Kuebbing et al., 2026).

უცხო ინვაზიური მცენარეები აბორიგენულ მცენარეულ თანასაზოგადოებებზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით 4 ჯგუფად იყოფა, რომელთაც სხვადასხვა ინვაზიური სტატუსი აქვთ:

- ✓ ინვაზიური სტატუსი 1 - ყველაზე აგრესიული, ე.წ. სახეობა-ტრანსფორმერები, რომლებიც აქტიურად იჭრებინ ბუნებრივ თანასაზოგადოებებში, დიდ ტერიტორიებზე ცვლიან ეკოსისტემების ჰაბიტუსს, არღვევენ სუქცესიურ კავშირებს, იკავებენ ედიფიკატორისა და დომინანტის პოზიციებს, ხელს უშლიან ბუნებრივი ფლორის წარმომადგენლების განახლებას და ჩამოყალიბებული აქვთ ნიადაგის თესლის ბანკი. მათი ზემოქმედება შესაძლოა გამოიხატოს რესურსების (წყალი, სინათლე, ჟანგბადი) ზღვარგადასულ გამოყენებაში, ან პირიქით, რესურსების (მაგ., აზოტი) დონორობაში, ნიადაგის ეროზიული პროცესების ხელშეწყობაში და დაჩქარებაში, ან ამ პროცესის შეკავებაში, მავნე ნივთიერებების აკუმულაციაში და სხვ.;

- ✓ ინვაზიური სტატუსი 2 - მცენარეები, რომლებიც აქტიურად მრავლდებიან, მაგრამ ჯერ ვერ აძევებენ აბორიგენულ სახეობებს ბუნებრივი მცენარეული თანასაზოგადოებებიდან, თუმცა უკვე არსებობს მათი ნიადაგის თესლის ბანკი;
- ✓ ინვაზიური სტატუსი 3 - ეს ანთროპოგენიზირებულ ეკოსისტემებში არააქტიურად განსახლებადი უცხო ინვაზიური სახეობებია, რომელთა ნაწილი მომავალში შესაძლებელია, ჩაინერგოს ბუნებრივ და ნახევრადბუნებრივ თანასაზოგადოებებში;
- ✓ ინვაზიური სტატუსი 4 - ეს პოტენციურად ინვაზიური სახეობებია, რომელთაც სხვა მსგავს მეზობელ ეკოსისტემებში გამოვლენილი აქვთ განახლების უნარი. ამ კატეგორიას ხშირად არ მიაკუთვნებენ ინვაზიურ სახეობებს, თუმცა მათთან ბრძოლა ყველაზე ეფექტური შეიძლება იყოს, ვინაიდან თესლის ბანკი ჩამოყალიბებული ჯერ არ არის. მათგან განსხვავებით, ჭეშმარიტ ინვაზიურ სახეობათა (პირველი სამი კატეგორია) მოსპობა, ამ მიზეზის გამო, ურთულესია (Lau, Funk, 2023).

საქართველოში შემოტანილ მცენარეთა ინვაზიური სტატუსები ნაკლებად არის შეფასებული, თუმცა ასეთი შეფასება აუცილებელია მათი გაუვნებელყოფის ქმედებების დაგეგმისთვის. მაგალითად, მათი შემოტანის დასაშვებად დეკორაციული ან საექსპონატო მიზნებისთვის.

მცენარეთა სახეობების ინვაზია აღიარებულია გლობალურ პრობლემად (Drake et al., 1989, Wilcove et al., 1998; Mooney & Hobbs, 2000; Rai & Singh, 2020), რადგან ინვაზიის პროცესი იწვევს კარდინალურ ცვლილებებს ეკოსისტემის სტრუქტურულ და ფუნქციურ მახასიათებლებში, რაც ეკოლოგიური და ეკონომიკური ზიანის წინაპირობაა (Vilà et al., 2011; Blackburn et al., 2014). მცენარეთა ბიოლოგიურ ინვაზიას შეუძლია გახდეს ბუნებრივი ეკოსისტემის უარყოფითი ცვლილების მაპროვოცირებელი ძალა (Gurevitch et al. 2011; Vila' et al. 2011), მაგ. ავსტრალიური გვარ *Eucalyptus*-ის ხემცენარეების ხელოვნურად გაშენებული კორომები ხასიათდებიან მცირე ბიომრავალფეროვნებით და ერთგვარ ბიოლოგიურ “უდაბნოებად” ყალიბდებიან. ისინი განსაკუთრებით არახელსაყრელნი არიან ფაუნის სახეობებისთვის (Eunis habitat classification, 2019). ასეთი კორომები საქართველოშიც გვხვდება, თუმცა არ არის თანამედროვე ინფორმაცია ევკალიპტების გავლენის შესახებ ადგილობრივ სახეობებზე, მათ კორომებში არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე, მათ ინვაზიურ სტატუსზე და სხვ.

გარდა ამისა, მრავალი ინვაზიური სახეობა იწვევს სხვადასხვა დაავადებებს მოსახლეობაში (მაგალითად, ალერგიული რინიტი და მძიმე ასთმა გამოწვეული *Ambrosia artemisiifolia*-ს

მიერ), რამაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს ტურიზმის განვითარებას და გამოიწვიოს ეკონომიკური დანაკარგები (Richter et al. 2013). ასევე, პროგნოზირებული კლიმატური ცვლილებები გაამძაფრებს არსებულ მდგომარეობას და გამოიწვევს ჯანმრთელობის უფრო გახშირებულ პრობლემებს უახლოეს მომავალში (Richter et al. 2013).

აღსანიშნავია, რომ მაღალია ბიოლოგიური ინვაზიების უარყოფითი როლი სოფლის მეურნეობაში. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო სარეველები იწვევს მოსავლიანობის კარგვას და ბევრი კულტურული მცენარისთვის გადაშენების საფრთხეს წარმოადგენს (Muller-Scharer and Collins, 2012). ზოგიერთ უცხო ინვაზიურ მცენარეებს აქვთ მაღალი პოტენციალი გახდნენ ე.წ. "ტრანსფორმატორული სახეობები", რომლებსაც უარყოფითი გავლენა აქვთ ეკოსისტემებზე, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ თუ გლობალურ დონეზე (Ehrenfeld 2010; Pysek et al. 2012).

რა ინფორმაცია გვაქვს მცენარეების უცხო ინვაზიური სახეობების შესახებ საქართველოში?

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის კვლევას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს (ფართო მიმოხილვები იხ. კეცხოველი, 1935, 1959; Nakhutsrishvili, 2013; ნახუცრიშვილი და სხვ., 2023 და სხვ.), უცხო ინვაზიური სახეობების, მათი პოპულაციების, ადგილობრივ ფლორასთან კავშირ-ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია მწირია. თუმცა, ამის პირველ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ დ. ქიქოძის და თანაავტ. (ქიქოძე და სხვ., 2010) მცირეტანიანი ნაშრომი, სადაც წარმოდგენილია საქართველოში აღრიცხული ეგზოტურ მცენარეთა ბიოეკოლოგიური თავისებურებები და არაადგილობრივ, მათ შორის, პოტენციურად ინვაზიურ სახეობათა ნუსხა. ასევე, გ. ქავთარაძის (ქავთარაძე და სხვ., 2024) უკვე წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიული ნაშრომი „უცხო მერქნიან მცენარეთა ინვაზია საქართველოს დაცული ტერიტორიების ტყის ჰაბიტატებში.“

ცალკეულ ინვაზიურ სახეობათა შესახებ არასისტემატიზირებული ინფორმაცია გაბნეულია სხვა ზოგიერთ ნაშრომშიც (Сахокиа, 1958; კეცხოველი, 1959; Гулисашвили, 1966; Sakhokia, Khutshishvili, 1975; Сохадзе, 1977; ქვაჩაკიძე, 2009; ლაჩაშვილი, ხაჩიძე, 2010; Долуханов, 2010; Nakhutsrishvili, 2013; შეთევკაური ჭელიძე, 2016; ნახუცრიშვილი და სხვ., 2023, ქავთარაძე, 2011).

ბოლო მონაცემებით, საქართველოში იდენტიფიცირებულია 380 უცხო მცენარის სახეობა (გარდა კულტივირებულისა), რომელთაგან 134 სახეობა ნატურალიზდა, ანუ ჩაჯდა

ეკოსისტემაში (Kikodze et al., 2010). მათ შორის, Richardson et al. (2000)-ის კლასიფიკაციის მიხედვით, გამოვლენილია 16 დამკვიდრებული სახეობა, რომელიც გავრცელდა ადგილობრივი სახეობების საზიანოდ (Kikodze et al., 2010). ეს სახეობებია:

1. *Robinia pseudoacacia*,
2. *Ailanthus altissima*
3. *Gleditsia triacanthos*
4. *Paulownia tomentosa*
5. *Phytolacca americana*
6. *Ambrosia artemisiifolia*,
7. *Hydrocotyle vulgaris*
8. *Conyza canadensis*
9. *Commelina communis*
10. *Misanthus sinensis*
11. *Crassocephalum crepidioides*
12. *Perilla nankinensis*
13. *Lysimachia japonica*
14. *Microstegium japonicum*
15. *Paspalum dilatatum*
16. *Polygonum thunbergii*

საქართველოში ინვაზიური უცხო მცენარეების გავრცელება მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ძირითადად მიწათსარგებლობის ცვლილებისა და ჰაბიტატის განადგურების გამო. ზემოაღნიშნული 16 სახეობიდან გამოვლინდა 9 ყველაზე აგრესიული სახეობა - ან ის სახეობები, რომლებსაც აქვთ ზემოქმედების გამოწვევის მაღალი პოტენციალი (Thalmann et al., 2015). ეს სახეობებია:

1. *Ambrosia artemisiifolia*
2. *Robinia pseudoacacia*
3. *Ailanthus altissima*

4. *Clerodendrum bungei*
5. *Opuntia phaeacantha*
6. *Spiraea japonica*
7. *Misanthus sinensis*
8. *Opuntia humifusa*
9. *Vitex rotundifolia*

სახეობების გავრცელების მოდელირებამ, რომელიც გაკეთდა ინვაზიური მცენარეების ჰაბიტატების ვარგისიანობის შესაფასებლად, აჩვენა, რომ *Ambrosia artemisiifolia*-ს, *Robinia pseudoacacia*-ს და *Ailanthus altissima*-ს გავრცელების ყველაზე მაღალი პოტენციური არეალი გააჩნიათ საქართველოში. მოდელის მიხედვით, *A. altissima*-ს აქვს დიაპაზონის გაფართოების პოტენციალი მომდევნო 50 წლის განმავლობაში. ამ კვლევის შედეგად ავტორებმა გამოავლინეს ორი რეგიონი საქართველოში, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველია ინვაზიური უცხო მცენარეების მიმართ. აღმოსავლეთით დედაქალაქი თბილისი და დასავლეთით აჭარის რეგიონი გახლავთ ყველაზე მოწყვლადი ტერიტორიები, ვინაიდან არსებული ეკოლოგიური და გარემო პირობები, მეტწილად ხელსაყრელია ინვაზიური სახეობების ფართო გავრცელებითვის (Thalmann et al., 2015).

როგორც ცნობილია, განსაკუთრებით დიდი ზიანი უცხო ინვაზიურმა სახეობებმა შეიძლება მიაყენოს დაცული ტერიტორიების ეკოსისტემებს.

2022 და 2023 წლებში სახეობათა კონსერვაციის ცენტრის (NACRES) მიერ აჭარისა და ლაგოდების დაცულ ტერიტორიებზე განხორციელდა მცენარეთა არაადგილობრივი ინვაზიური სახეობების მონიტორინგი (ქიქოძე და სხვ., 2022; 2023). ამ ნაშრომებში მოცემულია მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, როგორიცაა დაცულ ტერიტორიებზე დაარსებული მცენარეთა ყველა უცხო ინვაზიური სახეობების ინვენტარიზაცია, განსაკუთრებით ისეთი სახეობების გამოვლენა, რომელთაც აქვთ უნარი შექმნან მონოდონტური დაჯგუფებები და დათრგუნონ ადგილობრივი მცენარეულობა; ინვაზიურ სახეობათა დაცულ ტერიტორიებზე შეღწევის არსებული და პოტენციური გზების იდენტიფიკაცია და დარუკება. აქვე

აღნიშნულია უცხო სახეობების გამოყენების აკრძალვის აუცილებლობა ნებისმიერი სახის საქმიანობისთვის, თუნდას ეს იყოს ეროვნის კონტროლი.

2021 წელს, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში „გარემოს დაცვის ერთობლივი მონიტორინგი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში – BSB Eco Monitoring“, კოლხეთის ეროვნულ პარკში დაიწყო კვლევა, რომლის ერთ-ერთი მიზანი მცენარეების ინვაზიური სახეობების აღმოჩენა და მონიტორინგის საერთო მეთოდოლოგიის შემუშავება იყო.

როგორც აღმოჩნდა, კოლხეთის ეროვნულ პარკში ინვაზიური სახეობები დიდ პრობლემას ქმნიან. ასეთი სახეობებია *Gleditsia triacanthos* (L), *Amorpha fruticosa* (L), *Sparganium emersum* (Rehmann), *Solidago virga aurea* L. და *Solidago canadensis* L. *Amorpha fruticosa* იკავებს მდინარეებისა და არხების ნაპირებს, შედეგად შეცვალა ადგილობრივი ფლორა. ამ რაიონში ინვაზიას ხელს უწყობს ადამიანების საქმიანობაც. ჭარბი ძოვების გამო ზიანი მიადგა ადგილობრივი ფლორის სახეობების ნერგებსა და ნათესებს. ინვაზიური სახეობა *Gleditsia triacanthos* (L) კი ეკლიანი მცენარეა, საქონელი ამ სახეობით არ იკვებება, რაც ხელს უწყობს *Gleditsia*-ს გავრცელებას (<https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-da-tendentsiebi/mtsenareta-invaziuri/434775>).

ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ ადგილობრივი გარემოსდაცვითი სტრატეგიული მიზნების, კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, მნიშვნელოვანია:

- ✓ ინვაზიური სახეობების კვლევის, მონიტორინგის და მართვის პროგრამების შექმნა
- ✓ მონაცემთა ბაზების განახლება
- ✓ აგრძელები ინვაზიური სახეობების გამოვლენა, რომლებსაც აქვთ უნარი, პოტენციურად დააზიანონ და საფრთხე შეუქმნან ბუნებრივ ეკოსისტემებს, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებებს და აგრარულ პროდუქტებს, გამოიწვიონ ადამიანთა ჯანმრთელობისთვის საზიანო გარემო და დეგრადირებული რეკრეაციული სივრცეები
- ✓ ვექტორების დადგენა
- ✓ პრევენციული ზომების მიღება (საკანონმდებლო აქტები, ვაჭრობისა და სასაზღვრო კონტროლი და ა.შ.),

- ✓ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება, რათა თავიდან ავიცილოთ როგორც ახალი, ისე უკვე დამკვიდრებული უცხო სახეობების გავრცელება საქართველოში.

#### ▪ უხერხემლო ცხოველები

*თინათინ ჩხარტიშვილი, არმენ სეროპიანი*

ერთ-ერთი ყველაზე რთულად სამენეჯმენტო ჯგუფი არიან უხერხემლოების უცხო ინვაზიური სახეობები. უცნაურია, რომ ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიერ გამოყოფილ ყველაზე მაღალი ინვაზიურობის პოტენციალის მქონე 100 სახეობას შორის უხერხემლოები მხოლოდ 26% შეადგენენ - 17 ხმელეთის და ცხრა წყლის სახეობა (Love et al., 2004). გლობალური ინვაზიური სახეობების მონაცემთა ბაზაში შეტანილი 485 სახეობიდან მხოლოდ 20% არიან უხერხემლოები (10% ხმელეთის და 10% წყლის)(GISD; [ww.issg.org/database](http://www.issg.org/database)).

მაშინ, როდესაც ცხოველების სახეობების უმრავლესობას უხერხემლოები წარმოადგენენ, დაახლოებით 97%-ს (May, 1988), ინვაზიურობის ასეთი დაბალი მაჩვენებლები საეჭვოა. როგორც ჩანს, ეს ჯგუფი შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი ინვაზიის მკვლევარების მიერ ან/და ინვაზიის პოტენციალი არ არის სათანადოდ შეფასებული.

უხერხემლოების ინვაზიური სახეობები წარმოადგენენ ძირითად საფრთხეს საკვების უსაფრთხოებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადობისთვის (FAO, 2024). მათ შეუმლიათ დააზიანონ ნათესები, შეამცირონ მოსავალი და სერიოზული ეკონომიკური ზარალი გამოიწვიონ. გადაიტანონ დაავადებები ადამიანებზე და საქონელზე. ინვაზიურმა უხერხემლოებმა შეიძლება გადაიტანონ ისეთი დაავადებები, როგორიც არის ლაიმის დაავადება, მალარია, დასავლეთ ნილოსის ვირუსი, გამოიწვიონ ალერგიული რეაქციები. მათ აგრეთვე უარყოფითი გავლენა აქვს ბიომრავალფეროვნებაზე, ისინი კონკურენციაში შედიან ადგილობრივ სახეობებთან და ზოგ შემთხვევაში ანგრევენ ეკოსისტემებს.

ინვაზიური უხერხემლოების მიერ მსოფლიო ეკონომიკისთვის მიყენებული ზარალი 2020 წლისთვის შეადგენდა 712 მილიარდ დოლარს (FAO, 2024)

უცხო ინვაზიური სახეობების მოხვედრის გზები მათი ბუნებრივი არეალების გარეთ (ვექტორები) მრავალგვარია და ძირითადად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- ✓ ვაჭრობა (მოყვებიან საკვებ პროდუქტებს)
- ✓ მოგზაურობა (მოყვებიან ნივთებს)
- ✓ შემთხვევითი გაშვება

განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ პესტიციდების გამოყენება უხერხემლოების ინვაზიური სახეობების კონტროლისთვის დაკავშირებულია დიდი რაოდენობით ნაბშირორჟანგის გამოყოფასთან (carbon intensive), 136.6 M<sub>2</sub>CO<sub>2</sub> ექვივალენტი წელიწადში. ინვაზიური უხერხემლოების მენეჯმენტი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით დღეისათვის უმნიშვნელოდვანესი საკითხია (Wyckhuys et al. 2022).

საქართველოში უხერხემლოების ინვაზია ნაკლებად არის შესწავლილი. თანამედროვე კვლევები უხერხემლოების ინვაზიის ბიოლოგიაში მწირია, უფრო ტაქსონომიური და სხვა კვლევების თანმდევი პროცესია.

არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით დღეს საქართველოში შემდეგი უცხო ინვაზიური უხერხემლოებია გავრცელებული:

**ცხენის წაბლის მენაღმე ჩრჩილი** (*Cameraria ohridella*) - ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, ცხენის წაბლის სამშობლოში. პირველად აღიწერა 1986 წ. ჩრდილოეთ მაკედონიაში (Puchberge 1995). მოგვიანებით დაფიქსირდა საბერძნეთში. ცხენის წაბლის წაბლის გამწვანებაში აქტიური გამოყენების შედეგად აღნიშნულმა ჩრჩილმა გაიფართოვა გავრცელების არეალი და დღეს-დღეობით გვხვდება ევროპის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში (დიდმანიძე 2010). მისი სასიცოცხლო ციკლი მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხენის წაბლთან (*Aesculus hippocastanum*) (Percival et. al 2011). შემჩნეულია სხვა სახეობის ხეების დაზიანებაში - *Aesculus pavia*, *Acer platanoides* და *A. pseudoplatanus*, თუმცა აღნიშნულ სახეობებს ცხენის წაბლის მენაღმე ჩრჩილი არ აყენებს ისეთ მძიმე დაზიანებებს, როგორსაც ცხენის წაბლს (Valade et. al 2009).

ცხენის წაბლის მენაღმე ჩრჩილი ვიწროსპეციალიზაციის გამო არ საჭიროებს გამკაცრებულ კონტროლს.

ჭადრის მოარშიებული ბაღლინჯო (Corythucha ciliata) - ბუნებრივად გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში. მისი სასიცოცხლო ციკლი მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკულ ჭადართან (*Platanus occidentalis*), რომელიც აქტიურად გამოიყენება ურბანულ გამწვანებაში (Barnard and Dixon 1983). ბაღლინჯოს ნახსენები სახეობა ევროპაში პირველად დაფიქსირდა 1964 წელს იტალიაში (d'Aguilar et al. 1977), რის შემდეგ ფართოდ გავრცელდა ევროპაში და მათ შორის საქართველოშიც. თავად სახეობა არ წარმოადგენს საშიშროებას ჭადრის სიცოცხლისთვის, რამდენადაც მის მიერ გადატანილი პათოგენური სოკოვანი დაავადებები (Maceljski 1986).

ჭადრის მოარშიებული ბაღლინჯოს გავრცელების შემზღვეველი ფაქტორი იქნებოდა: ჭადრის სახეობების ჩანაცვლება ურბანულ გამწვანებაში ადგილობრივი ხემცენარის სახეობებით.

მუხის მოარშიებული ბაღლინჯო (Corythucha arcuata) - ბუნებრივად გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში. მისი სასიცოცხლო ციკლი დაკავშირებულია მუხის (*Quercus spp.*) სახვადასხვა სახეობებთან. ბაღლინჯო ევროპაში პირველად დაფიქსირდა 2000 წელს იტალიაში (Bernardinelli 2000), რის შემდეგადაც ფართოდ გავრცელდა ევროპაში, მათ შორის საქართველოში. იგი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მუხის სხვადასხვა სახეობის კორომებს. დღეს-დღეობით მასთან ბრძოლის ცნობილი მეთოდები მიიჩნევა არაეფექტურად. ამერიკაში ბაღლინჯოს აღნიშნული სახეობის პოპულაციის ბუნებრივ კონტროლს ახორციელებს პარაზიტული კრაზანის სახეობა (*Erythmelus klopomor*), რომლის ანალოგი ევროპაში არ ბინადრობს (Williams et. al 2021).

აღნიშნული სახეობა საქართველოს ტერიტორიაზე ახალი გამოჩენილია. ევროპის მაგალითზე, მასთან ბრძოლის ტრადიციულმა მეთოდებმა არ გაამართლა. ხანგრძლივ პერსპექტივაში, შესაძლოა ბუნებრივი ბიოაგენტის გამოჩენა, რომელიც დაარეგულირებს მავნებლის პოპულაციას.

**ბზის ალურა (*Cydalima perspectalis*)** - ბუნებრივად გავრცელებულია აზიის ქვეყნებში (Wang 1980). მისი სასიცოცხლო ციკლი დაკავშირებულია ბზის (*Buxus spp.*) სხვადასხვა სახეობებთან. ბზის ალურა ევროპაში პირველად დაფიქრირდა 2006 წელს გერმანიაში (Krüger 2008), რის შემდეგადაც ფართოდ გავრცელდა ევროპის ქვეყნებში (Kenis et. al 2013). საქართველოში პირველად დაფიქსირდა 2014 წელს კოლხეთის დაბლობზე (Matsiakh et. al 2014). საქართველოში ბზის ალურამდასავლეთ საქართველოში არსებულ ბზის კორომებს მიაყენა კოლოსალური ზიანი, რომლის აღმოფხვრასაც დასჭირდება ათწლეულები. ბუნებრივი კორომების განადგურების შემდეგ აღნიშნული სახეობის პოპულაციამ საგრძნობლად იკლო, რაც განპირობებულია საკვები ბაზის შემცირებით. დღეს-დღეობით ბზის ალურა ძირითადად შემჩნეულია გამწვანებაში გამოყენებულ ბზის ნარგავებში.

პოპულაციის მდგომარეობის შეფასება საჭიროებს ყოველწლიურ მონიტორინგს და აღმოჩენის შემთხვევაში, ადგილზე მექანიკურ განადგურებას, ვინაიდან ქიმიური დამუშავება არის უშედეგო, რაც წინა წლების პრაქტიკიდანაც გამოჩნდა.

**სუზუკის დროზოფილა (*Drosophila suzukii*)** - ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიაში (Kanzawa 1939). აღნიშნული სახეობა დიდ ეკონომიკურ ზიანს აყენებს აგრარულ სექტორს, რადგან ვითარდება სხავდასხვა რბილი კენკროვანი მცენარეების დაუმწიფებელ ნაყოფში (Lee et. al 2011). ამ თვისებების გამო ბუზის ეს სახეობა გახდა კოსმოპოლიტი (Asplen et. al 2015). აღნიშნული სახეობის შესაჩერებლად გამოიყენება სხავადახვა ტიპის ბრძოლის მეთოდი, თუმცა გამოსაყოფია ბიოლოგიური (ფერომონები) და მექანიკური ბრძოლის მეთოდები.

საქართველოს მასშტაბით მიყენებული ზიანის მოცულობა შეფასებული არ არის - არ არსებობს მონაცემი როგორც მეცნიერების მხრიდან, ასევე უკუკავშირი პროდუცტის მწარმოებლებისაგან. რეკომენდაცია იქნებოდა, ამ კუთხით გამახვილდეს ყურადღება და მონაცემების შეგროვება.

**წაბლის მეგალია კრაზანა (*Dryocosmus kuriphilus*)** - ბუნებრივად გავრცელებულია ჩინეთში. 1951 წლისთვის გავრცელდა იაპონიაში (Shiraga 1951). აღნიშნული სახეობა აზიანებს წაბლის (*Castanea spp.*) სხვადასხვა სახეობებს. მსოფლიოში მიჩნეულია წაბლის ყველაზე

დამაზიანებელ მავნებლად (Conedera and Gehring 2015). დღესდღეობით გავრცელებულია ევროპის მრავალ ქვეყანაში. მათ შორის საქართველოშიც. მის მიერ ინფიცირებულ ხეებზე წარმოიქმნება დაახლოებით 2 სმ დიამეტრის გალები, ხოლო ინფიცირებული ხეების სიცოცხლის უნარიანობა 70% მცირდება და შესაძლოა გამოიწვიოს მათი სიკვდილი (Gehring et. al 2018). კრაზანის ლარვების მიერ წარმოქმნილი გალებიდან იზრდება ხის სოკოვანი დაავადებებით დაინფიცირების ალბათობაც (Prospero 2011).

აღნიშნულ სახეობასთან ბრძოლისათვის საჭიროა კომპლექსური მიდგომა. პესტიციდებით ბრძოლა უშედეგოა, რადგან კრაზანას ლარვები თავს აფარებენ გალებს. მცირე მასშტაბზე მიღებულია დაზიანებული ტოტების მოშორება. ხოლო დიდ მასშტაბზე ბიოლოგიური აგენტებით გამოყენება.

**აზიური ფაროსანა (*Halyomorpha halys*)** - ბუნებრივად გავრცელებულია ჩინეთსა და აღმოსავლეთ აზიაში (). დღესდღეობით გავრცელებულია ამერიკის კონტინენტზე და ევროპის მრავალ ქვეყანაში (Wermelinger et. al 2008, Heckmann 2012), მათ შორის საქართველოშიც. საქართველოში აზიური ფაროსანა პირველად გამოჩნდა 2014 წელს (Musolin et. al 2014) და მიღიონობით ლარის ზარალი მოუტანა აგრარულ სექტორს აღნიშნული სახეობა იკვებებება ფართო სპექტრის მცენარეების წვენით. საქართველოს შემთხვევაში თხილის მოსავლის ზარალმა 2016-2018 წლებში 179 მიღიონი ლარი შეადგინა (Oppliger 2018).

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად ზოგიერთი ქყვეყანა ბიოლოგიურ აგენტებს იყენებს. ამერიკასა და ევროპაში გვხვდება სახეობები რომლებიც პარაზიტობენ აღნიშნულ სახეობაზე, (Charles et. al 2019). მხოლოდ პესტიციდებით ბრძოლა ნაკლებლად შედეგიანია და საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას.

**ღვიის პერიანა (*Lamprodila festiva*)** - ბუნებრივად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთში, საიდანაც გავრცელდა ევროპის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთით (Jendek et. al 2018), მათ შორის საქართველოშიც (პირად ინფორმაციაზე დაყრდნობით). კლიმატური ცვლილებები ითვლება აღნიშნული სახეობის გავრცელების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად (Jendek et. al 2018). აღნიშნული სახეობა პოლიფაგია და მძიმე ზიანს აყენებს ღვიის (*Juniperus spp*), ტუიას (*Thuja spp.*) და კვიპაროსის (*Cupressus spp.*) გვარის მცენარეებს (Schmidt et. al 2014). მისი ლარვა

მერქანსა და ტანს შორის ბინადრობს. საწყის ეტაპზე, ხოჭოს მიერ მიყენებული დაზიანების სახასიათო ნიშანია ცალკეული ტოტების და არა ერთიანად მცენარის ხმობა (Ruicănescu et. al 2019).

პოტენციურ საფრთხეებს შორის ხაზგასასმელია ადგილობრივი ღვიის ენდემური სახეობების დაზიანება.

კონტროლის და სახეობასთან ბრძოლის ყველაზე შედეგიანი მეთოდია მონიტორინგი და კომპლექსური მიდგომა.

**ცეილოვანი ჭიჭინობელა (*Metcalfa pruinosa*)** - ბუნებრივად გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში, თუმცა დღეს-დღეობით ფიქსირდება როგორც აზიაში, ასევე ევროპაში (Zangheri and Donadili 1980), მათ შორის საქართველოშიც. აღნიშნული სახეობის საკვები და მასპინძელი მცენარეები მოიცავს ფართო სპექტრს, მათ შორისაა კულტურული მცენარეები (ვაზი, ციტრუსები და ა.შ) (Bengoli and Adrea 2000). დიდი რაოდენობით ნიმფების შემოსება აფერხებს ყლორტების განვითარებას, ხოლო ზრდასრული ორგანიზმი გამომოიმუშავებს ტკბილ სითხეს, რომელიც ხელს უწყობს ობისა და სოკოს განვითარებას (Duso 1984).

ქიმიური კონტროლი ძნელდება ახალგაზრდა ინდივიდების (ნიმფების) მიერ თავის დასაცავად გამომუშავებული ცვილისებრი მასის გამო. უფრო ეფექტურია სოკოსა და ობის საჭინააღმდეგო პრეპარატებით შეწამვლა.

**იაპონური ჭიჭინობელა (*Orosanga japonica*)** - ბუბებრივად გავრცელებულია სამხრეთ აზიაში. რუსეთში დაფიქსირდა მე-20-ე საუკუნის დასაწყისში, საქართველოში შემოვიდა 1950-ენბში (Demir 2009), ხოლო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (თურქეთში) 2006 წელს დაფიქსირდა როგორც *Ricania simulans* (Akiner et. al 2022).

აღნიშნული სახეობა აზიანებს აგრიკულტურულ მცენარეებს - ბუჩქებსა და ახალგაზრდა ხეებს, რამდენადაც ის იკვებება მცენარის წვენით (Altaş and Kibar 2019). პოპულაციის კონტროლის კომპლექსური მეთოდი მოიცავს მექანიკურ დამუშავებას და ფერომონების გამოყენებას. ასევე თურქეთში იგეგმება მავნებელთან ენტომოპათოგენური სოკოთი ბრძოლა, ვინაიდან პესტიციდების მოხმარება სასურველი შედეგი არ გამოიღო (Erper et. al 2022).

იფნის ზურმუხტისფერი პეწიანა (*Agrius planipennis*) - ბუნებრივად გვარცელებულია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ აზიაში (Yu 1992). ვითარდება იფნის (Fraxinus spp.) სახეობის ხეებზე (Xiao 1992). დაფიქსირებულია რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და ჩრდილოეთ ამერიკაში (Haack et. al 2002). იფნის გარდა შემჩნეულია ზეთის ხილის პლანტაციების დაზიანებაში (Cipollimo et. al 2017).

კავკასიის რეგიონში იფანი წარმოდგენილია უწყვეტი კორომების სახით, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია აღნიშნული სახეობის დაფიქსირება საქართველოს ტერიტორიაზე (Orlova-Bienkowskaja et. al 2022). პროექტ CaBOL-ის ფარგლებში ჩართულ სომეხ კოლეგებთან პირადი კომუნიკაციის შედეგად გამოაშკარავდა იფნის ზურმუხტისფერი პეწიანას დაფიქსირება სომხეთის ტერიტორიაზე.

აღნიშნული სახეობის დროული დაფიქსირებისათვის აუცილებელია ყოველწლიური მონიტორინგი, ხოლო დაფიქსირების შემთხვევაში კონტროლის მექანიკური და ინტეგრირებული მეთოდები.

ამერიკული თეთრი პეპელა (ათპ) (*Hypenantria cunea*) - ბუნებრივად გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე (Schowalter and Ring, 2017). საქართველოში პირველად დაფიქსირდა გასული საუკუნის 70-იან წლებში, ქვეყნის დასავლეთ ნაწილში შემოყვა უკრაინიდან ხის მასალას (Japoshvili et al. 2006). ათპ-ს მუხლუხო იკვებება ფოთლოვანი მცენარეების თითქმის ყველა სახეობით (Yarmand et al. 2009). ბუნებრივი გავრცელების ადგილებში ის არ აყენებს მნიშვნელოვან ზიანს ფოთლოვან ტყეს, რადგან ჰყავს ბუნებრივი მაკონტროლებელი აგენტები. ტერიტორიული გადაც სახეობა ატარებს ინვაზიურ ხასიათს, მოაქვს დიდი ეკონომიკური ზიანი, რამდენადაც ის აზიანებს ტყეს, დეკორატიულ მცენარეებს და ხეხილს (Edosa et al. 2019).

გრელვდიანი მონიტორინგის ფარგლებში, საქართველოში 2014 წლიდან დღემდე გამოვლინდა აღნიშნული სახეობის როცხოვნობის კლება, რაც გამოწვეულია ადგილობრივი და ინტოროდუცირებული ბიოაგენტებით (Murvanidze and Shainidze, 2016).

წარმოდგენილი უცხო ინვაზიური სახეობების ნუსხა სავარუდოდ არასრულია, ჩასატარებელია სპეციალური კვლევები ბიოინვაზიის შესასწავლად. ასე, მაგალითად, არ არის ინფორმაცია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ინვაზიურ მოლუსკის სახეობაზე (*Pomacea canaliculata*)-ზე, რომელიც „გაქცეულია“ აკვარიუმებიდან და ევროპის 40 ყველაზე ინვაზიურ სახეობათა ნუსხაშია. იმისათვის, რომ ქვეყანა დაცული იყოს უცხო ინვაზიური სახეობების შემოჭრისგან, რაც ხშირად დიდ ეკონომიკარ ზარალთან არის დაკავშირებული (ამერიკული თეთრი პეპელა, ფაროსანადა სხვა), აუცილებელია:

- ✓ ინვაზიური სახეობების კვლევისა და მონიტორინგის საფუძველზე მართვის გეგმის შექმნა
- ✓ ვექტორების გამოვლენა
- ✓ სპეციალური, უხერხემლოებზე მორგებული პრევენციული ზომების შემუშავება
- ✓ გავრცელების დასაწყისში სწრაფი რეაგირების სიტემის არსებობა შესაბამისი სამსახურების ჩართულობით

- **ხერხემლიანები**
- **თევზები**

#### გიორგი უპიტაშვილი, ლუვან ნინუა

თევზების ინვაზიურმა სახეობებმა შეიძლება დააზიანონ წყლის ეკოსისტემის ბიომრავალფეროვნება (Witte et al. 2000), შეცვალონ საკვები ქსელი (Simon and Townsend 2003), გავლენა იქონიონ სპორტულ და კომერციულ თევზჭერაზე, განოიწვიონ ჰაბიტატის დეგრადაცია, მათ შორის ევტროფიკაციაც (Zambrano et al. 2001), ხელი შეუწყონ ნაკადულების ნაპირების ეროზიას და ადამიანის დასახიჩრებაც გამოიწვიონ (King 1995). თევზების ინტროდუქციის დიდი ნაწილი წინასწარ განსაზღვრულია და ხშირად ეკონომიკური, სპორტული ან დეკორატიული სარგებელით იხსნება. ასე მაგალითად, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში თევზების ეგზოტიკურ სახეობებმა მოიტანეს მოგება 5.4. მილიარდი ამერიკული დოლარი, ადგილობრივი სახეობების სპორტული თევზჭერის შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელი 10ჯერ მაინც აღემატება ან თანხას. ახალ ზელანდიაში, ბუნებრივი შესაბამისი სათევზაო სახეობების არარსებობის გამო შემოყვანილი იქნა

ეგზოტიკური ორგაულისებრთა ოჯახის წარმომადგენლები. ჩამოყალიბებულ სათევზაო მეურნეობებმა მთელს მსოფლიოში გაითქვეს სახელი და ეს მიუხედავად იმისა, რომ საკმაო ზიანი ადგება ბუნებრივ წყალსატევებში თევზების ადგილობრივ სახეობებს (Clout and Willams, 2009)

მაგალითად, ჩვეულებრივი კობრი (*Cyprinus carpio*) ყველაზე ფართოდ გავრცელებული მტკნარი წყლის სახეობაა, მთელს მსოფლიოში, სადაც შეყვანილია, იწვევს მნიშვნელოვან ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ზიანს, თუმცა ყოველწლიურად მისი წვლილი გლობალური აკვაკულტურების წაროებაში შეადგენს 2.8 მილიონ ტონას (FAO). დღეისათვის ჩვეულებრივი კობრი რჩება ყველაზე ფართოდ კულტივირებულ მტკნარი წყლის თევზად მსოფლიოში (FAO, 2024). კობრის ინტროდუქცია ევროპაში ძირითადად მე-19 საუკუნიდან დაიწყო, თუმცა ზოგ ადგილებში იგი მე-12 და მე-13 საუკუნეში შეიყვანეს (Witkowsky 1996).

ინვაზიური სახეობების შეყვანისას ბუნებრივ წყალსატევებში არამარტო თავად თევზები აზიანებენ ადგილობრივ ფაუნას, არამედ მათ მოსაზიდად გამოყენებული ხელოვნური საკვები აბინძურებს წყალსატევებს.

კიდევ ერთი, ფართოდ გავრცელებული და გაველურებული სახეობა, ოქროს თევზი (*Carassius auratus*), ნაკლებად ზიანის მომტან სახეობად ითვლება. მისგან განსხვავებით, გამბუზია (*Gambusia spp.*), რომელიც ბევრ ქვეყანაში მაღარიის გადამტანი კოლოს ლარვების გასანადგურებლად შეიყვანეს, დიდ ცვლილებებს იწვევს ეკოსისტემაში, თუმცა ზოგან მას შედარებით ნაკლები ზიანი მოაქვს (Ling 2004).

თევზების ინვაზიურმა სახეობებმა შეიძლება დააზიანონ წყლის ეკოსისტემის ბიომრავალფეროვნება (Witte et al. 2000), შეცვალონ საკვები ქსელი (Simon and Townsend 2003), გავლენა იქონიონ სპორტულ და კომერციულ თევზჭერაზე, განოიწვიონ ჰაბიტატის დეგრადაცია, მათ შორის ევტროფიკაციაც (Zambrano et al. 2001), ხელი შეუწყონ ნაკადულების ნაპირების ეროზიას და ადამიანის დასახიჩრებაც გამოიწვიონ (King 1995). თევზების ინტროდუქციის დიდი ნაწილი წინასწარ განსაზღვრულია და ხშირად ეკონომიკური, სპორტული ან დეკორატიული სარგებელით იხსნება. ასე მაგალითად, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში თევზების ეგზოტიკურ სახეობებმა მოიტანეს მოგება 5.4. მილიარდი ამერიკული დოლარი, ადგილობრივი სახეობების სპორტული თევზჭერის შედეგად

მიღებული ეკონომიკური სარგებელი 10ჯერ მაინც აღემატება ან თანხას. ახალ ზელანდიაში, ბუნებრივი შესაბამისი სათევზაო სახეობების არარსებობის გამო შემოყვანილი იქნა ეგზოტიკური ორგაულისებრთა ოჯახის წარმომადგენლები. ჩამოყალიბებულ სათევზაო მეურნეობებმა მთელს მსოფლიოში გაითქვეს სახელი და ეს მიუხედავად იმისა, რომ საკმაო ზიანი ადგება ბუნებრივ წყალსატევებში თევზების ადგილობრივ სახეობებს (Clout and Willams, 2009)

მაგალითად, ჩვეულებრივი კობრი (*Cyprinus carpio*) ყველაზე ფართოდ გავრცელებული მტკნარი წყლის სახეობაა, მთელს მსოფლიოში, სადაც შეყვანილია, იწვევს მნიშვნელოვან ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ზიანს, თუმცა ყოველწლიურად მისი წვლილი გლობალური აკვაკულტურების წაროებაში შეადგენს 2.8 მილიონ ტონას (FAO). დღეისათვის ჩვეულებრივი კობრი რჩება ყველაზე ფართოდ კულტივირებულ მტკნარი წყლის თევზად მსოფლიოში (FAO, 2024). კობრის ინტროდუქცია ევროპაში ძირითადად მე-19 საუკუნიდან დაიწყო, თუმცა ზოგ ადგილებში იგი მე-12 და მე-13 საუკუნეში შეიყვანეს (Witkowsky 1996).

ინვაზიური სახეობების შეყვანისას ბუნებრივ წყალსატევებში არამარტო თავად თევზები აზიანებენ ადგილობრივ ფაუნას, არამედ მათ მოსაზიდად გამოყენებული ხელოვნური საკვები აბინძურებს წყალსატევებს.

კიდევ ერთი, ფართოდ გავრცელებული და გაველურებული სახეობა, ოქროს თევზი (*Carassius auratus*), ნაკლებად ზიანის მომტან სახეობად ითვლება. მისგან განსხვავებით, გამბუზია (*Gambusia spp.*), რომელიც ბევრ ქვეყანაში მაღარიის გადამტანი კოლოს ლარვების გასანადგურებლად შეიყვანეს, დიდ ცვლილებებს იწვევს ეკოსისტემაში, თუმცა ზოგან მას შედარებით ნაკლები ზიანი მოაქვს (Ling 2004).

როგორია თევზების უცხო ინვაზიური სახეობების პოტენციური ვექტორები?

- ✓ ბალასტური წყლები- ხდება ძირითადად მცირე ზომის თევზების შემოყვანა, რომელთაც უყვართ პატარა ნაპრალებში თავის შეფარება
- ✓ ეგზოტიკური დეკორატიული თევზების იმპორტი აკვარიუმებისთვის - აკვარიუმის თევზების შემთხვევით ან მიზანმიმართულად მოხვედრის რისკი მათი ბუნებრივი არეალების გარეთ იმდენად მაღალია, რომ ბევრმა ქვეყანამ შექმნა სპეციალური

კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავს დეკორატიული თევზების ზოგი სახეობის იმპორტს

- ✓ ცოცხალი თევზების იმპორტი ადამიანების საკვებად გამოყენებისთვის - ესევ შესაძლებელია იყოს ინვაზიის ერთ-ერთი ვექტორი.

საქართველოსთვის ორი უმსხვილესი ბაზარი, საიდანაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ახალი ან გაცივებული თევზი შემოდის, ნორვეგია და თურქეთია. 2023 წლის მონაცემებით, იმპორტიორი ქვეყნების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: ნორვეგია - 4.8 მლნ დოლარი; თურქეთი - 4.5 მლნ დოლარი; ახალი ზელანდია - 236.3 ათასი დოლარი; საფრანგეთი - 56.3 ათასი დოლარი; ნიდერლანდები - 43.4 ათასი დოლარი; აშშ - 38.4 ათასი დოლარი; ესპანეთი - 21.4 ათასი დოლარი; შრი-ლანკა - 4.3 ათასი დოლარი; საბერძნეთი - 980 დოლარი; რუსეთი - 320 დოლარი (ტიტვინიძე, 2024). ხვდება თუ არა ამ გზით შემოყვანილი თევზები საქართველოს ბუნებრივ წყლის ეკოსისტემებში, უცნობია

- ✓ თევზმეურნეობები, აკვაკულტურები - მაგალითად, თევზსაშენები შავ ზღვაში, რომელთა კონსტრუქციების დაზიანების შემთხვევაში შავი ზღვისთვის უცხო სახეობა, ან ჰიბრიდული სახეობა შეიძლება მოხვდეს შავი ზღვის ეკოსისტემაში.

ამ გზით შავ ზღვაში მოხვედრილან უცხო ინვაზიური სახეობები (იხ. ქვევით), თუმცა გავრცელდნენ თუ არა, რა ზიანი მოუტანეს მათ შავი ზღვის ეკოსისტემას საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ამაზე ინფორმაცია არ არსებობს.

გარემოს ეროვნულ სააგენტოს აქვს სპეციალური განაცხადის ფორმა, ე.წ. შავ ზღვაში აკვაკულტურის (თევზის მოშენების) სანებართვო განაცხადის ფორმა, სადაც მოთხოვნილია დეტალური ინფორმაცია ნებართვის გაცემამდე, შემდეგ რამდენად ხორციელდება მონიტორინგი, გაურკვეველია.

- ✓ საქართველოს ერთი წყალსატევიდან აქ გავრცელებული სახეობების გადაყვანა მეორე წყალსატევში, სადაც იგი ბუნებრივად გავრცელებული არ ყოფილა.

თევზების უცხო ინვაზიური სახეობების გავრცელების რისკების შეფასება უნდა ხდებოდეს როგორც საზღვრის გადაჭრამდე, ისე საზღვრის გადაჭრის შემდეგ. ეროვნული კანონმდებლობა უნდა ზღუდავდეს ეგზოტიკური თევზების იმ სახეობების შემოტანას,

რომლებიც განსაკუთრებით მაღალი ინვაზიურობით გამოირჩევა. ევროპისთვის ასეთებია (Veer & Nentwig, 2014):

ცხრილი *N* ევროპის უცხო ინვაზიური თევზების სახეობები (Veer & Nentwig-ის მიხედვით). წითლად მონიშნულია საქართველოში აღწერილი ინვაზიური სახეობები

1. <i>Carassius auratus/Carassius gibelio</i>	21. <i>Micropercops cinctus</i>
2. <i>Pseudorasbora parva</i>	22. <i>Micropterus salmoides</i>
3. <i>Ctenopharyngodon idella</i>	23. <i>Misgurnus anguillicaudatus</i>
4. <i>Salvelinus fontinalis</i>	24. <i>Mylopharyngodon piceus</i>
5. <i>Poecilia reticulata</i>	25. <i>Odontesthes bonariensis</i>
6. <i>Ctenopharyngodon</i>	26. <i>Oncorhynchus clarki</i>
7. <i>Culaea inconstans</i>	27. <i>Oncorhynchus gorbuscha</i>
8. <i>Gambusia affinis</i>	28. <i>Oncorhynchus keta</i>
9. <i>Gambusia holbrookii</i>	29. <i>Oncorhynchus kisutch</i>
10. <i>Hemichromis fasciatus</i>	30. <i>Oncorhynchus mykiss</i>
11. <i>Hemichromis letourneauxi</i>	31. <i>Oncorhynchus nerka</i>
12. <i>Hypophthalmichthys molitrix</i>	32. <i>Oreochromis niloticus</i>
13. <i>Hypophthalmichthys nobilis</i>	33. <i>Oryzias sinensis</i>
14. <i>Ictalurus punctatus</i>	34. <i>Perccottus glenii</i>
15. <i>Ictiobus bubalus</i>	35. <i>Pimephales promelas</i>
16. <i>Ictiobus cyprinellus</i>	36. <i>Poecilia reticulata</i>
17. <i>Ictiobus niger</i>	
18. <i>Lepomis cyanellus</i>	
19. <i>Lepomis gibbosus</i>	
20. <i>Liza haematocheila</i>	

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიერ გამოყოფილ ყველაზე მაღალი ინვაზიურობის პოტენციალის მქონე 100 სახეობას შორის არის თევზის 8 სახეობა (Love et al., 2004)

1. *Salmo trutta* -კალმახი
2. *Cyprinus carpio* -კობრი
3. *Micropterus salmoides* - დიდბირა ბასი
4. *Oreochromis mossambicus* - მოზამბიკური ტილაპია
5. *Lates niloticus* - ნილოსის ქორჭილა
6. *Oncorhynchus mykiss* -ცისარტყელა კალმახი ( საქართველოსთვის ინვაზიური )
7. *Clarias batrachus*-მოსიარულე (ფილიპინური) ღორჯო
8. *Gambusia affinis* - დასავლური გამბუზია

საქართველოში ეგზოტიკური და არააბორიგენული სახეობების შემოყვანისას ნაკლებად ხდება მათი ინვაზიურობის პოტენციალის გათვალისწინება, სახეობის დადგენა საზღვრის გადაკვეთამდე, რაც ხშირად რთულია, არ არსებობს სპეციალური ნუსხა, რომელშიც შეტანილი სახეობების გადატანა საზღვარზე დაუშვებელია (ე.წ. „შავი ნუსხა“).

საქართველოში მტკნარი წყლის თევზების ინტროდუქციას საუკუნოვანი ისტორია აქვს. სხვადასხვა მიზნით გარკვეული სახეობის თევზების შემოყვანა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. შედეგად, მრავალი სახეობა გახდა ინვაზიური და სერიოზული ეკოლოგიური/ეკონომიკური ზიანი მიაყენა ადგილობრივი მტკნარი წყლის ეკოსისტემებს. ქვემოთ მოცემულია საქართველოს შიდა წყალსატევებში, დღეის მდგომარეობით გავრცელებული, უცხო/ინვაზიური თევზის სახეობები და არსებული მდგომარეობა.

- **აღმოსავლური გამბუზია - *Gambusia holbrooki* Girard, 1859**

გამბუზია ჩრდილო ამერიკიდან გადაყვანილი იქნა სამხრეთის ქვეყნებში და ევროპაში, მათ შორის იტალიაში, საიდანაც საქართველოში პირველად შემოიყვანეს 1925 წელს, ექიმ რუხაძის ინიციატივით. 1940 წლიდან ეს სახეობა მთელ საქართველოში გაავრცელეს მაღარიასთან ბრძოლის მიზნით (Барაჯ, 1941; ელანიძე და დემეტრაშვილი 1973; ელანიძე, 1983; ნინუა და სხვ. 2013). კოლოს ლარვების გარდა, ანადგურებს

ადგილობრივი თევზების ქვირითს, ლიფსიტებს და საკვებ ბაზას (ელანიძე და დემეტრაშვილი 1973). შესაბამისად, სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია ადგილობრივი ეკოსისტემებისთვის. ეს სახეობა მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე ინვაზიურ თევზად სამხრეთ კავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც (Kuljanishvili et al. 2020). ბოლო წლებში შეინიშნება მისი არეალის გაფართოვება. კერძოდ, ეს სახეობა ფიქსირდება აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობის მდინარეებში, ჭაობებში და ტბებში (Epitashvili et al. 2023). არის ცნობები, რომ იგი ხელოვნურად გადმოყვავთ დასავლეთ საქართველოდან და უშვებენ კერძო ტბორებში და ბუნებრივ ტბებში (მათ შორის უჯარმის ტბაში).

- **ევროპული ჭაფალა - *Coregonus albula* (Linnaeus, 1758)**

საქართველოში ინტროდუცირებულია 1930 წლიდან, ტაბაწყურის და ფარავნის ტბებში (Барач, 1941; ელანიძე და დემეტრაშვილი 1973; Еланидзе, 1983; ნინუა და სხვ. 2013; Kuljanishvili et al. 2020). გავრცელებულია აგრეთვე საღამოს ტბაშიც, ხოლო ბოლო წლებში გადაყვანილი იქნა წალკის წყალსაცავში. სამხრეთ კავკასიის მტკნარი წყლის თევზების ნუსხაში შეტანილია, როგორც უცხო სახეობა (Kuljanishvili et al. 2020).  
ამ სახეობის გავლენა ადგილობრივ თევზებზე არაა შეფასებული.

- **სიგი - *Coregonus lavaretus* (Linnaeus, 1758)**

ჭაფალას მსგავსად ეს სახეობაც 1930 წლიდანაა აკლიმატიზებული საქართველოში, კერძოდ ტაბაწყურის ტბაში (Барач, 1941; ელანიძე და დემეტრაშვილი 1973; Еланидзе, 1983; ნინუა და სხვ. 2013). ზუსტად რომელი სახეობა იქნა გადმოყვანილი საქართველოში უცნობია, რადგან სხვადასხვა ავტორები რამდენიმე ქვესახეობას ახსენებენ. ამდენად, სამხრეთ კავკასიის მტკნარი წყლის თევზების ნუსხაში აღნიშნულია როგორც *Coregonus sp.* იქამდე სანამ მისი ტაქსონომიური სტატუსი დაზუსტდება (Kuljanishvili et al. 2020).

ამჟამად ტაბაწყურის ტბაში აღარ ფიქსირდება.

- **ცისარტყელა კალმახი - *Oncorhynchus mykiss* (Walbaum, 1792)**

საბჭოთა კავშირში შემოიყვანეს 1936-1940 წლებში. შემდგომ პერიოდში, კურსკიდან გადმოიყვანეს საქართველოში და მოაშენეს სხვადასხვა ტბორებში და წყალსაცავებში (ელანიძე და დემეტრაშვილი 1973; Еланидзе, 1983; ნინუა და სხვ. 2013). ამჟამად გვხვდება საქართველოს მრავალ მდინარეში და წყალსაცავში. ითვლება, რომ ეს სახეობა საქართველოში ბუნებრივად ვერ მრავლდება, თუმცა მის გავრცელებაში დიდ როლს ასრულებს საკალმახე მეურნეობები, საიდანაც ხშირია მათი გაპარვა ახლოს მდებარე წყალსატავებში. აგრეთვე, ბოლო წლებში რამდენჯერმე დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც თურქეთის და რუსეთის ტერიტორიაზე, შტორმმა დააზიანა იქ არსებული ზღვაში მოწყობილი გალიები და ეს სახეობა მასობრივად შემოვიდა დასავლეთ საქართველოს მდინარეებში. ცისარტყელა კალმახი ითვლება ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად, ჩვენს წყალსატევებში გავრცელებული ოთხივე სახეობის კალმახისთვის (*Salmo labrax*, *S. rizeensis*, *S. caspius* და *S. ciscaucasicus*). მნიშვნელოვანი ზიანის მოტანა შეუძლია სხვა ადგილობრივი სახეობებისთვის, რადგან მტაცებელია და ძირითადად იკვებება წყლის მწერებით, კიბოსნაირებით, მოლუსკებით და თევზებით.

ცისარტყელა კალმახი (*Oncorhynchus mykiss*) მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ ინტროდუცირებული თევზის სახეობაა (Stankovic et al., 2015). იგი თითქმის 100-მდე ქვეყანაშია ინტროდუცირებული, საიდანაც 53-ში წარმატებით მრავლდება ველურ პირობებში (Gherardi 2010). ცისარტყელა კალმახის მეურნეობებიდან გავრცელებამ, მრავალ ადგილას, სერიოზული პრობლემა შეუქმნა ამავე სახეობის ველურ პოპულაციებს, რაც პიბრიდიზაციის შედეგად გენეტიკური მრავალფეროვნების შემცირებასა და კონკურენციაში გამოიხატება (Simmons et al., 2010). არაერთი მტკიცებულება არსებობს ინტროდუცირებული ცისარტყელა კალმახის, ამავე გვარის სხვა სახეობებთან პიბრიდიზაციის (Behnke 2010). იაპონიაში, დადასტურებულია მისი კონკურენცია საკვებისთვის, სივრცისთვისა და საქვირითე ადგილებისთვის „მასუსთან“ (*Oncorhynchus masou*), *Salvelinus*-ის სახეობებთან და სახალინის ტაიმენთან (*Hucho perryi*) (Morita 2003; Rahel et al., 2008; Inoue et al., 2009). კვლევები ცისარტყელა კალმახისა და მურა კალმახის (*Salmo trutta*) კონკურენციაზე შედარებით მწირია. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, მრავალ წყალსატევში მოხდა ცისარტყელა კალმახის გაშვება, თვით შენარჩუნებადი, ბუნებრივად გამრავლებადი პოპულაციების ჩამოყალიბება მათ დიდ უმრავლესობაში

ვერ მოხდა. საბერძნეთში დაბალი წარმატების მიზეზად, არახელსაყრელ გარემო პირობებთან ერთად სხვადასხვა ხაზების შეჯვარების შედეგად გამოწვეული შეგუებულობის დაქვეითება და საშენებში მოშენების შედეგად ისეთი ქცევის ჩამოყალიბება, რომელიც ასევე ნაკლებად ხელსაყრელი იყო ახალ გარემოში (Koutsikos ეტ. ალ., 2019). ევროპის მასშტაბით, ცისარტყელა კალმახის 100-ზე მეტი ბუნებრივად გამრავლებადი პოპულაციაა ცნობილი, რომელთაგან დიდი ნაწილი ცენტრალურ ევროპაში, ალპების კალთებზე (Stanković et al., 2015). კვლევამ აჩვენა, რომ პირინეის საფრანგეთის ნაწილში ცისარტყელა კალმახი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მურა კალმახის მიერ ჰაბიტატის შერჩევასა და გადარჩენადობაზე როგორც ბუნებრიც, ასევე ექსპერიმენტულ (ხელოვნურ) პირობებში (Blanchet et al., 2007). ადგილობრივ მურა კალმახთან კონკურენცია საქვირითე ადგილისთვის დადასტურებულია ტბა კონსტანციასა და ბალტიის ზღვაშიც (Landergren, 1999; Rulé et al., 2005). სხვადასხვა კვლევით ნაჩვენებია ინტროდუცირებული ცისარტყელა კალმახის უარყოფთი გავლენა სხვა, არა-ორაგულისებრთა სახეობის თევზებზე.

კარგადაა შესწავლილი ცისარტყელა კალმახის უარყოფითი გავლენა ოჯახი Galaxiidae-ს სახეობებზე სამხრეთ ნახევარსფეროში. მტაცებლობის გარდა, ნაჩვენებია კონკურენცია ჰაბიტატის ცვლილების გზით (McDowall 2003, 2006; Young et al., 2010).

საქართველოში, ბოლო ათი წლის განმავლობაში, მრავალი შემთხვევა იყო ცისარტყელა კალმახის დიდი რაოდენობით ბუნებაში გაქცევის. მიუხედავად იმისა, რომ მეთევზები მდინარეებში ხშირად იჭერენ პატარა ზომის ინდივიდებს, ცისარტყელა კალმახის ბუნებრივ პირობებში გამრავლების მტკიცებულება დღემდე არ გვაქვს. ბოლო წლებში ხშირია შემთხვევები მარიკულტურიდან გაქცეული დიდი რაოდენობით ცისარტყელა კალმახის შავი ზღვის აუზის მდინარეებში მოხვედრის. უცნობია რა გავლენას ახდენს ცისარტყელა კალმახი კალმახის ადგილობრივ სახეობებსა და სხვა, არა-ორაგულისებრთა სახეობებზე საქართველოში. ასეთი სიხშირითა და რაოდენობით, ცისარტყელა კალმახის ბუნებაში გაქცევის შემთხვევებში, სავარაუდოდ არსებობს რისკი ზოგიერთ მდინარეში ბუნებრივად გამრავლებადი პოპულაციის ჩამოყალიბების.

- ფსევდორაზბორა - *Pseudorasbora parva* (Temminck & Schlegel, 1846)

საქართველოში შემოიყვანეს შორეული აღმოსავლეთიდან, სქელშუბლასთან ერთად (სავარაუდოდ შემთხვევით) 1962 წელს (ნინუა და სხვ. 2013; Kuljanishvili et al. 2020). ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ინვაზიური თევზია მსოფლიოში. საქართველოს შიდა წყალსატევებში ფსევდორაზბორა სწრაფად იფართოვებს არეალს (Kuljanishvili et al. 2020) და ითვლება მნიშვნელოვან კონკურენტად ადგილობრივი თევზებისთვის, რადგან იკვებება მათი ქვირითით.

- ჩვეულებრივი სქელშუბლა - *Hypophthalmichthys molitrix* (Valenciennes, 1844)

საქართველოში აკლიმატიზებულია 1962 წლიდან. თავდაპირველად გაუშვეს ჯაპანის თევზსაშენ ტბორებში, ასევე ლისის, კუმისის და ჯანდარის ტბებში (ელანიძე და დემეტრაშვილი 1973; Еланидзе, 1983; ნინუა და სხვ. 2013). შემდგომ პერიოდში, ეს სახეობა მოაშენეს სხვა წყალსაცავებშიც. სქელშუბლა ძირითადად იკვებება ფიტოპლანქტონით და ბენთოსით. სავარაუდოდ კონკურენციას უწევს ადგილობრივ, მსგავსი ცხოვრების ნირის მქონე თევზებს (მაგ. კობრს).

- ჭრელი სქელშუბლა - *Hypophthalmichthys nobilis* (Richardson, 1845)

ჩვეულებრივი სქელშუბლას მსგავსად, საქართველოში აკლიმატიზებულია 1962 წლიდან. გაუშვეს იგივე წყალსატევებში (ელანიძე და დემეტრაშვილი 1973; ნინუა და სხვ. 2013). საბინადრო გარემო და კვების რაციონი იგივე აქვს, როგორც ჩვეულებრივ სქელშუბლას და შესაძლოა კონკურენტი იყოს ადგილობრივი სახეობებისთვის.

- თეთრი ამური - *Ctenopharyngodon idella* (Valenciennes, 1844)

საქართველოში აკლიმატიზებულია 1962 წლიდან იგივე წყალსატევებში, სადაც ჩვეულებრივი და ჭრელი სქელშუბლები გაუშვეს (ელანიძე და დემეტრაშვილი 1973; ნინუა და სხვ. 2013). იკვებება ძირითადად წყალმცენარეებით და სავარაუდოდ კონკურენციას უწევს ადგილობრივ, მსგავსი ცხოვრების ნირის მქონე თევზებს (მაგ. კობრს, ხრამულებს და სხვ.).

- კარჩხანა - *Carassius gibelio* (Bloch, 1782)

საქართველოში კარჩხანა პირველად დააფიქსირა კესლერმა, 1878 წელს პალიასტომის ტბაში და მიიჩნია, როგორც *Carassius carassius*, თუმცა მას შემდეგ 1985 წლამდე, ეს სახეობა საქართველოში აღარავის უნახავს და სხვა ავტორები (Каменский, 1899; Сатунин, 1914; Садовский, 1930; ბურჯანაძე, 1940; Барач, 1941; Берг, 1949; Шарვაშიძე, 1960; Еланидзе, 1983) უბრალოდ იმეორებდნენ კესლერის ცნობას, ამ სახეობის არსებობის შესახებ პალიასტომის ტბაში (Еланидзе, 1983; Japoshvili et al. 2013). 1985 წელს ეს სახეობა კვლავ დააფიქსირეს პალიასტომში (Дараселия, 1985). დარსელია აღნიშნავდა, რომ ეს სახეობა პალიასტომში ძალიან იშვიათი იყო და სავარაუდოდ, შემთხვევით გავრცელდა იქ, კობრის ლიფსიტების ინტროდუქციის დროს. მოგვიანებით, ეს სახეობა დაფიქსირდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსთან მდებარე წყალსატევებში (Горадзе и др. 2003) და ფარავნის ტბაში (Japoshvili et al. 2004), თუმცა 2013 წლამდე უცნობი იყო კარჩხანას რომელი სახეობა ბინადრობდა საქართველოში. 2013 წელს ჩატარებული გენეტიკური კვლევით დადგინდა, რომ საქართველოში გავრცელებულია *Carassius gibelio* (Japoshvili et al. 2013). აღსანიშნავია, რომ ამ სახეობამ ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად გაიფართოვა არეალი და დღეს გვხვდება მთელს საქართველოში, მრავალ ტბაში, ტბორში, წყალსაცავში და მდინარეში. კარჩხანა ერთ - ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ინვაზიური თევზია მსოფლიოში და მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს წყლის ეკოსისტემებზე, რადგან ადგილობრივი თევზების კონკურენტია კვებასა და გამრავლების ადგილებში (ნინუა და სხვ. 2013).

- **ამურის ღორჯო - *Rhinogobius lindbergi* Berg, 1933**

ეს სახეობა საქართველოში პირველად დაფიქსირდა 2017 წელს (Japoshvili et al. 2020), რომელიც ნანახი იქნა კახეთში, სოფელ ოზაანთან მდებარე მცირე ღელეში. ამავე პერიოდში და შემდგომ წლებში, ამურის ღორჯო ნანახი იქნა კიდევ რამდენიმე ლოკაციაზე (Epitashvili et al. 2020; Epitashvili et al. 2023). თავდაპირველად ეს სახეობა ცნობილი იყო, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოდან, თუმცა მოგვიანებით იგი ნანახი იქნა დასავლეთ საქართველოს წყალსატევებშიც (Epitashvili et al. 2023; Beridze et al. 2023). ამურის ღორჯო ერთ-ერთი ყველაზე ახლად დამკვიდრებული ინვაზიური თევზია საქართველოში, რომელიც სწრაფად იფართოვებს არეალს და როგორც ჩანს

საკმაოდ წარმატებითაც. მცირე ზომის მიუხედავად, მას შეუძლია სერიოზული ზიანი მოუტანოს ადგილობრივ ეკოსისტემებს და თევზის პოპულაციებს, რადგან იკვებება თევზის ქვირითით და სხვადასხვა ცხოველური ორგანიზმებით.

- **პილენგასი - *Planiliza haematocheilus* (Temminck & Schlegel, 1845)**

პილენგასი ბუნებრივად გავრცელებულია შორეულ აღმოსავლეთში და ძირითადად ბინადრობს იაპონიის ზღვაში. ლიტერატურის მიხედვით (ნინუა და სხვ. 2013), მე - 20 საუკუნეში მოხდა მისი აკლიმატიზაცია აზოვის ზღვაში, საიდანაც გავრცელდა შავ ზღვაშიც. საქართველოს სანაპიროებთან ყველგან გვხვდება, საიდანაც შედის მდინარეების შესართავებში და პალიასტომის ტბაში. პილენგასი დიდი რაოდენობით ბინადრობს აზოვის ზღვაში, ხოლო შავ ზღვაში მისმა გავრცელებამ გამოიწვია კეფალის ადგილობრივი სახეობების ჩანაცვლება აღნიშნული სახეობით (Kottelat and Freyhof, 2007). მისი გავლენა საქართველოში ადგილობრივ ეკოსისტემებზე, მათ შორის კეფალების სხვა სახეობებზე არაა შესწავლილი.

- **ლანცეტა/კორეული კარპი - *Hemiculter leucisculus* (Basilewsky, 1855)**

ეს სახეობა ბუნებრივად გავრცელებულია შორეულ აღმოსავლეთში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში პირველად 2015 წელს დააფიქსირეს აზერბაიჯანში (Mustafayev et al. 2015; Kuljanishvili et al. 2020). აზერბაიჯანიდან საქართველოს წყლებშიც შემოაღწია და გვხვდება მტკვრის, იორის და ალაზნის ქვემო და შუა დინებებში, ჯანდარის და ბაზალეთის ტბებში და აგრეთვე, დალის წყალსაცავში (Epitashvili et al. 2023). მისი გავლენა ადგილობრივ ეკოსისტემებზე ჯერჯერობით არაა შესწავლილი, თუმცა რამდენიმე ლოკაციაზე (მაგ. დალის წყალსაცავი, ბაზალეთის ტბა და ა.შ) გვხვდება მრავალრიცხოვანი პოპულაციების სახით, რაც სერიოზულ პრობლემას შეუქმნის ადგილობრივ სახეობებს. როგორც ჩანს კორეული კარპი სწრაფად იფართოვებს არეალს, რასაც ადამიანის ჩარევაც უწყობს ხელს. სავარაუდოდ სხვა სახეობების (მაგ. ქორჭილა, ქარიყლაპია) ინტროდუქციის დროს, შემთხვევით მოხვდა ეს სახეობა ისეთ ჩაკეტილ ეკოსისტემებში, როგორიცაა ბაზალეთის ტბა.

- **ნილოსის ტილაპია - *Oreochromis niloticus* (Linnaeus, 1758)**

ნიღოსის ტილაპია პირველად 2020 წელს იქნა დაფიქსირებული აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში, როდესაც სოფელ მშვიდობიანის მიმდებარედ, მდინარე ბაისუბნისხევში, მეთევზეებმა მოიპოვეს რამდენიმე ეგზემპლარი (Kuljanishvili et al. 2021). ამ სახეობის ერთი ინდივიდი აგრეთვე ნანახი იქნა კუს ტბაშიც. ბოლო პერიოდში, ტილაპია აღარ დაფიქსირებულა საქართველოში, თუმცა შემდგომი პვლევები მნიშვნელოვანი იქნება ამ სახეობის არსებობის და შესაძლო ინვაზიის რისკების შესაფასებლად.

- **ციმბირული ზუთხი - *Acipenser baerii* Brandt, 1869**

ციმბირული ზუთხი ერთ - ერთი ფართოდ გამოყენებადი სახეობაა აქვაკულტურაში. საქართველოში არსებული თევზის მეურნეობებიც მისდევენ ამ სახეობის მოშენებას. როგორც ჩანს, სათევზაო მეურნეობებიდან პერიოდულად ხდება მათი გაღწევა ბუნებაში, ან ხელოვნური გაშვება ზოგიერთ წყალსაცავში (მაგ. ორიოდე წლის წინ, თბილისის ზღვაში გაუშვეს ერთი ზრდასრული ეგზემპლარი). ამ სახეობის რამდენიმე ინდივიდი დაფიქსირდა ბუნებრივ პირობებში, კერძოდ მდ. რიონში (Ananiashvili et al. 2023).

რამოდენიმე წლის წინ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ზუთხის სახეობებს შორის მიმდინარე ჰიბრიდიზაცია (Beridze et al., 2022). ჰიბრიდიზაციის ერთ-ერთი პოტენციური შედეგია ჰიბრიდების მიერ მშობლური სახეობების ტერიტორიების ათვისება და რესურსებზე კონკურენციაა, რაც ხშირ შემთხვევებში იწვევს მშობლური პოპულაციის დათრგუნვას. მდინარე რიონსა და მიმდებარე ზღვის აკვატორიაში მოპოვებული 94 სინჯიდან 4 რუსული ზუთხისა და ტარალანას (*A. gueldenstaedtii* X *A. stellatus*) ჰიბრიდი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზუთხისებრთა ველურ ინდივიდებს შორის სახეობათშორისი ჰიბრიდიზაცია სხვა პოპულაციებშიცაა აღწერილი, ჰიბრიდიზაციის აღმინული სიხშირე მაღალ მაჩვენებლად ითვლება და შესაძლოა პოპულაციების რიცხოვნობების კრიტიკულ ზღვრამდე კლებასთან იყოს დაკავშირებული (Beridze et al., 2022). ბოლო პერიოდში ჰიბრიდიზაციის პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური ხდება, რაც აკვაკულტურის სწრაფ განვითარებასა და ქვეყანაში უცხო სახეობის ზუთხისებრის - ციმბირული ზუთხის (*Acipenser baerii*) შემოყვანასთანაა დაკავშირებული. ციმბირული ზუთხი, სხვა ზუთხისებრებთან

შედარებით, ინტროდუქციისა და შომდგომი გავრცელების ყველაზე მაღალი პოტენციალის მქონე სახეობად ითვლება. ზუთხისებრთა ადგილობრივი სახეობებისთვის, ციმბირული ზუთხის გავრცელებით გამოწვეულ პოტენციურ საფრთხეებს შორის ინფექციური დაავადებებისა და პარაზიტების გავრცელება, ჰიბრიდიზაცია, ასევე ჰაბიტატისა და საკვებისთვის კონკურენცია მოისაზრება (Brevé et al., 2022).

არსებობს მაღალი რისკი იმის, რომ ციმბირული ზუთხი შეუწყვილდება რიონში ჯერ კიდევ შემორჩენილ ზუთხის ადგილობრივ სახეობებს, რაც კრიტიკულად მცირერიცხოვან პოპულაციებზე ნეგატიურ გავლენას მოახდენს.

ციმბირული ზუთხი “ავსტრია-გერმანიის ინვაზიური უცხო სახეობების შავ სიაშია” შეტანილი (Nehring et al., 2010; Essl et al., 2011). უკვე არაერთი შემთხვევაა საქართველოს წყალსატევებში, მათ შორის რიონში ციმბირული ზუთხის არსებობის დადასტურების. თითქმის 1 მეტრი სიგრძის ინდივიდი სამტრედიაში, ველური ზუთხისებრთა საქვირითე არეალშია დაჭრილი (White et al., 2023). მსგავსი პლოიდიისა (4X) და ძალიან მაღალი გენეტიკური მსგავსების გამო, რიონში, ციმბირული ზუთხის ჰიბრიდიზაცია შესაძლოა ყველაზე პრობლემური რუსულ ზუთხთან აღმოჩნდეს, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს ადგილობრივი პოპულაციის გენეტიკური სტრუქტურა და გამრავლების ქცევა. აღნუშნულმა შესაძლოა კიდევ შეამციროს, ისედაც კრიტიკულად შემცირებული პოპულაციის ზომა. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ საკმაოდ რთულია სუფთა ხაზის ციმბირული და რუსული ზუთხების და შესაბამისად მათი ჰიბრიდების გენეტიკური მეთოდებით გარჩევა (Beridze et al., 2024).

- იშხანი/სევანის კალმახი - *Salmo gegarkuni* Kessler, 1877

იშხანის ინტროდუქცია სხვადასხვა პერიოდში მოხდა საქართველოში (Kuljanishvili et al. 2020). ეს სახეობა ძირითადად გაშვებული იქნა თბილისის ზღვაში, სადაც იშვიათად ფიქსირდება ერთეული ინდივიდების სახით. აღნიშნულ წყალსატევში, მდინარე იორიდან ასევე პერიოდულად ხვდება კასპიური ნაკადულის კალმახი - *Salmo caspius*. მიუხედავად იმისა, რომ იშხანი იშვიათია თბილისის ზღვაში, შესაძლოა კასპიური

კალმახისთვის და სხვა სახეობებისთვის პოტენციურ კონკურენტად ჩაითვალოს, რაც შემდგომ კვლევას საჭიროებს.

- **ქორჭილა - *Perca fluviatilis* Linnaeus, 1758**

ქორჭილა ბუნებრივად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს დაბლობის მდინარეებში და ტბებში (Барач, 1941; ელანიძე და დემეტრაშვილი 1973; Еланидзе, 1983; ნინუა და სხვ. 2013). ბოლო ათწლეულის მანძილზე უკანონოდ მოხდა ამ სახეობის განსახლება მთელი საქართველოს მასშტაბით. მათ შორის მისი ინვაზია მოხდა ტყიბულის, შაორის, წალკის, თბილისის, ალგეთის, უინვალის წყალსაცავებში. კუს, ლისის, ბაზალეთის, ჯანდარის, კრწანისის ტყეპარკის, ზიარის ტბებში და სხვა ლოკაციებზე. ინტროდუქციის ახალ ადგილებში ქორჭილამ გამოავლინა ზრდის სწრაფი ტემპი და ყველგან გავრცელდა დიდი რაოდენობით. ვინაიდან ეს სახეობა აგრესიულ მტაცებლად ითვლება, მოსალოდნელია ადგილობრივი სახეობების პოპულაციების შემცირება და გარკვეულ ადგილებში მათი ლოკალური გადაშენება.

- **ქარიყლაპია - *Esox lucius* Linnaeus, 1758**

ქორჭილას მსგავსად, ქარიყლაპიაც ბუნებრივად გვხვდება დასავლეთ საქართველოს დაბლობის წყალსატევებში (Барач, 1941; ელანიძე და დემეტრაშვილი 1973; Еланидзе, 1983; ნინუა და სხვ. 2013). ქორჭილას და ქარიყლაპიას განსახლება დაახლოებით ერთი პერიოდიდან დაიწყო და თითქმის იგივე წყალსატევებში მოხდა მათი აკლიმატიზაცია. ეს სახეობაც აგრესიულ მტაცებლად ითვლება და გაცილებით დიდ ზომებს აღწევს ვიდრე ქორჭილა. შესაბამისად, მოსალოდნელია ადგილობრივი სახეობების პოპულაციების შემცირება და ლოკალური გადაშენება გარკვეულ წყალსატევებში.

- **ფარგა - *Sander lucioperca* (Linnaeus, 1758)**

ფარგა ბუნებრივად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში (ელანიძე და დემეტრაშვილი 1973; Еланидзе, 1983; ნინუა და სხვ. 2013). ბოლო წლებში ეს სახეობა გაშვებული იქნა ალგეთის წყალსაცავში. მტაცებელია და იკვებება სხვადასხვა სახეობის თევზებით, მათი ლიფსიტებით და სხვ. შესაბამისად, ქორჭილასთან ერთად ეს

სახეობაც სერიოზულ გავლენას მოახდენს ადგილობრივი თევზების პოპულაციებზე, რაც ასევე გამოიწვევს მათ შემცირებას აღგეთის წყალსაცავში.

- კობრი - *Cyprinus carpio* (Linnaeus, 1758)

საქართველო კობრის ბუნებრივი არეალის ფარგლებშია მოქცეული, თუმცა იგი ყველა წყალსატევში არ იყო გავრცელებული. ზოგ წყალსატევში, სადაც არ ბინადრობდა მანამდე, კობრი შეიყვანეს ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. ასეთ წყალსატევებში კობრი ინვაზიურ სახეობად ითვლება და პოტენციურად დიდი საფრთხის მატარებელია იქაური სახეობებისთვის.

როდესაც კოსმოპოლიტი<sup>3</sup>) სახეობა შეგყავს მისი ბუნებრივი ჰაბიტატის ფარგლებს გარეთ, შეიძლება ადგილობრივი იხტიოფაუნის პომოგენიზაცია გამოიწვიოს (Clout & Williams, 2009).

სახეობების ზემოაღნიშნული ჩამონათვალი არის არასრული, რადგან სპეციალური კვლევა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე უცხო ინვაზიური სახეობების გამოსავლენად და მათი გავლენის შესასწავლად ადგილობრივ ეკოსისტემებზე ბოლო წლებში არ ჩატარებულა. მიმოხილვიდან გამომდინარე ნათელია, რომ:

- ✓ დასაზუსტებელია უცხო ინვაზიური სახეობების ნუსხა
- ✓ შესასწავლია უცხო ინვაზიური სახეობების გავლენა ადგილობრივ სახეობებზე
- ✓ გასაკეთებელია გავრცელების მოდელირება
- ✓ უცხო ინვაზიური სახეობებისთვის მისანიჭებელია ინვაზიურობის სტატუსი
- ✓ შესადგენია ეგზოტიკური სახეობების შავი სია
- ✓ გასაძლიერებელია სახელმწიფო კონბტროლი თევზების სახეობების შემოყვანასა და გავრცელებაზე
- ✓ შესამუშავებელია პროგრამა თევზების უცხო ინვაზიური სახეობების შემოყვანის პრევენციისა და სწრაფი რეაგირებისთვის

---

<sup>3</sup> სახეობა, რომელსაც ყველგან, ან თითქმის ყველგან, შეუძლია ცხოვრება

- ✓ გასამკაცრებელია ზომები სხვადასხვა წყალსატევებში ადგლობრივი ჯიშების შეყვანასთან დაკავშირებით

- ქვეწარმავლები  
გიორგი იანქოშვილი

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიერ გამოყოფილ ყველაზე მაღალი ინვაზიურობის პოტენციალის მქონე 100 სახეობას შორის ქვეწარმავლების სულ ორი სახეობა: ხის მურა გველი (*Boiga irregularis*) და წითელყურა კუ (*Trachemys scripta*) (Love et al., 2004)

**წითელყურა კუ (*Trachemys scripta*)** ბუნებრივრად გავრცელებულია ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ, სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, ასევე გხვდება მექსიკის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში (Rhodin et al. 2017). იგი მარტივად ეგუება უცხო გარემოს და მარტივად შეუძლია სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის შემქნა იმ რეიონებში სადაც მისთვის კლიმატურად ვარგისი გარემოა (რუკა) (Rödder et al. 2009; Heidy Kikillus et al. 2010). მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი ქვეწარმავალია დედამიწაზე, აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული ამერიკიდან ექსპორტზე მიღიონობით ინდივიდი გადის. (Telecky 2001; Reed and Gibbons 2003). მე-20 საუკუნის ბოლოდან ფართომაშტაბიანი კომერციული მოშენება დაიწყო ჩინეთში, ძირითდად გამოიყენებოდა ადამიანის მოხმარებისთვის (van Dijk et al. 2000).

სხვადასხვა წყაროების მიხედვით ბოლო 50 წლის განმავლობაში ევრაზიაში უკვე არსებობს მათი გავრცელების 1500 მდე წერტილი (Reshetnikov, 2023), რომელიც 68 ქვეყანას მოიცავს. მისი არსებობა შემაშფოთებელი გახდა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ზამთარშიც არის ხელსაყრელი პირობები.

ასევე დადასტურდა წარმატებული გამრავლების შემთხვევები. ზოგიერთ ქვეყანაში მათ შეძლეს ჩამოეყალიბებინათ ჯანასღი პოპულაცია წყალსატევებში, სადაც სხვა სახეობის კუები იყო გავრცელებული და პრობლემა შეუქმნეს ადგილობრივ სახეობებს (კონკურენცია

რესურსებზე). ასეთი მაგალითები გვაქვს ევროპიდან, დასავლეთ აზიიდან, აღმოსავლეთ აზიაში კი წარმატებულები ძირითადად სანაპირო რეგონებში და კუნძულებზე აღმოჩნდნენ.

ახალგაზრდა ინდივიდი საკმაოდ ლამაზია, რაც მიმზიდველს ხდის აკვარიუმებისთვის, თუმცა საკმაოდ სწრაფად იზრდება, რის გამოც მეტ სივრცეს და მეტ საკვებს საჭიროებს. ზოგ შემთხვევაში ხდება შედარებით აგრესიული, არის დაკბენის შემთხვევებიც. ზრდასრულები ისეთივე ლამაზები არ არიან, როგორც ახალგაზრდები და ამ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ხშირად ხდება მათი ახლოს მდებარი წყალსატევებში გაშვება.

#### **წითელყურა კუს მიერ გამოწვეული საფრთხეები:**

- ✓ შეუძლიათ უარყოფით გავლენა მოახდინონ მაკროფიტებზე (წყლის მცენარეებზე, რომლებიც წყალთან ან წყალში იზრდებიან) და წყალში მობინადრე სხვა არსებებზე (Ficetola et al. 2012). ამფიბიები მათ წინააღმდეგ საკმაოდ დაუცველები არიან, რადგან კუები მათ თავკომბალებზე მტაცებლობენ.
- ✓ მათ მიერ გამოთავისუფლებულმა ქიმიურმა საკომუნიკაციო ნივთიერებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ამფიბიების განვითარებაზე (Polo-Cavia et al. 2010; Vodrážková et al. 2020).
- ✓ გამოირჩევა გამრავლების მაღალი სიჩქარით რითაც ჩაგრავს ადგილობროვ სახეობებს (მაგ. ეცილება კვერცხსადებ ადგილებში).
- ✓ ექსპერიმენტებით დასტურდება, რომ ადგილობრივი სახეობების სიკვდილიანობა უფრო მაღალია, თუ წითელყურა კუ მათთან ერთად ბინადრობს (Cadi and Joly 2004)
- ✓ შეიძლება იგი იყოს ვექტორი უცხო პარაზიტი სახეობების შემოჭრისთვის, რომლებიც დაასწებოვნებენ ადგილობრივ სახეობებსაც.
- ✓ იგი საშიშია ადამიანებისთვისაც - რადგან სალმონელოზის მატარებელია (Nagano et al. 2006; Shen et al. 2011). ამის გამო 1970 წლებში, ამერიკაში აიკრძალა მცირე ზომის (<10 სმ) ინდივიდებით ვაჭრობა და 1997 წლიდან სრულად აიკრძალა იმპორტი ევროპაში (Ficetola et al. 2012).

რაც შეეხება საქართველოში გავრცელებას, არსებობს მისი შეხვერდის შემდეგი წერტილები (დოკუმენტირებულია) : კუს ტბაზე, ამ ტერტიტორიაზე შევხვდებით ყველა ასაკის რამდენიმე ათეულ ინდივიდს. ჩვენი დაკვირვებით, კუს ტბაზე, ბოლო 10 წლის განმავლობაში აშვარაა ადგილობრივი სახეობების შემცირების ტენდენცია; ლისის ტბაზე, სადაც შემჩნეულია კვერცხის დების პროცესი; სიონის წყალსაცავზე, სადაც ნანახია 2016 წელს; ბათუმში, ნურიგელის ტბაში, სადაც ასევე გავრცელებულია ადგილობირვი სახეობა - ჭაობის კუ, რომელიც დიდი ხანია აღარ უნახავთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია:

- ✓ საქართველოში წითელყურა კუს გავრცელების ადგილების და სიჩქარის კვლევა
- ✓ ადგილობრივ ეკოსისტემაზე მისი გავლენის შესწავლა
- ✓ შემოყვანის შეზღუდვა ან საჭიროების შემთხვევაში აკრძალვა
- ✓ არსებული პოპულაციის შეფასება და კონტროლი

#### • ფრინველები

**ზურაბ ჯავახიშვილი, ნიკა ბუდაღაშვილი**

ფრინველებს ფრენის უნარის გამო დიდ მანძილებზე შეუძლიათ გადაადგილება, ამიტომ მრავალი სახეობის ფრინველს აქვს ფართო არეალი მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სახეობა შეზღუდულ არეალში ბინადრობს და შეგუებულია სპეციფიკურ, ვიწრო ეკოლოგიურ პირობებს. სწორედ ასეთი სახეობებისთვის არის განსაკუთრებით სახიფათო უცხო ინვაზიური სახეობები, როგორც კონკურენტები შეზღუდულ რესურსებზე და /ან გენეტიკური „დამაბინძურებლები“

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიერ გამოყოფილ ყველაზე მაღალი ინვაზიურობის პოტენციალის მქონე 100 სახეობას შორის ფრინველების სამი სახეობაა შეტანილი: ინდური მაინა (*Acridotheres tristis*); ქოჩორა ბულბული (მჭრინავი) (*Pycnonotus cafer*) და შოშია (*Sturnus vulgaris*). უკამასკნელი სახეობა საქართველოში ბუნებრივად არის გავრცელებული, პირველი ორი კი ჩვენს ქვეყანაში ნანახი არ არის.

მთავარი საკვანძო პრობლემა, რისი გამოწვევაც ინვაზიურ სახეობებს შეუძლიათ, არის კონკურენცია. ადგილობრივ სახეობებს, როგორც წესი, უწევთ გაინაწილონ საკვები რესურსი, ვაკანტური საბუდარი ტერიტორიები და ჰაბიტატი ახალ სახეობასთან. ინვაზიური სახეობების

პოპულაციების ზრდასთან ერთად იზრდება წნები ადგილობრივ მსხვერპლ სახეობებზეც, რაც შეიძლება იყოს ფრინველები, მწერები, ან მცენარეები. ზოგიერთ ინვაზიურ ფრინველს მარტივად შეუძლია ადგილობრივი სახეობების ცალკეული არეალებიდან გაძევება და იქ არსებული რესურსების დასაკუთრება, როგორიცაა საკვანძო საბუდარი ტერიტორიები და საკვებით მდიდარი ტერიტორიები. მსგავსმა აქტიურმა და აგრესიულმა კონკურენციამ შესაძლოა სახეობების ბუნებიდან გადაშენებაც კი გამოიწვიოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ სახეობას შეზღუდული არეალი გააჩნია (Blackburn et al. 2019, Pyšek et al. 2020). ზოგიერთი ინვაზიური სახეობის ფრინველის პოპულაცია შეიძლება სწრაფად გამრავლდეს და პოპულაციის დასტაბილურებამდე ძალიან მაღალ სიმჭიდროვეს მიაღწიოს. მაღალი რიცხოვნობის გამო, ინვაზიურმა სახეობამ პოტენციურად, შესაძლოა სოფლის მეურნეობას მიაჭინოს ზარალი.

არსებული სიტუაციის ანალიზისას, საქართველოში ინვაზიური ფრინველების გავრცელების ორი ძირითადი გზა გამოიკვეთა:

- ✓ ნადირობის მიზნით ფრინველთა უცხო სახეობების ან/და ქვესახეობების გამიზნული შემოყვანა და ბუნებაში გაშვება;
- ✓ ზოლოგიური კოლექციებიდან ფრინველთა შემთხვევითი გაქცევა

საქართველოში, სანადირო სახეობების მენეჯმენტი სუსტად არის განვითარებული. ნადირობის კანონმდებლობის დაუხვეწაობამ და სანადირო სახეობების მართვის პრაქტიკის დაბალმა დონემ, გამოიწვია სანადირო სახეობების პოპულაციათა შემცირება, ამას ემატება ბრაკონიერობის დიდი წნები და ინვაზიური სახეობების/ქვესახეობების გავრცელება. ამის შედეგად საქართველოში გავრცელდა კოლხური ხოხბის (*Phasianus colchicus*) სხვადასხვა უცხო ქვესახეობები და მათი ჰიბრიდები. გარდა ამისა, დაფიქსირდა კოლხური ხოხბის ახლო მონათესავე, მწვანე (იაპონური) ხოხბის (*Phasianus versicolor*) ბუნებაში გაშვების შემთხვევებიც.

სხვა ქვეყნების მაგალითზე ცნობილია, რომ უცხო ქვესახეობის ხოხბები, ადგილობრივ ქვესახეობასთან შედიან კონკურენციაში, ასევე უწყვილდებიან აბორიგენულ სახეობებს და ქმნიან ჰიბრიდიზაციის საფრთხეს. შედეგად, ადგილობრივი ქვესახეობა შეიძლება განიდევნოს ცალკეული ჰაბიტატიდან, მიზანმიმართულად გაშვებული, ტყვეობაში გამრავლებული არაადგილობრივი ხოხბების მიერ. აქედან გამომდინარე, უცხო ქვესახეობის

ხობების თვითნებური გაშვება ადგილობრივი ქვესახეობის არეალში აუცილებლად გამოიწვევს ადგილობრივი კოლხური ხობის გენეტიკურ გადაშენებას საქართველოდან.

საქართველოში, გარდა ზოოპარკებისა, არსებობს კერძო ზოოლოგიური კოლექციები. ამ კოლექციებს სხვადასხვა მიზნით ქმნიან და შესაბამისად, სხვადასხვა სახეობის ფრინველებს ინახავენ. მაგალითად, ეგზოტიკური ფრინველების ავიარიუმი, რომელიც განთავსებულია შედარებით დიდ ფართობზე ბუნებრივ გარემოში და სადაც ყავთ რამოდენიმე უცხო სახეობის მრავალი ინდივიდი. ასეთი ტიპის კოლექციიდან უცხო სახეობის ფრინველთა გაქცევის რისკი მაღალია, რადგან ვოლიერები არის ღია ცის ქვეშ და ამინდის ექსტრემალური მოვლენების დროს შესაძლებელია დაზიანდეს.

არსებობს კიდევ საბაზიერო ფრინველების გასამრავლებელი ავიარიუმი. ამ ტიპის კოლექციას ქმნიან საბაზიერო ფრინველების გამრავლების მიზნით. ასეთი ტიპის ავიარიუმში ხშირად ბაზიერები აწყვილებენ დამჭერი ფრინველების სხვადასხვა სახეობებს და შედეგად იღებენ სახეობათშორის ჰიბრიდებს. ასეთი ავიარიუმები განთავსებულია მცირე ტერიტორიაზე, ვოლიერებიც მცირება და დაზიანებისგამ მისი დაცვა - მარტივი. თუმცა, ამ ტიპის ავიარიუმებიდან უცხო სახეობის ფრინველის გაქცევის საფრთხე შედარებით მაღალია, ფრინველები ხშირად გამოჰყავთ შეუღობავ ტერიტორიაზე „სავარჯიშოდ“ და ისინი ყოველთვის უკან არ ბრუნდებიან.

ფრინველებით ვაჭრობის მიზნით შექმნილი ავიარიუმებიც შეიძლება იყოს ინვაზის წყარო.

აღნიშნულ ავიარიუმებში ამრავლებენ ისეთ ფრინველებს, რომლებიც პოპულარულია საქართველოს მოქალაქეებში (სხვადასხვა სახეობის თუთიყუშები, მგალობელი ფრინველები, ქათმისნაირი ფრინველები). ისინი ხშირად მოწყობილია მცირე ზომის ტერიტორიაზე, ვოლიერებიც შედარებით მცირე ზომისაა და ადვილად დასაცავი დაზიანებისაგან. როგორც წესი, ასეთი ავიარიუმიდან ფრინველების გაქცევის აღბათობა არ არის მაღალი, თუმცა აქ ნაყიდი ფრინველები, უკვე კერძო მფლობელებისგან ხვდებიან ბუნებაში.

საქართველოში ასევე არსებობენ მგალობელ და ეგზოტიკურ ფრინველთა კოლექციონერები, რომლებსაც ფრინველთა მცირე კოლექცია აქვთ. ასეთი ავიარიუმები გაკეთბულია მცირე ტერიტორიაზე (კერძო სახლებში), ვოლიერები მცირეა და დაზიანების საფრთხე დაბალი. ფრინველთა გაქცევის აღბათობა ასევე შედარებით დაბალია.

საქართველოში გვხვდება 5 სახეობის ინვაზიური ფრინველი, საიდანაც 3 სახიფათო ინვაზიური სახეობაა: ევროპული ხოხობი (*Phasianus colchicus*), რომელიც ადგილობრივ ქვესახეობას უქმნის საფრთხეს და აფრიკული გრძელკუდა თუთიყუში (*Alexandrinus krameri*), რომელიც ურბანულ გარემოში დაფუძნების შემთხვევაშუ, ფუღუროში მობუდარ ფრინველებს დიდ საფრთხეს შეუქმნის და წმინდა ივერია (*Threskiornis aethiopicus*) - მხოლოდ ერთხელაა დაფიქსირებული საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე 2 ინდივიდის სახით, თუმცა ინვაზიის მაღალი პოტენციალი გააჩნია.

### კოლხური ხოხობი *Phasianus colchicus*

ხოხობი (*P. colchicus*) ბუნებრივად გავრცელებულია აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში. მისი არეალი მოიცავს ტერიტორიას შავ ზღვასა და კასპიის ზღვებს შორის. ასევე ტერიტორიებს ციმბირამდე, კორეამდე, ჩინეთამდე და ტაივანამდე. სახეობა ბინადრობს ტყეებში, ბუჩქნარებში და დაჭაობებულ ტერიტორიებზე. ცხოვრებას ამჯობინებს წყალთან ახლოს, ბალახოვან ადგილებში, სადაც ხეებიც იზრდება. ხოხობი, როგორც პოპულარული სანადირო ობიექტი, ხელოვნურადაა შეყვანილი ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში, ასევე ამერიკის კონტინენტზეც. ეს არეალი ხოხბის ბუნებრივ გავრცელებას საგრძნობლად ცდება. ხოხბის (*P. colchicus*) 30 ქვესახეობა არსებობს, რომლებიც ბინადრობენ სახეობის სხვადასხვა არეალში (Giudice et al. 2022). მწვანე ხოხობი (*Phasianus versicolor*) არის კოლხური ხოხბის უახლოესი მონათესავე სახეობა. ზოგიერთი მკვლევრი მას კოლხური ხოხბის ქვესახეობადაც მიიჩნევს. მწვანე ხოხობი იაპონიის ენდემია. ის ადვილად ეჯვარება კოლხურ ხოხობს და წარმოქმნის გამრავლების უნარის მქონე ჰიბრიდს.

ნებისმიერი სხვა ქვესახეობის ხოხების შემოყვანა, გამრავლება და თვითნებური გაშვება ველურ ბუნებაში გადაშენების საფრთხეს შეუქმნის ადგილობრივი ქვესახეობის, კოლხური ხოხბის (*Phasianus colchicus colchicus*) პოპულაციას. საქართველოში, დღეისთვის, ეს სახეობა წარმოადგენს ყველაზე დიდ პრობლემას. მისი ბუნებაში გაშვების მრავლობითი შემთხვევაა დაფიქსირებული, თუმცა გავლენა ადგილობრივი ქვესახეობის პოპულაციაზე უცნობია და საჭიროებს კვლევას.

### შავი გედი (*Cygnus atratus*)

შავი გედი ბუნებრივად გავრცელებულია ავსტრალიასა და ტასმანიაში. ინტროდუცირებული და წარმატებით დაფუძნებულია ახალ ზელანდიაში. წარმატებითაა ინტროდუცირებული ევროპის კონტინენტზეც (Carboneras & Kirwan 2020). საქართველოში შემოყვანილია აფხაზეთში, კერძოდ, ახალ ათონში, გუდაუთაში და ბათუმში. ამ ეტაპზე, შავი გედის ინვაზიურობის პოტენციალი არ არის მაღალი.

### აფრიკული გრძელკუდა თუთიყუში *Psittacula krameri*

აფრიკული გრძელკუდა თუთიყუში ბუნებრივად გავრცელებულია დასავლეთ აფრიკაში და სამხრეთ აზიაში. საკმაოდ წარმატებულ ინვაზიურ სახეობად ითვლება ევროპის დიდ ნაწილში, სადაც მე-20 საუკუნიდან წარმატებით იფართოებს არეალს და კონკურენციაში შედის ხის ფულუროებში მობუდარ ტყის ფრინველებთან (Strubbe & Matthysen 2009, Collar et al. 2020). საქართველოში დაფიქსირებულია თბილისში, კერძოდ კრწანისის ტყე-პარკში, ასევე რუსთავის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე. ბოლო 10 წლის მანძილზე დაფიქსირებულია რამდენიმეჯერ. ჯერ-ჯერობით წარმატებული ბუდობა ცნობილი არ არის, თუმცა გააჩნია მაღალი ინვაზიური პოტენციალი. რეკომენდებულია დროული რეაგირება, სახეობის ინვაზიის თავიდან ასაცილებლად.

### იხვაზმულა *Aix galericulata*

გავრცელებულია აღმოსავლეთ რუსეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, კორეაში და იაპონიაში. ინტროდუცირებულია ბრიტანეთში, ცენტრალური ევროპის ქვეყნებში და ამერიკის კონტინენტზეც. ევროპაში ინტროდუცირებული პოპულაციის ბუდობის წარმატება საკმაოდ მაღალია (Bellebaum & Mädlow 2015, Carboneras & Kirwan 2020). საქართველოში იშვიათად გვხვდება ერთეულ პარკებში, როგორც ეგზოტიკური ფრინველი, ასევე კერძო კოლექციებში. საქართველოში, ბუნებაში წარმატებული ბუდობა არ არის დაფიქსირებული.

### წმინდა ივეოსი (საღვთო ივეოსი) *Threskiornis aethiopicus*

წმინდა ივეოსი ბუნებრივად გავრცელებულია აფრიკის კონტინენტზე, საპარას სამხრეთით. ზოოპარკიდან გაქცეული და წარმატებით დაფუძნებული პოპულაციები არსებობს საფრანგეთსა და იტალიაში. სახეობა სერიოზული პრობლემა აღმოჩნდა ადგილობრივი ორნითოფაუნისთვის საფრანგეთში, სადაც ყანჩებისა და თევზიყლაპიების ბარტყებზე დაიწყო

მტაცებლობა (Yésou & Clergeau 2005). სახეობამ გაიფართოვა არეალი და მიაღწია ესპანეთსა და პორტუგალიას. იტალიაში 1989 წელს დაიწყო ბუდობა და დღემდე დიდ პრობლემად რჩება, გამომდინარე მისი აგრესიული ბუნებიდან (Matheu et al. 2020). სახეობა საქართველოში დაფიქსირებულია ერთხელ, 2 ინდივიდის სახით. დაუდასტურებელია მათი წარმომავლობა, იყო ეს ველური ინვაზიური პოპულაციიდან თუ ტყვეობიდან გაქცეული. სახეობა საჭიროებს დამატებით ყურადღებას, მისი ინვაზიის თავიდან ასარიდებლად.

**ინვაზიური სახეობის ფრინველების შეხვედრის ადგილები საქართველოში.**

- ✓ ევროპული ხოხობი *Phasianus colchicus*: ყველგან, სადაც კოლხური ხოხბის არეალია-აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო, თბილისი (რეინტროდუცირებული).
- ✓ შავი გედი *Cygnus atratus* - ახალი ათონი, გუდაუთა, ბათუმი.
- ✓ აფრიკული გრძელკუდა თუთიყუში *Psittacula krameri* -თბილისი, რუსთავი
- ✓ იხვაზმულა *Aix galericulata* - ბათუმი
- ✓ წმინდა ივეოსი (საღვთო ივეოსი) *Threskiornis aethiopicus*- ფოთი

**პოტენციური ინვაზიური სახეობის ფრინველები (ევროკავშირის ნუსხის მიხედვით)**

#### **ჩვეულებრივი მაინა *Acridotheres tristis***

ჩვეულებრივი მაინა ბუნებრივად გავრცელებულია ცენტრალური აზიის დიდ ნაწილში, თურქენეთიდან ინდოეთის სუბკონტინენტამდე, მიანმარში, ჩინეთში, სამხრეთ სინგაპურში. მწერების კონტროლის მიზნით, 1865 წელსაა ინტროდუცირებული ჰავაის კუნძულებზე, ურბანულ გარემოში. სახეობა წარმატებით დაფუძნდა კუნძულებზე და დამოუკიდებლად გაიფართოვა არეალი, მიაღწია კუნძულების ისეთ ტერიტორიებს, სადაც ადგილობრივი სახეობები ბინადრობდნენ, რის შემდეგაც დაიწყო ადგილობრივი სახეობების პოპულაციის კლება. დღესდღეობით, სახეობა ინვაზიურია შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, აფრიკაში, მადაგასკარში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში. დაფიქსირებულია ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. შუა აღმოსავლეთიდან, წარმატებით გაიფართოვა არეალი თურქეთში და

დაფიქსირებულია აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოს საზღვართან ახლოს (Kannan & James 2020). პოტენციურად ინვაზიურია.

### ეგვიპტური მეხეური ბატი *Alopochen aegyptiaca*

ეგვიპტური მეხეური ბატის ბუნებრივი არეალი მოიცავს აფრიკის კონტინენტს. სახეობა ხელოვნურადაა შეყვანილი ან ტყვეობიდან გაქცეული. ინდივიდები წარმატებით არიან დაფუძნებული ჩრდილოეთ ევროპაში, დიდი რაოდენობით. გვხვდება სამხრეთ ევროპაში და თურქეთშიც. ინტროდუცირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ეგვიპტური მეხეური ბატი გამოირჩევა აგრესიული ბუნებით სხვა წყალმცურავი ფრინველების მიმართ, განსაკუთრებით ბუდობის პერიოდში, წარმატებით აძვებს მათ დაკავებული ტერიტორიიდან და მიიჩნევა სახიფათო ინვაზიურ სახეობად (Gyimesi & Lensink 2010). ასევე, კონკურენციაში შედის სხვა სახეობის ფრინველებთანაც საკვები რესურსისა და საბუდარი ტერიტორიების გამო (Callaghan et al. 2020). პოტენციურად ინვაზიურია.

### ინდური ყვავი *Corvus splendens*

ინდური ყვავი გავრცელებულია ინდოეთის სუბკონტინენტზე და მომიჯნავე ქვეყნებში. დაზუსტებით უცნობია, როგორ მოხვდა ცალკეულ ქვეყანაში, სადაც ის ინვაზიური გახდა. ვარაუდობენ, რომ გემების დახმარებით უნდა მიეღწია შუა აღმოსავლეთში, სადაც წარმატებით დაფუძნდა. გამოირჩევა რთული სოციალური და კვებითი ქცევით. ძალიან ფრთხილია ადამიანებთან. წარმატებით შეუძლია გადარჩეს ნაგავსაყრელების დახმარებით, მაგრამ გამოირჩევა მტაცებელი ბუნებით და იკვებება მცირე ზომის უხერხემლო და ხერხემლიანი ცხოველებით (Madge 2020). ინვაზიის პოტენცია მცირეა.

### მოწითალო იამაიკური იხვი *Oxyura jamaicensis*

მოწითალო იამაიკური იხვი გავრცელებულია ამერიკის კონტინენტზე. პირველად ევროპაში 1950 წელს დაფუძნდა, სავარაუდოდ ტყვეობიდან გაქცეული ინდივიდების სახით, რაც წარმატებით მოახერხა და გაიფართოვა არეალი ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ერთ-ერთი მთავარი საფრთხე, რომელსაც ორნითოლოგები ასახელებენ იყო ჰიბრიდიზაცია თეთრთავა იხვთან (*Oxyura leucocephala*), რის გამოც სახეობის ბუნებიდან ამოღება აქტიურად დაიწყეს, ინვაზიის პრობლემის მოსაგვარებლად (Brua 2020). ინვაზიის პოტენცია მცირეა.

### ქოჩორა ბულბული (მჭრინავი) *Pycnonotus cafer*

სახეობის ბუნებრივი არეალი მოიცავდა ინდოეთის სუბკონტინენტს - პაკისტანი, ინდოეთი, შრი-ლანკა, ნეპალი, ბუტანი, ბანგლადეში, მიანმარი და სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთი. ინტროდუცირებულია ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, დოკუმენტირებულია ახალ ზელანდიაში, ქუვეითში, კატარში, ომანში და არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში. ასევე, ჰავაის კუნძულებზე. მარტივად ადაპტირდება ურბანულ გარემოში, სადაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ბოსტნეულისა და ხილის ბაღებს (Islam & Williams 2020). ინვაზიის პოტენცია მცირეა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი პრობლემები, რომელსაც ვაწყდებით ფრინველების უცხო ინვაზიურ სახეობებთან მიმართებაში არის:

- ✓ გაუმართავი კანომდებლობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ეგზოტიკური სახეობებით ვაჭრობის, იმპორტის და ქვეყანაში გაშვების შეზღუდვას
- ✓ თანამედროვე კვლევების სიმცირე ინვაზიური სახეობების/ქვესახეობების გავრცელების სიჩქარეზე, დაფუძნებასა და სხვა სახეობებზე/ქვესახეობებზე
- ✓ უცხო ინვაზიური სახეობების და ქვესახეობების მონიტორინგის პროგრამების არარსებობა
- ✓ პოტენციური ინვაზიის ადგილების მონიტორინგის ვალდებულების აუცილებლობა, საიდანაც შეიძლება მოხდეს უცხო სახეობების ფრინველების ინვაზია (მაგალითად, კერძო ავიარიუმების)
- ✓ ინვაზიური სახეობების ბუნებიდან ამოღების და კონტროლის კოორდინირებული პროგრამის საჭიროება

#### ▪ ძუძუმწოვრები

ნათია კოპალიანი ნათია, ზურაბ გურიელიძე

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიერ შედგენილ ნუსხაში „მსოფლიოს 100 ყველაზე მაღალი ინვაზიურობით გამორჩეული სახეობა“ (Love et al., 2004) შეტანილია 10 სახეობის ძუძუმწოვარი

*ცხრ. 4. მსოფლიოს 10 ყველაზე მაღალი ინვაზიურობით გამორჩეული ძუძუმწოვარი*

კუდჯაგრისა ( <i>Trichosurus vulpecula</i> )	არ არის საქართველოში, არც პოტენციურად ინვაზიური სახეობაა საქართველოსთვის
შინაური კატა ( <i>Felis catus</i> )	ზოგიერთ ეკოსისტემაში შინაური კატა შეიძლება ჩაითვალოს ინვაზიურ სახეობად, რადგან: 1. უწყვილდება ველურ კატას და ქმნის სიცოცხლისუნარიან ჰიბრიდებს; 2. ანადგურებს ფრინველების უამრავ სახეობას გამოვლილია, რომ შინაური კატა კლავს 4-10ჯერ მეტ ველურ სახეობას ჰექტარზე, ვიდრე ბუნებრივი მტაცებელი (Trouwborst et al., 2020)
შინაური თხა ( <i>Capra hircus</i> )	კარგად მრავლდება ველურ ბუნებაში და აყალიბებს გაველურებულ პოპულაციებს, რომლებიც დიდი ოდენობით ანადგურებენ მცენარეებს, რაც ხშირად უარყოფითად აისახება ბუნებრივ ეკოსისტემებზე, რადგან ვერ ესწრება მცენარეთა სახეობების აღდგენა კონკურენციაში შედიან ველურ ჩლიქოსნებთან დიდი ჯოგები იწვევენ ჰაბიტატის დეგრადაციას გადააქვთ დაავადებები ველურ ჩლიქოსნებზე იქ, სადაც <i>Capra</i> -ს გვარის ახლომონათესავე სახეობებია გავრცელებული, მოსალოდნელია ჰიბრიდიზაცია და ველური პოპულაციების „გენეტიკური დაბინძურება“ (Cowan et al., 2020)
ნაცრისფერი ციყვი ( <i>Sciurus carolinensis</i> )	არ არის საქართველოში, არ არის მოსალოდნელი მისი ინვაზია უახლოეს მომავალში

მაკაკა ( <i>Macaca fascicularis</i> )	არ არის საქართველოში, არ არის მოსალოდნელი მისი ინვაზია უახლოეს მომავალში
სახლის თაგვი ( <i>Mus musculus</i> )	ყველაზე წარმატებული მცირე ზომის ინვაზიური ძუძუმწოვარი. იწვევს მოწყვლადი ეკოსისტემების ნგრევას, რადგან კონკურენციაში შედის ადგილობრივ სახეობებთან, გადააქვს მრავალი დაავადება, იჭრება სურსათის საცავებში და აბინძურებს სურსათს. აქვს რეპროდუქციის მაღალი სიჩქარე (Agwamba et al., 2023)
<i>nutria</i> ( <i>Myocastor coypus</i> )	ინვაზიური სახეობა საქართველოსთვის (იხ. ქვემოთ)
შინაური ღორი ( <i>Sus scrofa</i> )	გაველურებულ შინაურ ღორს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ეკოსისტემას, განსაკუთრებით მოწყვლად ეკოსისტემებს, რადგან თხრის და გლიჯავს ფესვებს. ღორები ომნივორები არიან და ხშირად ანადგურებენ მიწაზე მობუდარ ფრინველების კვერცხებს. გაველურებული ღორები, სწრაფი გამრავლების ტემპის გამო, უცბად აარსებენ დიდ პოპულაციას ახალ გარემოში. კონკურენციას უწევენ გარეულ ჩლიქოსნებს და ავრცელებენ მათზე სხვადასხვა დაავადებებს, რითაც აზიანებენ გარეულ პოპულაციებს. იმ ტერიტორიებზე, სადაც გარეული ღორებია გავრცელებული, ქმნიან ჰიბრიდებს (Barrios-García & Ballari, 2012).
ევროპული ბოცვერი ( <i>Oryctolagus cuniculus</i> )	არ გვხვდება საქართველოში, როგორც ინვაზიური სახეობა
კეთილშობილი ირემი ( <i>Cervus elaphus</i> )	ბუნებრივად არის გავრცელებული საქართველოში, არ არის ქვეყნისთვის უცხო, ინვაზიური სახეობა

მელა ( <i>Vulpes vulpes</i> )	ბუნებრივად არის გავრცელებული საქართველოში, არ არის ქვეყნისთვის ინვაზიური სახეობა
შავი ვირთაგვა ( <i>Rattus rattus</i> )	არ გვხვდება საქართველოში
მცირე ინდური მანგუსტი ( <i>Herpestes javanicus</i> )	არ არის საქართველოში
ყარყუმი ( <i>Mustela erminea</i> )	ბუნებრივად ბინადრობს საქართველოში, არ არის ქვეყნისთვის ინვაზიური სახეობა

ლიტერატურის მიხედვით საქართველოში ინვაზიური ძუძუმწოვრები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარიდან შემოჰყავდათ (იგულისხმება ჩანაწერების არსებობა) (Kokhodze, 1991).

1950 წლებში აზერბეიჯანში ერთჯერადად შეიყვანეს ენოტი (*Procyon lotor*) და ენოტისებრი ძაღლი (*Nyctereutes procyonoides*), აქედან ისინი საქართველოში მოხვდნენ. გასული საუკუნის შუა პერიოდიდან რამოდენიმეჯერ შემოიყვანეს ნუტრია (*Myocastor coypus*). აღნიშნული ცხოველები შემოჰყავდათ ბეწვის მიღების მიზნით, თუმცა მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელი ვერ მიიღეს და ცხოველები გაუშვეს ან თავად გაიქცნენ მიტოვებული ფერმებიდან (Kokhodze, 1991).

2000-იანი წლების დასაწყისში ენოტისებრი ძაღლი გვხვდებოდა მდინარეებთან იორთან და მტკვართან (Macharashvili et al., 2003), დღეისათვის ეს ცხოველი დიდი ალბათობით აღარ არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე.

21 საუკუნის დასაწყისში ენოტი მირითადად მდინარე ალაზნის ჭალებში ბინადრობდა (Macharashvili et al., 2003). დღეისათვის ეს სახეობა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილშიც გვხვდება, ენოტის პოპულაციამ თბილისამდე მიაღწია და მის გარშემოც გვხვდება (KalandariSvili & Heltai, 2019).

ენოტი, რომელიც ბუნებრივად ბინადრობდა ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში, ადამიანის მიერ ბეწვის გამო შეყვანილი იყო ევროპასა და აზიაში. ის დღესაც იფართოვებს არეალს და ახალ ჰაბიტატებს ითვისებს (Farashi et al., 2016; Lasnig et al., 2020).

რა უარყოფით ზეგავლენა შეიძლება ქონდეს ენოტის ინვაზიას?

ადგილობრივ სახეობებზე მტაცებლობა: ენოტები ოპორტუნისტი ომნივორები<sup>4</sup> არიან. იკვებებიან მცირე ზომის ძუძუმწოვრებით, ფრინველებით, მათი კვერცხებით, ქვეწარმავლებით, ამფიბიებით, ხილით, სიმინდით, უხერხემლოების ფართო სპექტრით. მათი საკვები შეიძლება გახდეს საფრთხეში მყოფი ადგილობრივი სახეობები და ამით ენოტებმა ხელი შეუწყონ ამ სახეობების კლებას. ევროპაში ძირითად საფრთხეს უქმნიან მიწაზე მობუდარ ფრინველებს და ამფიბიებს.

კონკურენცია ადგილობრივ სახეობებთან: ენოტმა შეიძლება სერიოზული კონკურენცია გაუწიოს მისი ზომის ადგილობრივ სახეობებს საკვებსა და ჰაბიტატებზე, და ადგილობრივი სახეობა ჩანაცვლონ კიდევ. საქართველოში ენოტი პოტენციურად მაჩვის (*Meles meles*) და ქვის კვერნის (*Martes foina*) კონკურენტი შეიძლება იყოს. თუმცა არ არის ცნობილი, რამდენად გადაფარულია მათი საკვები ნიშები. მაგალითად, ბელგიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ იქ ენოტის, მაჩვის და ქვის კვერნის საკვები ბაზა მცირედად გადაიფარება, შესაბამისად მათი კონკურენციის ხარისხი მაღალი არ არის (Libois et al. 2019)

რღვევა ეკოსისტემაში: ეკოსისტემაში მოხვედრის შემდეგ ენოტები ცვლიან იქ ჩამოყალიბებულ მტაცებელი-მსხვერპლის დინამიკას, შედეგად ირღვევა წონასწორობა და ზიანდებიან ის სახეობებიც, რომელზეც ენოტი პირდაპირ არ მოქმედებს.

ეკონომიკური ზარალი: ენოტები აჩანაგებენ სიმინდის ყანებს, ბახჩებს. ზოგჯერ მტაცებლობენ წიწილებზე და კვერცხებზე. ხშირად ენოტები თავშესაფარს ადამიანის საცხოვრებელში ემებენ, მაგალითად, ზამთარში დაცარიელებულ აგარაკებში, შედიან სარდაფებში, საკუჭნაოებში,

<sup>4</sup> იკვებებიან როგორც მცენარეული, ისე ცხოველური საკვებით, იმის და მიხედვით, თუ რა საკვებია ხელმისაწვდომი

აზიანებენ თერმოიზოლაციას, ღრღნიან მავთულებს, რაც იწვევს მოსახლეობასთან კონფლიქტს.

**ზიანი საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის:** ენოტი, ისევე როგორც ნებისმიერი ველური სახეობა, სხვადასხვა დაავადებების მატარებელია. თავიანთ ბუნებრივ არეალში ისინი ცოფის რეზერვუარებს წარმოადგენენ, არიან მაღლის ჭირის ვირუსის და სახიფათო ნემატოდის (*Baylisascaris procyonis*) მატარებლები. ეს დაავადებები მათგან შეიძლება გავრცელდეს ადგილობრივ სახეობებზე, საფრთხე შეუქმნან ადამიანების ჯანმრთელობას (Norbert et al., 2023).

მიუხედავად პრობლემების ჩამონათვალისა, თანამედროვე გარემოს დამცველები ცდილობენ შერბილების ისეთი გზები შეიმუშაონ, რომ თავიდან აიცილონ ცხოველების სრული განადგურება (მაგალითად, გადაყვანა ზოოლოგიურ პარკებში, სტერილიზაცია და სხვ.) (Dowd, 2024). ენოტს აქვს მაღალგანვითარებული კოგნიტური უნარები (სწრაფი დასწავლა და მოქნილობა ცვალებად გარემოსთან შეგუების პროცესში)(Stanton et al., 2022), ამიტომ მისი კონტროლი რთულია და უკიდურესი საჭიროების გარეშე განადგურება მიუღებელია (არაჰემანურია).

აღნიშნული სახეობა საყურადღებო შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოსთვის, თუმცა სად არის ადამიანთან კონფლიქტის ცხელი წერტილები, როგორია ენოტის პოპულაციის დღევანდელი მდგომარეობა და რა ზიანი მოაქვს მას კონკრეტული ეკოსისტემებისთვის- ამის შესახებ ინფორმაცია არ არის. აღნიშნული ცოდნა საჭიროა სახეობის კონტროლის მეთოდების შემუშავებისთვის.

1930-1932 წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არგენტინიდან შემოიყვანეს 2656 სამხრეთამერიკული ნუტრია (*Myocastor coypus*) ბეწვის მისაღებად. ცხოველებს პერიოდულად ამატებდნენ. ბოლოს 1980 ცხოველი ინგლისის და გერმანიის ფერმებიდან მოხვდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთ ტერიტორიებზე. საქართველოში ნუტრიის აკლიმატიზაცია, როგორც მაშინ ამას უწოდებდნენ, წარმატებულად ჩაითვალა (Sokolov, 1977).

დღეისათვის ნუტრია დასავლეთ საქართველოში გვხვდება. თანამედროვე მოდელირება აჩვენებს, რომ მთელი ევროპის ზომიერი ნაწილი (ატლანტიკური, კონტინენტური და პანონური ბიოგეოგრაფიული რეგიონები), ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპირო ნუტრიისთვის ხელსაყრელი ტერიტორიებია. კლიმატის ცვლილების შედეგად, შეიძლება არეალის გაფართოვება ოდნავ ჩრდილოეთითაც მოხდეს (Schertler et al. 2020). აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში ნუტრიამ საქართველოშიც შეიძლება გაიფართოვოს არეალი.

რა უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ნუტრიამ მისთვის არაბუნებრივ ჰაბიტატებზე?

ეკოსისტემის დაზიანება: ნუტრია ძირითადად იკვებება ჭაობის მცენარეულობით. თუ იგი მოხვდა ახალ ეკოსისტემაში, შეიძლება დაარღვიოს წონასწორობა ჭარბტენიან მცენარეთა თანასაზოგადოებებში და მათი დეგრადაციაც კი გამოიწვიოს.

ნუტრია ბევრს თხრის მდინარეების ნაპირებზე, ქმნის სოროთა სისტემებს. თუ ინვაზიური ნუტრია მრავალრიცხოვანია, სოროების მშენებლობის შედეგად მოსალოდნელია მდინარის ნაპირების ეროზია. მცენარეულობის განადგურების და ნიადაგის დესტაბილიზაციის შედეგად ხდება წყალში სედიმენტების დალექვა, რაც აუარესებს წყლის ხარისხს. აღნიშნული კი მოქმედებს გამჭვირვალე წყლის მოყვარულ სახეობებზე.

ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაზიანების გამო ნუტრიამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფრინველების, ამფიბიების და თევზების ადგილობრივ სახეობებს.

ეკონომიკური ზარალი : ნუტრია აზიანებს სიმინდის ყანებს, სხვა კულტურებს, მწყობრიდან გამოჰყავს საირიგაციო სისტემები.

საფრთხე მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის: ნუტრია რამოდენიმე ისეთი დაავადებების მატარებელია, რომელიც შეიძლება გადაედოს ადამიანებს, შინაურ ცხოველებს და საქონელს. მაგალითად, ლეპტოსპიროზი, ბაქტერიული ინფექცია, რომელიც იწვევს მძიმე დაავადებას.

არ არის შესწავლილი ნუტრიის პოპულაციის მდგომარეობა საქართველოში, არ არსებობს თანამედროვე მონაცემები რიცხოვნობაზე, სხვა სახეობებზე და ჰაბიტატზე გავლენის შესახებ, ინვაზიის სიჩქარეზე, დისპერსიის პოტენციალზე.

კიდევ ერთი ინვაზიური ძუძუმწოვარი საქართველოსთვის, ონდატრა (*Ondatra zibethicus*), ნახევრად წყლის მღრღნელი, რომელიც ბუნებრივად ბინადრობს ჩრდილოეთ ამერიკაში, დღეისათვის გვხვდება ჯავახეთის პლატოზე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 1928-1970 წლების ჩათვლით გაშვებული იყო 300000 ინდივიდი.

პოტენციური პრობლემები, რომლებიც შეიძლება შექმნას ონდატრას ინვაზიამ:

ეკოლოგიური ზიანი: ონდატრა იკვებება ნაირგვარი წყლის მცენარეებით, იგი ბევრ საკვებს მოიხმარს წონის ერთეულზე. პოპულაციის მაღალი სიმჭიდროვის შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს ჭარბტენიანი ეკოსისტემების დეგრადაცია, ისეთი სახეობების შევიწროვება რომელთაც სჭირდებათ წყლის მცენარეები თავის შეფარებისა და კვებისთვის (Skyriené & Paulauskas, 2012).

წყლის მცენარეების დიდი ოდენობით განადგურება იწვევს წყლის ხარისხის გაუარესებას, ჟანგბადის კონცენტრაციის შემცირებას. განსაკუთრებით დიდი ზიანი შეიძლება მიადგეს ისეთ მოწყვლად ეკოსისტემებს, როგორიც არიან ჭაობები.

ინვაზიური ონდატრა კონკურენციას უწევს წყლის ფრინველებს, ამფიბიებს, საკვებსა და ჰაბიტატზე. შედეგად შესაძლებელია შეამციროს სახეობების რაოდენობა.

ეკონომიკური ზარალი: ონდატრებს შეუძლიათ გააჩანაგონ ნათესები წყლის მახლობლად, დააზიანონ საირიგაციო სისტემა.

ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენა: ონდატრები არიან ტულარემიას და ლეპტოსპიროზის მატარებლები, რომელიც დაბინძურებული წყლიდან შესაძლებელია ადამიანზეც გადავიდეს.

ტელეუტური ციყვი (*Sciurus vulgaris*) 1937 წელს შეიყვანეს კავკასიონის მთავარ ქედზე განლაგებულ ტებერდის სახელმწიფო ნაკრძალში, აქედან გავრცელდა კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე (Sokolov, 1977), სახეობა შეიყვანეს აგრეთვე ბორჯომის ნაკრძალშიც. დღეს იგი თითქმის მთელ საქართველოში გვხვდება. მისი ძირითადი ჰაბიტატი არის წიწვოვანი ტყეები,

თუმცა ფართოდ გავრცელდა ფოთლოვან და შერეულ ტყეებშიც. სავრაუდოა მისი კონკურენცია ადგილობრივ სახეობასთან კავკასიურ/სპარსულ ციყვთან (*Sciurus anomalus*).

ტელეუტური ციყვი ანადგურებს ფრინველების ბუდეებს, ჭამს კვერცხებს. ისეთ ადგილებში, სადაც იგი ინვაზიურია, მისი მტაცებლობის წნევი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფრინველების ადგილობრივ პოპულაციებზე, განსაკუთრებით მცირე ზომის სახეობებზე.

ტელეუტური ციყვი, განსაკუთრებით მაღალი სიმჭიდროვის დროს, აზიანებს ხეებს. იგი აცლის ხეებს ქერქს, სვამს წვენს. ქერქგაცლილი ხეები უფრო მოწყვლადია სხვადასხვა დაავადებების მიმართ. ზოგ შემთხვევებში აჩანაგებს ხეხილის და თხილის ბაღებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დაიგეგმოს ადეკვატური ქმედებები ძუძუმწოვრების უცხო ინვაზიური სახეობების კონტროლისთვის, აუცილებელია:

1. საქართველოში ძუძუმწოვრების უცხო ინვაზიური სახეობების თანამედროვე გავრცელების ცოდნა

2. პოპულაციების სიმჭიდროვის შეფასება

3. გავრცელების სიჩქარის განსაზღვრა

4. მოსახლეობასთან კონფლიქტის შეფასება

5. მონიტორინგის და კონტროლის პროგრამების შემუშავება

6. პრევენციული ქმედებების განსაზღვრა

- **შავი ზღვის უცხო ინვაზიური სახეობები**

**ზურაბ გურიელიძე**

შავი ზღვა ყველაზე იზოლირებული, მარგინალური ზღვაა<sup>5</sup>, რომელიც დაკავშირებულია ხმელთაშუა ზღვასთან ვიწრო ბოსფორის და დარდანელის სრუტით, ე.წ. თურქეთის

<sup>5</sup> ზღვა, რომელიც ნაწილობრივ შემოსაზღვრულია ხმელეთით, დაშორებულია ოკეანეს და უერთდება მას სრუტიებით და არ არის იმდენად ღრმა, როგორც ოკეანე

სრუტეებით. შავი ზღვის მოცულობის 87 პროცენტი ანოქსიურია და ის წარმოადგენს ყველაზე დიდ ანოქსიურ რეზერვუარს (Ozturk, 2021). ასეთი პირობების შედეგად შავი ზღვის ეკოსისტემა უნიკალურია და ამავე დროს მოწყვლადი. ერთ ერთი მნიშვნელოვანი საფრთხე შავი ზღვისათვის არის უცხო სახეობების ინვაზია.

ზოგიერთი ავტორის მიერ უცხო სახეობების ინვაზიის გზები დაყოფილია შემდეგ ვექტორებად (Ozturk 2021):

1. ნაოსნობა
2. მიზანმიმართული და შემთხვევითი შემოყვანა
3. ხმელთაშუა ზღვის სახეობების შემოჭრა (მედიტერანიზაცია).

უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევითი შემოყვანის ვექტორი ხშირად ემთხვევა ნაოსნობის ვექტორს, ამიტომ მიზანშეწონილია ნაოსნობისა და შემთხვევითი შემოყვანის ვექტორების ერთად დაჯგუფება.

### **1. ნაოსნობა და შემთხვევითი შემოყვანა**

შავ ზღვაში ნაოსნობა საკმაოდ ინტენსიურია (იხ. marinetrafffic.com). მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან შემოსული გემები წარმოადგენენ უცხო სახეობების ინვაზიის მნიშვნელოვან ვექტორს, ორგანიზმები სახლდებიან გემების კორპუსებზე ან შემოდიან ბალასტური წყლების მეშვეობით. ბალასტური წყლები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით: მაგ. დებულება საქართველოში ბალასტური წყლების მართვის პროცედურების შესახებ. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის დადგენილება №105 – ვებგვერდი, 12.03.2015წ).

შემოსული გემები ვალდებულნი არიან იქონიონ შესაბამისი აღჭურვილობა, რომლის სამუალებით ხდება ბალასტური წყლების გაუვნებელყოფა, მათ შორის უცხო სახეობებისაგან. 2024 წლიდან ხომალდებს D2 სტანდარტის შესაბამისი გამწმენდი სისტემა უნდა ქონდეს, რომლის საშუალებით საერტაშორისო ნაოსნობის გემების ბალასტის წყლებში უნდა მოხდეს უცხო ინვაზიური სახეობების და პათოგენების ნეიტრალიზება მათი ახალ ადგილას წყალში ჩაღვრამდე. ზოგადად ასეთი სისტემის სახელწოდებაა ბალასტის წყლების გამწმენდი სისტემა

(Ballast Water Management Treatment System), რომელიც შეიქმნა არააქტიური ბიოლოგიური ორგანიზმების მოსაშორებლად (ზოოპლანქტონი, წყალმცენარეები, ბაქტერიები).

არსებობს კიდევ D-1 სტანდარტი, რომლის მიხედვით გემმა უნდა ჩაღვაროს 95 % ბალასტის წყლების ნაპირიდან დიდი დაშორებით.

ორივე სტანდარტი ბალასტის წყლის მენეჯმენტის კონვენციის მიხედვითაა განსაზღვრული. (საერთაშორისო კონვენცია გემების ბალასტის წყლისა და ნალექების კონტროლისა და მენეჯმენტის შესახებ). საქართველო კონვენციას მიუერთდა 2012 წელს, მის თანახმად მან უნდა დააკმაყოფილობს, სულ ცოტა, D1 სტანდარტი, ხოლო ახლო მომავალში D-2 სტანდარტიც.

ნაოსნობის საშუალებით შემოჭრის მეორე გზა არის გემების კორპუსზე (ფსკერზე, ბორტების წყალქვეშა ნაწილებზე) მიმაგრებული ორგანიზმების შემოყვანა. ასეთებია ულვაშფეხიანი კიბოსნაირები (*Cirripedia*) და სხვა მჯდომარე ორგანიზმები. მათ მოჰყვებიან ისეთი არამჯდომარე სახეობები, როგორიცაა გვერდულები (*Amphipoda*), კრევეტები, კიბორჩხალები და თევზებიც კი, რომლებიც გემის მოძრაობის დროს იმალებიან ულვაშფეხიანი კიბოსნაირების კოლონიებში და სხვა თავშესაფარ ადგილებში, რომ დინებამ არ წაიღოს (Ozturk, 2021).

ერთ-ერთი ყველაზე ძველი ინვაზიური სახეობა, რომელიც შავ ზღვაშია გავრცელებული, არის რაპანა (*Rapana venosa*). მისი შემოჭრის ვექტორი უცნობია, იგი სავარაუდოდ შემოყვა ბალსტურ წყლებს. რაპანას ბუნებრივი არეალი წყნარი ოკეანის დასავლეთ სანაპირო, ყვითელი ზღვა და იაპონიის ზღვაა. შავ ზღვაში პირველად დაფიქსირებული იყო ნოვოროსიისკის ყურეში, პირველივე დეკადაში გავრცელდა ყირიმისა და კავკასიის სანაპიროებზე, მათ შორის საქართველოს სანაპირო წყლებში, 1959-1972 წლებში გამოჩნდა შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, რუმინეთის, ბულგარეთის და თურქეთის სანაპიროებთან (Mann at all 2004). მას აქვს გამრავლების მაღალი სისწრაფე, არ ჰყავს მტაცებელი და მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს ადგილობრივ ორსაგდულიან მოსლუკებზე (Erdogan at all. 2010), რომლებიც წყლის მფილტრაციები არიან.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი უცხო ინვაზიური სახეობა არის სავარცხლურა (*Mnemiopsis leidyi*), შავ ზღვაში იგი 1982 წელს გამოჩნდა. მისი შემოსვლის სავარაუდო ვექტორი ასევე ბალასტური წყლებია. სავარცხლურა იკვებება ზოოპლანქტონით და პელაგიური მცირე თევზების ქვირითისა და ლარვებით. შეუძლია შეჭამოს მის წონაზე 10ჯერ მეტი. ის

ჰერმაფორდიტი სახეობაა, სხვა ინდივიდების არარსებობისას თვითგანაყოფიერება, ამიტომ აქვს სწრაფად გამრავლების უბნარი. 1989 წელს სავარცხლურას მასამ მიაღწია  $1\text{კგ}/\text{მ}^2$ -ზე მიაღწია. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს შავ ზღვაში ზოოპლანქტონის სწრაფი შემცირების ძირითადი მიზეზი სავარცხლურას მზარდი პოპულაცია იყო. ამან, თავის მხრივ, ქაფშის რიცხოვნობის მკვეთრი დაცემა გამოიწვია: 152600 ტონიდან 85000 ტონამდე 1988-1991 წლებში (Erdogan at all. 2010).

## 2. მიზანმიმართული შემოყვანა

ადამიანის მიერ უცხო სახეობების მიზანმიმართული შემოყვანა შეიძლება დავყოთ ორ ძირითად გზად: პირდაპირ ზღვის ეკოსისტემაში გაშვება და აკვაკულტურებიდან გაპარვა (ზღვაში არსებული ფერმებში არაადგილობრივი სახობების გამრავლება და მათი ზღვის ეკოსისტემაში შემთხვევით მოხვედრა). საქართველოში იყო აკვაკულტურების განვითარების არაერთი მცდელობა (თევზები, ორსაგდულიანი მოლუსკები). თუმცა ყველა ცდა წარუმატებლად დამთავრდა, ფერმები განადგურდა შტორმების დროს. გაურკვეველია, რა ბედი ეწიათ იქ არსებულ სახეობებს და მოხდა თუ არა მათი დაფუძნება.

2024 წლის გაზაფხულზე თურქეთის აკვატორიაში მდებარე ფერმების ნაწილი დაინგრა შტორმის დროს. იქ არსებული თევზი მოხვდა საქართველოს წყლებშიც.

ზოგი უცხო სახეობა პირდაპირ შეყვანილია ზღვაში. ასეთია პელენგასი, (*Mugil soyu*, სინონიმებია *Liza haematocheila*, *Planiliza haematocheilus*). იგი 1972-1982 ამურის ესტუარიიდან და იაპონიის ზღვიდან აზოვისა და შავ ზღვაში იქნა შემოყვანილი. 80 წლების მეორე ნახევარში პელენგასი გახდა მნიშვნელოვანი კომერციული სახეობა (Ivanova 2021), წარმოადგენს მნიშვნელოვან კვებით კონკურენტს კომერციული ადგილობრივი სახეობებისათვის კეფალისა (*Mugil cephalus*), და ოქროსფერი კეფალისტის (*Mugil auratus*). მაგ. თურქეთში 2000-2008 წლებში ამ სახეობების ჭერა 14189 ტონიდან 1518 ტონამდე დაეცა (Eyuboglu 2021) და ამჟამად წარმოადგენს არაკომერციულ სახეობებს შავი ზღვის დიდი ნაწილისათვის (Erdogan at all. 2010).

## 3. ხმელთაშუაზღვის სახობების შემოჭრა (მედიტერანიზაცია)

შავი ზღვის სახეობრივი მრავალფეროვნება გაცილებით უფრო დარიბია, ვიდრე ხმელთაშუა ზღვის, დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს. აღნიშნული მიუთითებს, რომ ხმელთაშუა ზღვიდან სახეობების გადასვლა შავ ზღვაში საკმაო პრობლემატურია. ამის მიზეზია ფიზიკური გრადიენტების განსხვავება (მარილიანობის, ტემპერატურის სხვაობის გამო წყლის სტრატიფიკაცია) თურქეთის სრუტეების სისტემაში, რომელიც ართულებს პელაგიური პლანქტონის, ბენთოსის და თევზების ლარვების გადაადგილებას. (Oguz & Ozturk 2011) შავი ზღვას ახასიათებს დაბალი ტემპერატურა და დაბალი მარილიანობა ხმელთაშუა ზღვასთან შედარებით. ეს ქმნის ბარიერს მრავალი სახეობისთვის. კლიმატის ცვლილების შედეგად შავ ზღვაში შეინიშნება ტემპერატურის მატება. 1970-2023 წლებში შავი ზღვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა  $15.3^{\circ}\text{C}$ , ხოლო 2023 წელს კი-  $16.8^{\circ}\text{C}$  (Oguz & Ozturk 2011). როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, შავ ზღვაში ტემპერატურა მაღლა იწევს და მცირდება განსხვავება ხმელთაშუა ზღვასთან. ტემპერატურა წარმოადგენს ერთ ერთ მნიშვნელოვან ბარიერს, განსხვავების შემცირება შეამცირებს ბარიერის გაუღწევადობას და ხმელთაშუა ზღვის სახეობები გაიფართოვებენ არეალს შავ ზღვაში.

**ცხრილი #5. შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის საშუალო ტემპერატურების ცხრილი (Oguz & Ozturk 2011) მიხედვით.**

ზღვა	1970-2023 საშუალო ტემპერატურა ( $^{\circ}\text{C}$ )	2023 საშუალო ტემპერატურა ( $^{\circ}\text{C}$ )
შავი ზღვა	15.3	16.8
მარმარილოს ზღვა	15.7	17.6
ეგეოსის ზღვა	18.7	20.5
ხმელთაშუა ზღვა	21.5	22.6

შავი ზღვის ეკოსისტემა ჩამოყალიბებულია ათასობით წლის განმავლობაში და უცხო სახეობების მიერ პონტური<sup>6</sup> სახეობების ჩანაცვლებამ შეიძლება მძიმე შედეგები გამოიწვიოს

<sup>6</sup> პონტო, იგივე შავი ზღვა

როგორც ეკოლოგიური ისე ეკონომიკური მხრივ. შავ ზღვაში შემოჭრილი უცხო ინვაზიური სახეობების ნუსხა მოცემულია ცხრილ #6.

ცხრილი #6. შავი ზღვის უცხო ინვაზიური სახეობების ნუსხა ( შავი ზღვის კომისიის პუბლიკაციების მიხედვით)

<b>№</b>	<b>ფიტოპლანქტონი</b>	<b>პირველი დაფიქსირების წელი</b>	<b>პირველი დაფიქსირების ადგილი</b>	<b>ბუნებრივი არეალი</b>	<b>სტატუსი</b>
1.	<i>Chaetoceros diversus var. papilionis</i> Senicheva, 2002 = <i>Chaetoceros diversus</i> Cleve 1873	2000	ბათუმის სანაპირო	წყნარი ოკეანი	საეჭვო
2.	<i>Detonula pumila</i> (Castracane) Gran 1900	2002.	ტერიტორიალური წყლების სანაპირო	კოსმოპოლიტური	საეჭვო
3.	<i>Distephanus speculum</i> f. <i>octonarius</i> (Ehrenberg) S. Locker et E. Martini	1985	ტერიტორიალური წყლების სანაპირო	ატლანტის ოკეანე	საეჭვო
4.	<i>Gymnodinium radiatum</i> Kofoid et Swezy, 1921	2000	ბათუმის სანაპირო	წყნარი ოკეანე	საეჭვო
5.	<i>Gymnodinium stellatum</i> Hulbert, 1957	2008	შელფი	ჩრდილოეთ ევროპა	საეჭვო
6.	<i>Hillea fusiformis</i> (Schiller) Schiller, 1925 = <i>Chlamydomonas fusiformis</i> Schiller, 1913	2000	ტერიტორიალური წყლების სანაპირო	ხმელთაშუა ზღვა	დაფუძნებული
7.	<i>Lioloma pacificum</i> (Cupp) Hasle, 1996	2007	ტერიტორიალური წყლების სანაპირო	ხმელთაშუა ზღვა, ატლანტის ოკეანე	დაფუძნებული
8.	<i>Prorocentrum dentatum</i> Stein, 1883	2001	ტერიტორიალური წყლების სანაპირო	ხმელთაშუა ზღვა, ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთ ამერიკა, წყნარი ოკეანე, ინდოეთის ოკეანე	საეჭვო
9.	<i>Prorocentrum minimum</i> (Pavillard) Schiller, 1933 = <i>P. cordatum</i> (Ostf.) Dodge, 1975; <i>Exuviaella cordata</i> Ostenfeld, 1901	1999	ტერიტორიალური წყლების სანაპირო ზონა	კოსმოპოლიტური	დაფუძნებული

10	<i>Protoperidinium minutum</i> (Kofoid) Loeblich III, 1970	1999	ტერიტორიალური წყლების სანაპირო ზონა	ხმელთაშუა ზღვა	საქონი
11	<i>Pseudosolenia calcar-avis</i> (Schultze) Sundström, 1986	1993	ბათუმის სანაპირო	ატლანტის ოკეანე, წყნარი ოკეანე, ინდოეთის ოკეანე	დაფუძნებული
12	<i>Rhizosolenia setigera</i> Brightwell, 1858	1989	ბათუმის სანაპირო	ხმელთაშუა ზღვა	საქონი
13	<i>Scrippsiella trochoidea</i> (Stein) Balech ex Loeblich III, 1965; <i>Glenodinium acuminatum</i> Jorgensen, 1899; <i>Peridinium faeroense</i> Paulsen, 1905; <i>Scrippsiella faeroense</i> Dickensheets et Cox, 1971	1985	ტერიტორიალური წყლების სანაპირო ზონა	ატლანტის ოკეანე	საქონი

#	ზოოპლანქტონი	პირველი დაფიქსირების წელი	პირველი დაფიქსირების ადგილი	ბუნებრივი არეალი	სტატუსი
14.	<i>Acartia tonsa</i> (Dana, 1849)	2002	ბათუმის სანაპირო	ატლანტის ოკეანე, წყნარი ოკეანე, ინდოეთის ოკეანე	დაფუძნებული
15.	<i>Beroe ovata</i> Bruguière, 1789 = <i>Beroe punctata</i> McCady, 1859; <i>B. clarkii</i> Mayer, 1900; <i>B. shakespearei</i> Behnam, 1907 (misidentified as <i>Beroe cucumis</i> )	1996	ბათუმის სანაპირო	ხმელთაშუა ზღვა, ატლანტის ოკეანე,	დაფუძნებული

<b>16.</b>	<i>Mnemiopsis leidyi</i> (Agassiz, 1865) (misidentified: <i>Leucothea multicornis</i> , <i>Mnemiopsis mccradyi</i> )	<b>1997</b>	ბათუმის სანაპირო	ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთ ამერიკა,	დაფუძნებუ ლი
<b>17.</b>	<i>Oithona davisae</i> (Ferrari et Orsi, 1984) (misidentified as <i>Oithona brevicornis</i> Giesbrecht, 1891, <i>Oithona plumifera</i> Baird, 1843, <i>Oithona setigera</i> Dana, 1852)	<b>2007</b>	ბათუმის სანაპირო	ატლანტის ოკეანე, წყნარი ოკეანე, ინდოეთის ოკეანე	დაფუძნებუ ლი

უცხო ინვაზიური სახეობების უარყოფითი გავლენა ეკოსისტემაზე ვლინდება შემდეგში (Eyuboglu 2021):

1. კონკურენცია ადგილობრივი სახეობებთან შეზღუდულ რესურსებზე
2. მტაცებლობა ადგილობრივი სახეობებზე
3. კვებითი ჯაჭვში ადგილობრივი სახეობის ჩანაცვლება
4. ბიომრავალფეროვნების შემცირება

უცხო ინვაზიური სახეობების გავლენა ეკოსისტემაზე თითქმის ყოველთვის დამანგრეველია და შუქცევადი. მნიშვნელოვანია ინვაზიის პრევენცია, კვლევა და მონიტორინგი.

## გამოყენებული ლიტერატურა

Agwamba KD, Nachman MW. The demographic history of house mice (*Mus musculus domesticus*) in eastern North America. *G3 (Bethesda)*. 2023 Feb 9;13(2):jkac332. doi: 10.1093/g3journal/jkac332. PMID: 36546306; PMCID: PMC9911051.

Aikio, S., Duncan, R.P. and Hulme, P.E. (2010), Lag-phases in alien plant invasions: separating the facts from the artefacts. *Oikos*, 119: 370-378. <https://doi.org/10.1111/j.1600-0706.2009.17963.x>

Akıner M, Murat Ö, Hasan S (2022) Invasion history of *Orosanga japonica* (Melichar, 1898) (Hemiptera: Ricaniidae) in Turkey, comparisons with other Ricaniidae family members using molecular tools and modeling of potential global distribution. *Turkish Journal of Entomology* 46(1): 99–114.

Altaş K, Kibar A (2019) Effect of cultural management methods against fake butterfly [*Ricania japonica* (Hemiptera: Ricaniidae)]. *AÇÜ Orman Fak Derg* 20(2): 229–238.

Amstutz L. J. (2018): Invasive Species. Minneapolis, MN: Abdo Publishing. pp. 8-10 ISBN 9781532110245. and Conservation 13(13): 2511–2518.

Asplen MK, Anfora G, Biondi A, Choi D, Chu D, Daane KM, Gibert P, Gutierrez AP, Hoelmer KA, Hutchison WD, Isaacs R, Jiang Z, Kárpáti Z, Kimura MT, Pascual M, Philips CR, Plantamp C, Ponti L, Vétek G, Vogt H, Walton VM, Yu Y, Zappalà L, Desneux N (2015) Invasion biology of spotted wing Drosophila (*Drosophila suzukii*): a global perspective and future priorities. *Journal of Pest Science* 88: 469–494.

Baker HG, Stebbins GL (1965) The genetics of colonizing species. Academic Press, New York

Baker HG. Characteristics and modes of origin of weeds. In: Baker HG, Stebbins GL, editors. The genetics of colonizing species. New York: Academic Press; 1965. pp. 147–169.

Baker HG. The evolution of weeds. *Annu Rev Ecol Syst.* 1974; 5:1–24. doi: 10.1146/annurev.es.05.110174.000245.

Bakker J. D., Wilson S. D. (2004). Using ecological restoration to constrain biological invasion. *Journal of Applied Ecology*, 41: 1058–1064

